საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი.
ქეთევან მიქელაძე

საქართველო ბიზანტიის ურთიერთობები VIII -X საუკუნეებში

სამაგისტრო

ხელმძღანელი : პროფესორი
ნუგზარ ზოსიძე.

ხიჭაური 2020 წე

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ნაშრომი განხილულია საქართველოს ისტორიის ერთერთი საკვანძო საკითხი- ქართულ - ბიზანტიური ურთიერთობები VIII – X საუკუნეებში. თემის განხილვისას დამუშავდა მრავალი ნაშრომი, რამაც მოგვცა საშუალება სრულყოფილად გაგვეხილა ჩვენთვის საინტერესო საკითხები სოციალ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ- პოლიტიკურ ჭრილში. ნაშრომი შესრულებულია ისტორიული კვლევის მეთოდის გამოყენებით. საკითხის ირგვლივ წარმოდგენილია ახალი პოზიციებიც, რომელიც მომავალში დაგვეხმარება პრობლემის უკეთ გაანალიზებაში. ვფიქრობთ სამაგისტრო თემის გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ცალკეულ ავტორთა შეხედულებებს მივუდექით კრიტიკულად. მართალია ჩვენი საკვლევი თემა არ ახალია, თუმცა ბევრი საკითხი დღესაც წარმოადგენს მეცნიერ - მკვლევართა აქტიური განსჯის საგანს. ვფიქრობთ ამ მხრივ ჩვენც შევიტანეთ მოკრძალებული წვლილი.

A n n o t a t i o n

The paper discusses one of the key issues in the history of Georgia - Georgian-Byzantine relations. During the reign of Bagrat III. During the discussion of the topic, many papers were developed, which allowed us to fully cover the issues of interest to us in the socio-economic and socio-political context. The paper is processed using historical research methods. New positions are also presented around the issue, which will help us to better analyze the issue in the future. We think that a certain novelty of the master's topic is that we are critical of the views of individual authors. It is true that our research topic is not new, but many issues are still the subject of active discussion by scientists and researchers. We think we have made a modest contribution in this regard as w

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი----------4
2. თემის აქტუალობა და მიმოხილვა ----------8
3. საქართველო ბიზანტიის ურთიერთობების ისტორია VIII- X საუკუნეებში.....10
4. ტაო-კლარჯეთის სამთავროსთან ბიზანტიის ურთიერთობები.....29
5. აფხაზეთის სამთავრო და ბიზანტია.....32
6. ქართულ - ბიზანტიური ურთიერთობები X საუკუნის ბოლო მეოთხედში.. 46
7. ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობები XI საუკუნის I ათეულში.....50
8. ბაგრატ მესამე ერთიანი საქართველოს პირველი მეფე 55
9.დასკვნა.....70
10. ბიბლიოგრაფია----------74

შესავალი

საქართველო ბიზანტიის ურთიერთობები, მოიცავს ხანგრძლივ პერიოდს, მაგრამ წინამდებარე ნაშრომში, ყურადღება გამახვილდება საქართველო ბიზანტიის ურთიერთობებზე VIII-X საუკუნეებში და ბაგრატ მესამის მეფობისას. აგრეთვე ბიზანტიის ურთიერთობებზე ტაო-კლარჯეთის სამთავროსთან და აფხაზეთის სამთავროსთან. ბიზანტია საქართველოს ურთიერთობებში მნიშვნელოვან როლი ეკუთვნოდა რელიგიას. ისმება კითხვა- საქართველო როგორც დამოუკიდებელი ქვეყანაა თუ ბიზანტიის იმპერიის მფარველობაში მყოფი???

ქართულ ბიზანტიური ურთიერთობები, ბუნებრივია მოიცავს ხანგრძლივ პერიოდს. რა აკავშირებდა უძველესი კულტურის მქონე ქვეყანას "ათ საუკუნოვან ბიზანტიის იმპერიასთან" მხოლოდ სამხედრო ურთიერთობები??? ნათესაური კავშირები თუ უფრო მეტი??? კულტურა, განათლება, სად იღებდნენ განათლებას ქართველი დიდებულებები, რატომ და რა ბიზანტიურ ტიტულებს ატარებდნენ ქართველი მეფეები? რამ გამოიწვია საქართველოს სამეფო სამთავროებად დანაწევრება , რა საიდუმლოს მალავს ისტორია. მოდით ერთად დავიწყოთ ლავირება და გავცეთ კითხვებს სწორი პასუხი. ბიზანტია როგორც ერთმორწმუნე სახელმწიფოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოსთან, თუმცა წმინდა ისტორიული თვალსაზრისით ეს იყო, ძირთადში პოლიტიკური.

ქართველი მეფეები ხშირად ატარებდნენ შემდეგ ტიტულებს; არხონი, ბაზილევსი, სევასტოსი, მაგისტროსი, კურაპალატი. ბიზანტიას საქართველოსთან ჰქონდა ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები. ქართველი დიდებულებები ბიზანტიაში იღებდნენ განათლებას[1]

ბიზანტია საქართველოს ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესია, ბიზანტიის ურთიერთობა სამეფო-სამთავროებთან. ბიზანტიის იმპერატორები ნიშნავდნენ

[1]პაატა რამიშვილი, ნატა ახმეტელი, საქართველოს მსოფლიო ისტორია, გვ. 103-107.

ქართველ მეფეებს. ხშირი იყო ნათესაური კავშირებიც. საქართველომ განვლო რთული გზა ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბებამდე. საქართველო რომლის სახელი ერთ დროს თავზარს სცემდა, მტერს ბრძოლის პლაცდარმად გადაიქცა. სამეფო სამთავროებად დაშლილ საქართველოს არ ასვენებდნენ ურჩი და მეფის მოღალატე დიდებულებები. საქართველო საბრძოლო მზადყოფნაში გახლდათ მუდმივად..

როგორც ვიცით არაბებმა საბოლოოდ გააუქმეს ქართლში ერისმთავრობა და ამირა დანიშნეს. არაერთი არაბი დამპყრობელი ახსოვს საქართველოს ისტორიას. მოგვიანებით ამას მოყვა საქართველოს სამეფო სამთავროებად დაშლა, მტერი ხელმძღვანელობდა პრინციპით დაყავი და იბატონე. არაბებს დაემატნენ ბიზანტიელები და ქართველებს ეხლა ბიზანტიელების წინააღმდეგაც უხდებოდათ ბრძოლა

მუდმივად მტრით გარს შემორტყმულ საქართველოს უხდებოდა ბრძოლა დამპყრობლის წინააღმდეგ, საქართველოს ისტორიას ახსოვს როგორც ძლიერი ასევე მხდალი მეფეებიც თუმცა ამ უკანასკნელში ნამდვილად არ იყო ადარნასე კურაპალატის შვილი და ტაო-კლარჯეთის მმართველი აშოტ კურაპალატი, რომელიც გამუდმებით იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. როგორც ზემოთაც აღვნიშნე საქართველომ ბაგრატ მესამემდე განვლო ვრცელი და რთული გზა. საქართველოს არ შეუწყვეტია განვითარება ყველაზე რთულ ეპოქაშიც კი! ამას მოწმობს საქართველოს დაშლილ სამეფო სამთავროებში აღმშენებლობის პროცესის მიმდინარეობა. ამის ნათელი მაგალითია ტაო-კლარჯეთი.[2]

ქართველი აგრძელებდნენ სამწერლობო მოღვაწეობას საზღვარგარეთაც და ქმნიდნენ ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს საგანძურს ვინაიდან მაშინ, არ არსებობდა სტამბები მიმდინარეობდა ხელით გადაწერა და თარგმნა, რასაკვირველია ბიზანტიასთან საქართველოს ურთიერთობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პოლიტიკური მომენტებით.

მეცხრე მეათე საუკუნეებში განვითარდა ბიზანტიური განათლების სისტემაც და რასაკვირველია ეს არ გამოპარვიათ არც ქართველებს, განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა ბიზანტიური კულტურაც, განსაკუთრებით განვითარდა

[2] კ. კეკელიძე, ათონის ივერთა მონასტერი, გვ. 53-60.

ლიტერატურა რაც ასე იზიდავდა ქართველებს ბიზანტიაში. ახლა მათ წინაშე მოქმედების ფართო ასპარეზი გადაიშალა და ეს იყო ყოველივე იმის გაცნობა რასაც ბიზანტიელები ქმნიდნენ საგანმანათლებლო და ფილოსოფიურ სივრცეში. საფუძველი ჩაეყარა ქართულ საგანმანათლებლო კერებს, ზოგან ჩამოყალიბდა ქართული, ლიტერატურული სკოლები, ხოლო ქართველი სასულიერო მამები ბიზანტიის იმპერიაში აღმოცენებულ ქართულ ეკლესია სავანეებში შეუდგნენ ამ უდიდესი კულტურის ათვისებას. ამ მხრივ განსაკუთრებით დაწინაურდა ათონის ივერთა მონასტერი, ქართული კულტურის თვალსაჩინო და უმნიშვნელოვანესი კერა, ნას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სულიერი კულტურის შემდგომი განვითარების პროცესში. იგი დაარსდა მეათე საუკუნის მეორე ნახევარში.

ათონის ივერთა მონასტერის დაარსება კი დაკავშირებულია ისეთი ქართველი დიდებულების სახელთან როგორებიც იყვნენ, იოანე და მისი შვილები ექვთიმე და თორნიკე.

ათონის ივერთა მონასტერმა განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია, გიორგი მთაწმინდელის დროს. აქ მიმდინარეობდა მრავალმხრივი სამეცნიერო და ლიტერატურული საქმიანობა. ათონის ივერთა მონასტერი ასევე ცნობილია ათონის აკადემიის სახელითაც, რომელიც იყო მსხვილი სამეცნიერო საგანმანათლებლო ცენტრი. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული საგანძურისა რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაზე. რაც შეეხება ქართველთა მოღვაწეობას ათონის მთაზე ისინი დაახლოებით იქ უნდა გამოჩენილიყვნენ, მეათე საუკუნის ორმოცდაათიან სამოციან წლებში.[3]. ათონის მთაზე ქართული სავანის გვერდით ჩნდება სხვა ერების სათვისტომოების სავანეებიც.

საქართველო ბიზანტიის ურთიერთობები გასცდა პოლიტიკურს მან მიიღო როგორც საგანმანათლებლო ასევე კულტურული ხასიათი. ბუნებრივია და ცხადზე უცხადესია რომ საქართველოს მიუხედავად ყველაფრისა ერჩია ერთმორწმუნე ბიზანტიასთან ურთიერთობა ვიდრე არაბებთან.

ბიზანტიასთან პოლიტიკური კავშირის მიუხედავად ქართველ მეფეებს ხშირად მარტოდ უხდებოდათ ბრძოლა არაბების წინაღმდეგ. ბიზანტია ორმაგ

[3] კ. კეკელიძე, ათონის ივერთა მონასტერი, გვ. 14-20.

დიპლომატიურ თამაშს თამაშობდა რაც ასე უცხო იყო ქართველებისთვის მაგრამ ცხადზე ცხადი ბიზანტიის განზრახვა. მაშინ რა იყო ის რის გამოც ქართველები არ უარყოფდნენ ამ კავშირს ეს გახლდათ რელიგია და არც შემცდარან რადგან სწორედ ქართველების სასულიერო პირების მოღვაწეობამ ბიზანტიაში უამრავი კარგი რამ მოუტანა საქართველოს.

საქართველო ყოველთვის იყო ინტერესების სფერო ისლამურ და მართლმადიდებლურ სახელმწიფოებისა, იგი მდებარეობდა უაღრესად სტრატეგიულ და იმავდროულად საოცრად მიმზიდველ ევროპისა და აზიის გზასაყარში. მასზე გადიოდა მსხვილი სავაჭრო საქარავნო გზები! საქართველო ფლობდა უმნიშვნელოვანეს გადასასვლელებს. იქ სადაც გაქრნენ იმპერიები არ გამქრალა პატარა საქართველო. ვინაიდან ქართველებს ღრმად სწამდათ რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და ისინიც იბრძოდნენ თავისუფლებისათვის.

ქართული კულტურა მეტოქეობას უწევდა მსოფლიო ცივილიზაციათა კულტურებს, მათ შორის ბიზანტიური კულტურის ნიადაგზე აღორძინებულ დასავლეთის კულტურას.

ქართველები ყველაფერში ნიჭიერი ერი, რომ ვართ ეს ცხადზე უცხადესია, როგორც ერთგულებაში ასევე ღალატშიც, ბიზანტია ცდილობდა საქართველოს გულის მოგებას ერთი მხრივ საკარისკაცო ტიტულების მინიჭებით ქართველი მეფეებისთვის და მეორე მხრივ ცდილობდა საშინაო საქმეებში ჩარევით განხეთქილება შეეტანა ქართველ დიდებულებსა და მეფეებს შორის ..ქართველ დიდებულებს აქეზებდა რათა დაპირისპირებოდნენ მეფეს რათა ასე შეენარჩუნებინათ გავლენის სფეროები საქართველოზე .

ფორმალურად საქართველო იმყოფებოდა ბიზანტიის მფარველობის ქვეშ, თუმცა გასაგებია რომ ბიზანტიას თავისი ინტერესები ჰქონდა, საქართველო კი ამ პოლიტიკურ კავშირში სულაც არ გახლდათ სუსტი რგოლი. საქართველო ბიზანტიის კავშირში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის გარემოება არის რომ საქართველოს, ყველაზე რთულ დროსაც სწამდა გაერთიანების, ბიზანტიის მფარველობაში ყოფნა კი ამის შესაძლებლობას იძლეოდა.

საბოლოოდ საქართველომ მაინც მოახერხა გაერთიანება. თუმცა როგორც

ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველომ გაერთიანებამდე რთული და ქარტეხილებით აღსავსე გზა განვლო.

თემის აქტუალობა

საქართველო ბიზანტიის ურთიერთობები ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთერთ აქტუალურ და კვლევის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. ერთის მხრივ ათ საუკუნოვანი ბიზანტიის იმპერია და მეორეს მხრივ უძველესი კულტურის მქონე ქვეყანა. ბუნებრივია, რომ ამ ეპოქას ახლავს არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, მათ შორის სამხედრო ურთიერთობები. საქართველო, თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობით წარმოადგენდა ანგარიშგასაწევ სახელმწიფოს, რაც ზრდიდა მის როლს წინააზიურ სივრცეში. მიუხედავად იმისა რომ საქართველო დაყოფილი იყო სამეფო სამთავროებად ეს სრულებითაც არ აკნინებდა მას. არაბებისგან აოხრებული ქვეყანა ძალებს იკრებდა, დაიწყო სამონასტრო ცხოვრება, გაჩნდა საგანმანათლებლო კერები. ქართველი მეფეები ბიზანტიის იმპერატორებთან ერთად იბრძოდნენ, ბიზანტიელი იმპერატორების დახმარებით ხდებოდა დაპირისპირებული მხარეების შერიგება. მეცხრე, მეათე საუკუნე საქართველოს ისტორიაში ახალი ქალაქების ხანაა: დმანისი, არტანუჯი, ახალქალაქი, თმოგვი, ოლთისი, ახალციხე, თელავი და სხვა. ბაგრატ მესამის გამეფებამდე საქართველომ განვლო არაერთი რთული ეტაპი, სანამ მოხდებოდა საქართველოს გაერთიანება. საქართველო გახლდათ სამეფო სამთავროებად დაშლილი, რასაც უთუოდ შევეხებით, ვინაიდან თემით დაინტერესებული პირთათვის საინტერესოა თუ რა გზა განვლო საქართველომ სანამ მოხდებოდა მისი გაერთიანება და რა ვითარებაში მოხდა, საქართველოს გაერთიანება, რა ძირითადმა პროცესებმა შეუწყო ხელი.

ჩვენ განვიხილავთ საქართველოს ამ ეპოქის უცნობ მხარეებს და მივალთ დასკვნამდე რა იყო გაერთიანებამდე და რამ შეუწყო ხელი საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. ყველა ეპოქას თავისი ლიდერი ყავს, არც საქართველო გახლდათ ამ მხრივ გამონაკლისი, თუმცა როგორც სახელმწიფო, საქართველო არ იყო

ერთიანი მერვე საუკუნეში. ერთის მხრივ არაბთა სახალიფო და მეორეს მხრივ ბიზანტიის იმპერია, ვერ იყოფდა ინტერესებს საქართველოსთან მიმართებაში. ამას ემატებოდა დაპირისპირება სამეფო სამთავროებს შორის პირველობისათვის, მოგვიანებით მდგომარეობას ართულებდა სომხეთის ჩართვაც ამ ომში. მიმდინარეობდა ბრძოლა სომხეთის სამთავროსა და აფხაზთა სამთავროს შორის პირველობისთვის. განადგურებული ეკონომიკა, ბრძოლა სამეფო სამთავროებს შორის, სწორედ ასეთ ვითარებაში უხდება მეფობა აშოტ კურაპალატს. აქტუალურ საკითხთა რიგს მიეკუთვნება ისეთი თემები როგორიცაა- რამ შეუწყო ხელი საქართველოს სამეფო-სამთავროების გაერთიანებას; რა პრინციპებს ეფუძნებოდა ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობები; როგორი იყო მართმადიდებლური ეკლესიის როლი ამ ურთიერთობებში; რატომ ატარებდნენ ქართველი მეფეები კურაპალატისა და სხვა ბიზანტიურ ტიტულატურას?

თავი I

საქართველო ბიზანტიის ურთიერთობების ისტორია VIII-X საუკუნეებში

დაცემიდან გაერთიანებამდე, საქართველომ არაერთი ეტაპი განვლო, ბაგრატ მესამის ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ტახტზე ასვლამდე: საქართველოს ურთიერთობა ბიზანტიასთან, პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული, თუ უფრო მეტი. მერვე მეათე საუკუნეები საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პერიოდია, ბრძოლა დამპყრობელის წინააღმდეგ, სამეფო სამთავროებად დაშლილი და არაბებისგან აოხრებული ქვეყანა, ბარის მოსახლეობა მთაში. გარდა ამისა არაბები ცდილობდნენ ქვეყნის გამაჰმადიანებას, მათ ჰქონდა დაწესებული გადასახადები, ქვეყნის სოციალურად დაუცველი მოსახლეობა ვეღარ აუდიოდა გადასახადების გადახდას. ერთის მხრივ არაბები, მეორეს მხრივ ბიზანტიის იმპერია, გამუდმებული ბრძოლა სამეფო სამთავროებს შორის, განადგურებული ეკონომიკა, ჩამოშლილი სახელმწიფოებრიობა.

საქართველოს ამ ურთულეს პერიოდშიც არ დაუკარგავს ძალა ებრძოლა დამპყრობელის წინააღმდეგ, ეჭვგარეშეა ამ რთული მდგომარეობიდან გამოსვლას ცდილობდა საქართველო ერთმორწმუნე ბიზანტიასთან ურთიერთობით. საქართველოს ბიზანტიასთან აახლოებდა რელიგია, ქართველისთვის მართლმადიდებლობა განუყოფელი იყო მის ეროვნულობასთან და იდენტობასთან. ამიტომ ქართველები ოდითგან იბრძოდნენ რელიგიის შესანარჩუნებლად, სწორედ მამული, ენა, სარწმუნოება დაგვრჩა მამა პაპათაგან, ამიტომ ქართველები ყოველთვის ცდილობდნენ არჩევანის გაკეთებისას აერჩიათ ერთმორწმუნე, რადგან არ დაეკარგათ რელიგია. ქრისტიანობა იყო არა მარტო რელიგია არამედ ის მტკიცე ჯვარი, რომელიც იცავდა ქართველებს უცხო ტომებში არევისაგან. ქართველები სიცოცხლეს თმობდნენ, მაგრამ არ თმობდნენ რელიგიას. მართლმადიდებლობა იყო ქართველი კაცისთვის ჭეშმარიტი სარწმუნოება. ამ ბრძოლაში კი ქართველები ბიზანტიის იმპერიას ირჩევდნენ რათა არ დაეკარგათ რელიგია.

საქართველო ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობაშიც ინარჩუნებდა თავის სიმტკიცეს, ფლობდა რა სტრატეგიულ სივრცესა და უმნიშვნელოვანეს

გადასასვლელებს, აიძულებდა ბიზანტიის იმპერიას ანგარიში გაეწია მისთვის. საქართველო არასდროს არ ყოფილა ბიზანტიის ვასალი, ის იყო ბიზანტიის პოლიტიკური მოკავშირე. საქართველოს ბიზანტიის იმპერიასთან აკავშირებდა არა მარტო პოლიტიკური ურთიერთობები, არამედ ხშირად ნათესაურიც. ბიზანტია არასდროს არ ყოფილა სენტიმენტალური პოლიტიკის მომხრე, ის აპირისპირებდა ქართველ დიდებულებს სამეფო კართან, რათა თავის მხრივ გაადვილებოდა საქართველოს დამორჩილება და ეს უკანასკნელნიც მიმართავდნენ ბიზანტიის იმპერატორებს მედიატორის როლი აეღოთ თავიანთ თავზე. ბიზანტიელი იმპერატორები ყოველთვის ორმაგ თამაშს თამაშობდნენ, ერთის მხრივ მხარს უჭერდნენ ქართველ მეფეებს და მეორეს მხრივ აქეზებდნენ ქართველ დიდებულებს მეფის წინააღმდეგ, მეფეებიც იძულებულნი იყვნენ მიემართათ ბიზანტიის საიმპერატორო კარისათვის. აქ კი ბიზანტიელი დიდებულები ვითომც კეთილშობილური სიდიადით კისრულობდნენ შუამავლის ფუნქციას. ბიზანტიელი იმპერატორები ხშირად ქართველ დიდებულებს საკარისკაცო ტიტულებს ურიგებდნენ. კურაპალატობა, როგორც წესი უფროს შვილზე გადადიოდა თუმცა, აშოტ კურაპალატის შვილებთან ეს წესი უფროს უმცროსობის წესის დარღვევით მოხდა, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ბიზანტიელების ორმაგ სტანდარტთან, რადგან სამეფო ტახტი ადარნასეს არ ეკუთვნოდა. კურაპალატის ტიტული აშოტის შუათანა შვილს, ადარნასეს გადაეცა. საქართველოს ორი უმთავრეს უცხო სახელმწიფოსთან ჰქონდა დამოკიდებულება: აღმოსავლეთ-სამხრეთით არაბთა სახალიფო და მისი წარმომადგენელნი, ადგილობრივი ამირები იყვნენ, მეშვიდე საუკუნეში არაბებმა გაუქმეს ერისმთავრობა და ნაცვლად ერისმთავრობისა შემოიღეს ამირობა. დასავლეთ-სამხრეთით ბიზანტიის კეისარი ბერძენთა მეფე ამ დროს, როგორც ქრისტიანი მეფე იცავდა ქართველ მეფეებს. ბუნებრივია ბიზანტიის იმპერატორები ამას ტყუილადა არ აკეთებდნენ, პირველი დავიწყოთ იქიდან, რომ საქართველო ფლობდა მნიშვნელოვან გადასასვლელებს და ბიზანტიას მუდმივად შიში ჰქონდა, რომ ამ გადასასვლელებს საქართველო გამოიყენებდა ბიზანტიის წინააღმდეგ. მიემხრობოდნენ არაბებს მაშინ ქართველები და არაბები ერთად დაიწყებდნენ ბრძოლას ბიზანტიის წინააღმდეგ ..საქართველო და ბიზანტია ერთმანეთთან

დაკავშირებული იყვნენ არამარტო პოლიტიკურად არამედ რელიგიურადაც რადგან საქართველო და ბიზანტიაც ორივე მართლმადიდებლური ქვეყანა გახლდათ ხშირად საქართველო უპირატესობას ანიჭებდა ქრისტიანულ ქვეყნებს. ქართველი დიდებულები სწავლობდნენ ბიზანტიაში. ხშირი იყო კულტურული და ნათესაური ურთიერთობებიც, მაგრამ ბერძნები არას დროს გულუბრყვილო და გულჩვილი პოლიტიკოსები არა ყოფილან და მათს მფარველობას ყოველთვის მათის საკუთარის საქმისთვისაც სარგებლობა უნდა მოეტანა. ამიტომ ქართველ-ბიზანტიელთა დამოკიდებულება მარტო ქრისტიანულს სიყვარულს და ძმობაზე არ იყო დამყარებული; მას სხვა საფუძველიც ჰქონდა; რა უფლებრივი დამოკიდებულება არსებობდა მესხეთისა და აფხაზეთის ბატონთა და ბიზანტიის კეისარს შორის? ბიზანტიელები არასდროს არ ეძახდნენ ქართველ მეფეებს მეფეებს, (ბაზილევს) თუმცა საქართველო არასოდეს არ ყოფილა ბიზანტიის ვასალი, მიუხედავად ტიტულატურისა ეს იყო უფრო წმინდა პოლიტიკური კავშირი, რომელსაც ბუნებრივია საფუძვლად ედო პოლიტიკური ინტერესები. ისინი მოიხსენიებდნენ, როგორც არხონი ან ექსუსიასტეს, მხოლოდ აფხაზთა მეფე გახადეს, ექსუსიასტეს ღირსი. ბიზანტიელების მედიდურობას საუცხოვოდ ის გარემოებაც ახასიათებს, რომ ბერძენი ისტორიკოსი გიორგი კედრენე[4] და მისი წყარო გაერთიანებულ საქართველოს მეფეებს, "აფხაზთა და ქართველთა" მეფეებსაც წინანდებურად "არხონტად" სთვლის.[5] მაგ, გიორგი I იწოდება აფხაზეთის არხონტად. ბაგრატ IV იბერიის "არხეგოს"-ად, ხოლო ერთგან "ექსუზიასტ"-ადაც. ეს გახლდათ ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულები. ბიზანტიის მთავრობა განზრახ იქცეოდა ასე; ამით მას სურდა ეთქვა, რომ ბიზანტიასთან შედარებით საქართველოს და სომხეთის სამეფოებს საერთაშორისო ურთიერთობაში უფრო დაბალხარისხოვანი ადგილი ეკავათ. ამით პატრონყმური დამოკიდებულების გამოხატვა სურდათ. ქართველ მეფეთა "არხონ"-ად წოდებით ბიზანტიელ მწერლებსა და მთავრობას ამ დროს მართლაც, რომ გარკვეული პოლიტიკურ-უფლებრივი აზრის გამოთქმა სურდათ, იმითაც მტკიცდება, რომ წინანდელი ისტორიკოსები, მაგ, პროკოპი კესარიელი და

---

[4]**გიორგი კედრენე** ,მეთერთმეტე საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი,გეორგიკა,ისტორიული მიმოხილვა.50-100

[5] ივ, ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია,ტომი 2 , გვ. 101 -105.

აგათიასი იბერთა და ლაზთა მეფეებს “ბაზილევს”-ად იხსენიებენ.[6]

“ექსუზიასტ”-ი ღირსებით “არხონ”-ზე მაღლა იდგა და მჭიდრო პოლიტიკური დამოკიდებულების გამომეტყველი იყო. ბიზანტიის იმპერატორი ქართველ დიდებულებს საკარისკაცო ტიტულებს ურიგებდა ხშირად, ისმის კითხვა, თუ საქართველო არ იყო ბიზანტიის ვასალი, მაშინ რას ნიშნავს ის საკარისკაცო ტიტულები, რასაც ბიზანტიის იმპერატორები ქართველ დიდებულებს ურიგებდნენ და ქართველებიც ატარებდნენ ამ ტიტულებს? ლოგიკურია ამ კითხვის პათოსი, მაგრამ რეალობაც ის არის, რომ ბიზანტიელები ამ ტიტულებს სხვა სამეფოებსაც ურიგებდნენ. სხვა სამეფოს მეფეებიც ატარებდნენ ამ ტიტულებს. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ეს უნდა ყოფილიყო წმინდა პოლიტიკური. ის საკარისკაცო ტიტულები, რასაც ბიზანტიელები ქართველებს ურიგებდნენ იყო პოლიტიკური ხასიათის. თავისთავად კეისრის მიერ კურაპალატობის, მაგისტროსობის ან სხვა ბიზანტიური პატივის წყალობა, რასაკვირველია ვასალური დამოკიდებულების დამამტკიცებელი არ იყო იმიტომ, რომ იგივე პატივი ბერძენთა მეფეებს არა ერთხელ მიუნიჭებიათ სხვებისთვისაც. იშვიათს შემთხვევაში კეისრები თავიანთ მოყმე უცხო მთავრებსა ჯამაგირით (“როგა”) ეხმარებოდნენ, როგორც მაგ. ტარონის ერისთავს გრიგოლს. ქართველი და სომეხი მეფეები ამაზე პროტესტს გამოთქვამდნენ. ქართველ მეფეთა და ბიზანტიის კეისართა შორის დამოკიდებულება რასაკვირველია, ყოველთვის ერთნაირი არა ყოფილა და სხვადასხვა გარემოებათა მიხედვით ხან უფრო მჭიდრო იყო, ხან უფრო გარეგნული; მაგრამ, როგორც ჩანს კეისრის უფლება საქართველოში შემოიფარგლებოდა მფარველობით. ჩვენთვის ცნობილია, როდესაც აიღეს ციხე მტრობით გადასწყვიტა და გადასცა კიდეც არტანუჯის ციხე რომანოზ კეისარს (920-944) 248. როდესაც კეისრის მოციქულმა ციხე ჩაიბარა და არტანუჯის დასაკუთრების ნიშნად ციხის ზღუდეზე კეისრის დროშა ააფრიალა, არტანუჯის ბერძენთა ხელში გადასვლის ამბავი ყველამ შეიტყო და საქართველოს სწრაფად მოედო. ყველა აღშფოთებული იყო ბერძენთა ამგვარი საქციელით, გურგენ მაგისტროსმა და აშოტ კურაპალატის ძმამ დავით მაგისტროსმა კეისარს საჩქაროდ

[6]ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია ,ტომი II, გვ. 101-105.

წერილი გაუგზავნეს და დაემუქრნენ.[7]

საქართველო ფლობდა მნიშვნელოვან, გადასასვლელებს, რითიც აფრთხილებდა ბიზანტიის იმპერიას, თუ ბიზანტიის იმპერია საქართველოს წინააღმდეგობას გაუწევდა, მაშინ გახსნიდა გადასასვლელებს, ჩრდილოელ ტომებს შეუსევდა ბიზანტიის იმპერიას და უკიდურეს შემთხვევაში ქართველი მეფეები არაბებს მიემხრობოდნენ. ბიზანტიისთვის კი თავის მხრივ არახელსაყრელი იყო საქართველოსთან ურთიერთობის გაფუჭება, ამიტომ უკან იხევდნენ. აქედან გამომდინარე საქართველო არასდროს არ ყოფილა ბიზანტიის ვასალი, იგი იყო პოლიტიკური მოკავშირე და თემის მთავარი აზრიც ეს არის. ზემოდ მოყვანილი მაგალითი კი ამის ნათელი დასტურია. თუ რომ თქვენ ამას ჩაიდენთ ჩვენ თქვენი მფარველობიდან გამოვალთ და არაბების მხარეს გადავალთო. ჩვენ იმდენი ძალა გვაქვს, რომ რომაელებს ვებრძოლოთ და თუ იძულებული გავხდებით, არამცთუ არტანუჯის ციხესა და მის შემოგარენს ჯარით მივადგებით, თქვენის სამეფოს წინააღმდეგაც გამოვილაშქრებთო. რასაკვირველია კეისარი ამას არ დაუშვებდა, ამიტომ შეეცადა ურთიერთობის მოგვარებას, რადგან მუქარით შეშინებულმა კეისარმა ქართველს მთავრებს შეუთვალა: არა ვიცოდი რა, ჩემდა დაუკითხავად მომხდარა ყველაფერიო, თუმცა რომანოზ კეისარმა ყველაფერი კარგად იცოდა, ოღონდ მოვლენების ამგვარ განვითარებას არ მოელოდა და მოიფიქრა მე არაფერი მაგის მსგავსი არა მიბრძანებია ჩემის მოხელისათვის და სულ მაგისი ბრალიაო, ესე აღმოჩნდა არტანუჯის ციხე ისევ ქართველების ხელში. - დააბრალა რომანოზმა თავის მოხელეს; თანაც უბრძანა მას არტანუჯს თავი დაანებე, ციხე ადარნასე კურაპალატის შვილს აშოტს გადასცა და კურაპალატობაც უბოძა. ასე რომ არ ქონდა უფლება ბიზანტიის იმპერატორს ჩარეულიყო საქართველოს საშინაო საქმეებში. აშოტ დიდ კურაპალატის რიცხვმრავალ შთამომავლობაში იკვეთება ორი შტო: ერთს ეკუთვნოდნენ ტაო-კლარჯელები, რომელიც როგორც მოსალოდნელი იყო ამავე დროს არტანუჯელები იყვნენ (იქვე); ამასთანავე, გვარამ აშოტ დიდის ძის გარდა, მხოლდ არტანუჯელ-კლარჯ "ჴელმწიფეებს" უტარებიათ "მამფალი"-ს სახელწოდება კონსტანტინე პორფიროგენეტმაც-კი იცის ამ სახელი "მამფალი"-ს არსებობა და

[7]ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტომი II, გვ. 155-157.

ამტკიცებს კიდეც, ვითომც იგი ყოვლადწმიდას ჰნიშნავდეს, მაგრამ ეს რასაკვირველია შეცდომაა. მამფალი ისევე არის ნაწარმოები, როგორც დედოფალი[8] ბიზანტიური ტიტულები მრავლად იყო ქართლში, რასაც ისინი დიდებულებს ანიჭებდნენ. საქართველო არაბების წინაღმდეგ ბრძოლაში ბიზანტიის მხარეს იყო. აშოტ I დიდი (აგრეთვე ცნობილი, როგორც აშოტ I კურაპალატი) იყო პირველი ბაგრატიონი, რომელიც გამეფდა, შესაბამისად 809 წელს მან სამეფო დინასტია დააფუძნა. ის მართავდა ტაო-კლარჯეთს, 826 წელს დოლისყანაში ტრაგიკულად დაღუპვამდე. მამამისი იყო ადარნასე ბაგრატიონი (კლარჯეთის ერისთავი), აშოტის ერისთავობის დროს აღმოსავლეთ საქართველო დაიქვემდებარა არაბთა სახალიფომ, ვინაიდან ამ პერიოდში გაძლიერდნენ არაბები, ბუნებრივია მათ აშოტი მარტივად ვერ დაამარცხებდა, რაც შეეხება ქართლის სატახტოს, ქართლის სატახტოში იჯდა თბილისის ამირა. არაბების წინააღმდეგ ბრძოლებში დამარცხებამ, აშოტი აიძულა დაეტოვებინა ქართლი. მოხდა ისე, რომ არაბებთან განცდილი მარცხის შემდგომ აშოტი გადავიდა ტაო-კლარჯეთში. აშოტი გადასახლებულიყო ოჯახით და მომხრეებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რასაკვირველია აშოტმა ხელი შეუწყო სამხრეთ დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი ტაო-კლარჯეთის განვითარებას, ტაო-კლარჯეთში აშოტმა აღადგინა ქალაქი არტანუჯი და გახადა სამეფო რეზიდენციად. ასევე ჩვენ კარგად ვიცით იმის შესახებაც, რომ ნთლიანად ჩამკვდარი იყო ქართული საგანმანათლებლო და სასულიერო კერები არამარტო სამხრეთ - დასავლეთ საქართველოში, არამედ მთელ საქართველოში, რადგან არაბთა მარბიელი თავდასხმებისგან ქვეყანა დასუსტებული და დაუძლურებული გახლდათ. აშოტს ტაო - კლარჯეთის აღორძინებაში მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის, რადგან არაბებისგან დარბეულ სქართველოში ყოველივე ჩამკვდარიყო, ეკონომიკურად დასუსტებული და მტრის შემოსევისგან აოხრებული სქართველოს მხსნელად აშოტ კურაპალატი მოევლინა.|

826 წელს აშოტმა შეკრიბა ჯარი და არაბების წინააღმდეგ საბრძოლველად დაძრა, მაგრამ მათ შორის აღმოჩნდნენ მოღალატეები, რომლებმაც სცადეს მოეკლათ აშოტი. მეფემ გადაწყვიტა თავი შეეფარებინა მონასტრისთვის დოლისყანის დასახლებაში.

[8] ივ. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 157-158.

რა თქმა უნდა აშოტს ჯეროდა და იმედოვნებდა, რომ მას იქ ხელს არ ახლებდნენ. თუმცა შეთქმულები შეიჭრნენ დოლისყანის ტაძარში და მოკლეს აშოტი. აშოტის მემკვიდრეები გაიყვნენ ორ შტოდ: არტანუჯის ანუ კლარჯეთის (უფროსი ძის, ადარნასე I-ის მემკვიდრეები) ბაგრატიონები და ტაოს (შუათანა ძის, ბაგრატ I კურაპალატის მემკვიდრეები, მომავალი ქართველთა სამეფოს მეფეები) ბაგრატიონები. უმცროსი შვილის, გვარამ მამფალის მემკვიდრეები გახდნენ ბაგრატიონების გვარის შიდა დაპირისპირების მსხვერპლი.[9] ადარნასეს სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა აშოტი, მეორესა წელსა მას ჟამსა გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმა და უშუელა თეოდოს აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისამან. ბუნებრივია არაბებისგან აოხრებულ საქართველოში ურთულესი მდგომარეობა იყო. დასუსტდა ეკონომიკა, ბარში იკლო მოსახლეობის რაოდენობამ. საქართველოს ბიზანტია ეგულებოდა მფარველად, თუმცა არაბებთან ბრძოლაში ბიზანტია საქართველოს სათანადო დახმარება არ აღმოუჩინა. აშოტ კურაპალატის მოღვაწეობას ემთხვევა და მისი თანამედროვე გახლდათ გრიგოლ ხანძთელი. აშოტ I კურაპალატის შავშეთ-კლარჯეთში მმართველობის პერიოდში სამონასტრო მოღვაწეობა დაიწყო გრიგოლ ხანძთელმა, რომელმაც თავისი სიწმინდით გაითქვა სახელი და მის აზრს დიდად აფასებდა თავად აშოტი. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებულია აშოტის ცხოვრების ზოგიერთი საინტერესო დეტალი.

ჩვენ მოგვეპოვება არსებითად ურთიერთ საპირისპირო ცნობები ამ ფაქტთან დაკავშირებით, თითოეული ავტორი სხვადასხვაგვარად გადმოგვცემს ქართლის უფლებას კათალიკოსის კურთხევაზე. მოდით განვიხილოთ თითოეული მათგანი. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების პროცესს, როგორც ჩანს რთული და ხანგრძლივი გზა ჰქონდა. 681 წელს მსოფლიოს VI საეკლესიო კრებაზე არ დასრულებულა ეს პროცესი. VIII საუკუნეში იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმის (741-775) დროს საქართველოდან ანტიოქიაში წარგზავნილი იქნენ ბერები, ანტიოქიური ქრონოგრაფიების თანახმად ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ქართლის კათალიკოსი. რომელთაგან ერთ-ერთი იოანე, ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს (744-750) მიერ ნაკურთხი იქნა ქართლის კათალიკოსად. ზემოთ

[9] პავლე ინგოროყვა, "გიორგი მერჩულე". გვერდი 42. თბი. 1954 წ.

აღნიშნულ ცნობებს გვაწვდიან სხვადასხვა ავტორები XI საუკუნეში მოღვაწე ბერები ეფრემ მცირე და ნიკონ შავმთელი, რომლებსაც უსარგებლიათ "ანტიოქიური ქრონოგრაფით". გარკვეული განსხვავებით იმავე ცნობებს იმეორებენ XVII საუკუნის ანტიოქიის პატრიარქი მაკარი და მომდევნო საუკუნეში მცხოვრები ანტიოქიელი მღვდელი მიქაელ ბრეკი.

აქედან გამომდინარე ნათელია, რომ თითოეული ცნობა ეფუძნება ანტიოქიურ ქრონოგრაფიებს და რამდენად სარწმუნოა ვერ ვივარაუდებთ, რადგან მათ თავიანთი სუბიექტური დამოკიდებულებები ჰქონდათ. ჩვენ მოგვეპოვება არაერთი ცნობა ამის შესახებ. ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტი რასაკვირველია მეცნიერებს არ დარჩებოდათ ყურადღების მიღმა. მეცნიერების ყურადღების ღირსად ჩაითვალა ეს ფაქტი. თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ იოანეს ქართლის კათალიკოსად ხელდასხმის შესახებ, არაერთი მასალა მოგვეპოვება. ძალზე საინტერესოა მათ შორის სიმონ დე სვენტინის "თათართა ისტორია", რომელიც ბოლო ხანებში თარგმნა ქართულ ენაზე დავით ნინიძემ და ამ ნაშრომში საუბარია სწორედ ამ ფაქტების შესახებ, მასში მრავალი მნიშვნელოვანი ცნობაა დაცული. არაერთმა ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და სულიერმა მამამ იმსჯელა ზემოთ დასახელებულ საკითხზე, მათ შორის კალისტრატე ცინცაძემ, კირიონ საძაგლიშვილმა, ევსევი ნიკოლაძემ, ალექსანდრე ცაგარელმა, თედო ჟორდანიამ, ბაბილინა ლომინაძემ. აღნიშნულ საკითხს 1991 წელს ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა ვახტანგ გოილაძემ. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ამ ფაქტთან დაკავშირებით, ანტიოქიურ წყაროებში ვითარება სულ სხვაგავარად არის გადმოცემული, ქართულ წყაროებში სულ სხვაგავარად, რაც რასაკვირველი იწვევს ეჭვს რამდენად სარწმუნოა ანტიოქიური ქრონიოგრაფიები, ვინაიდან. ქართული საისტორიო მასალით არ დასტურდება თეოფილაქტეს დროიდან საქართველოში წირვა-ლოცვის დროს ანტიოქიის პატრიარქის მოხსენება. ანტიოქიელის მოღვაწეობამდე " არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი." გამოდის, რომ მთელი 140 წლის მანძილზე ქართულ ეკლესიას კათალიკოსი არ ჰყავდა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ამ ხნის განმავლობაში დაახლოებით 16 კათალიკოსი მოღვაწეობდა მცხეთის საკათალიკოსო ტახტზე. ამასთანავე "ქართლის ცხოვრების" ცნობით VI საუკუნის 20-იანი წლებიდან "არღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა

საბერძნეთით" და ქართლის კათალიკოს საბას მოღვაწეობიდან (დაახლოებით 523 წლიდან) ეკლესიის მეთაურის ტახტზე ქართველები ადიოდნენ. რამდენად სარწმუნოა ეს ცნობები მაშინ, როდესაც ბიზანტიური და ქართული წყაროები ურთიერთ საპირისპირო ცნობებეს გვაწვდის? სარწმუნო უნდა იყოს ქართული წყაროები, ვინაიდან საბერძნეთს სურდა ქართლის საკათალიკოსოზე თავისი გავლენა გაევრცელეებინა და წყაროებში ასახული მოვლენაც სუბიექტური უნდა იყოს. გარდა ამისა, როდესაც ქართველებმა მოიპოვეს უფლება რამდენად სარწმუნოა ის ფაქტი, რომ საეკლესიო კრებაზე, რომელიც ჩატარდა ანტიოქიაში თვითონ თეოფილაქტე ანტიოქიელმა დაარღვია პროტრეპტიკონი და ერთ-ერთი მონაზონი აკურთხა ქართლის კათალიკოსად, დაუწესა გადასახადი, რომელსაც ქართველები იხდიდნენ იოანე მესამის მოღვაწეობამდე. აქ აშკარად იკვეთება პროტრეპტიკონის დარღვევა. თეოფილაქტე ანტიოქიელის მოღვაწეობის პერიოდში ანტიოქიაში ჩატარებულა საეკლესიო კრება, სადაც ქართველებმა მოიპოვეს პროტრეპტიკონი ანუ უფლება, რათა ქართლის კათალიკოსის ხელდასხმა მომხარიყო საქართველოშივე და ეს უფლება ეკუთვნოდათ კიდეც ქართველებს ქართველი მღვდელმთავრების მიერ. მაგრამ სამწუხაროდ თეოფილაქტე ანტიოქიელმა ეს დადგენილება თვითონ დაარღვია, რადგან მან ქართლის კათალიკოსი ამ კრებაზევე აკურთხა, რის საჭიროება სრულებით არ იყო" (იქვე: 35), ვინაიდან ქართველებს მოპოვებული ჰქონდათ პროტრეპტიკონის უფლება, ეს კი საეკლესიო საქმეებში ჩარევას გულისხმობდა. უფრო მეტიც, აი რა გააკეთა თეოფილაქტე ანტიოქიელმა. თეოფილაქტე ანტიოქიელმა ქართველებს "შეუქმნა აღწერითი მოსახსენებელი თავისა თვისისათვის", ხოლო შემდეგ ერთ-ერთი მონაზონი სახელად იოანე კათალიკოსად აკურთხა, თუმცა ყოველივე ამის გამო მათ დაუწესა "რაითა წლითიწლად მოსცემდნდნენ ჟამად-ჟამადთა პატრიარქთა ანტიოქიისათა ათასსა დრაჰკანსა". ეფრემ მცირეს ცნობით სწორედ თეოფილაქტე ანტიოქიელის დადგენილებით ქართველები ათას დრაჰკანს იხდიდნენ ანტიოქიის პატრიარქ იოანე III-ის (996-1021) მოღვაწეობამდე. თუმცა შემდგომ ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ის (976-1025) დახმარებითა, ვინაიდან ქართველებმა ბასილ მეორეს არაერთხელ გაუწიეს დახმარება, თვითონ ბასილ მეორეც დაეხმარა ქართველებს და ანტიოქიის პატრიარქ

პეტრე II-ის სურვილით, საქართველოს ეკლესიის შემოსავალი გადასცემია იერუსალიმის პატრიარქ ორესტის (986-1006), რომელსაც ქართველები იხდიდნენ. ასევე VIII საუკუნიდან საქართველოში ეფრემის ცნობით დაწესებულა ანტიოქიის პატრიარქის მოხსენიება, ხოლო "უკეთუ გამოჩნდეს წვალებაი, მაშინღა მიავლინებდეს მუნ ექსარხოსსა განხილვად და განმართვად წვალებათა და ცთომათა სულიერთა, თუმცა რა მწვალებლობაზეა საუბარი აქ ნათლად არ ჩანს. ქართველების სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ისინი იხდიდნენ და ასრულებდნენ ყველა მოვალეობას, რაც მათ ჰქონდათ დადგენილი. მიუხედავად პროტრეპტიკონის უფლებისა ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ეს უკანასკნელი კი მართლმადიდებლურ რელიგიას უფრო აძლიერებდა და ერთიან ჯაჭვს ქმნიდა მაშინ, როდესაც მეთერთმეტე საუკუნეში 1054 წელს მოხდა სქიზმა. ვითარ იგი ნეტარისა თეოდორე პატრიარქისა დღეთა წარივლინა ბასილი ღრამატიკოსი წვალებისათვის აკაკთაისა". როგორც ისტორიკოსმა ვ. გოილაძემ გამოარკვია: ქართული და ბიზანტიური წყაროები ურთიერთ საპირისპირო ცნობებს გვაწვდიან. ის რაც დასტურდება ბიზანტიური წყაროებით არ დასტურდება ქართული წყაროებით. რაც შეეხება ქართულ წყაროებს აი რას გვაწვდის ქართული წყაროები:

1. ქართული საისტორიო მასალით არ დასტურდება თეოფილაქტეს დროიდან საქართველოში წირვა-ლოცვის დროს ანტიოქიის პატრიარქის მოხსენება.

2. არავითარი ცნობა არაა XI ს-ის საქართველოში არსებულ მწვალებლობათა გამო ანტიოქიიდან რომელიმე სასულიერო პირის ანდა ბასილი გრამატიკოსის ჩამოსვლის შესახებ [10]

აქედან გამომდიანარე რთულია ბოლომდე რომელიმე ავტორს დაეყრდნო, ვინაიდან ავტორთა ერთი ნაწილი არაფერ ამბობს ათასი დრაჰკანის გადახდაზე და ქართველთა მხრიდან თეოფილაქტე ანტიოქიელის მოხსენიებაზე. თუმცა კათალიკოსის კურთხევა უნდა მომხდარიყო. მაგრამ, როგორც აღვნიშნე არაფერია საუბარი ათასი დრაჰკანის გადახდაზე. ასევე საუბარია, რომ ამ საეკლესიო კრებაზე ქართველებს მიეცათ პროტრეპტიკონის უფლება. ჩვენ გვაქვს ამ მასალებში

[10] ვ. გოილაძე, ბიზანტიის ისტორია ქართული ეკლესიის სათავეებიდან , გვ. 154. თბ. 1991

ხარვეზები და ამ ხარვეზების შევსება უნდა მოხდეს არა ანტიოქიური ქრონოგრაფიებზე დაყრდნობით, არამედ ქართველ მეცნიერებზე დაყრდნობით. ვინაიდან გასაგებია, რომ ბერძნებს თავიანთი ინტერესები ჰქონდათ. ეფრემ მცირეს მიერ ამოღებული ინფორმაცია ,,ანტიოქიური ქრონოგრაფიდან", მრავალ არარეალურ და ტენდენციურ ცნობას შეიცავს და ხშირად წარმოადგენს უფრო ბერძნების დაუოკებელ სურვილს, რათა შექმნან "კანონიკური საფუძველი" და ქართული ეკლესია თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფად წარმოადგინონ. ამის გამო ეფრემ მცირეს თხზულებაში ბევრი რამ ურთიერთსაპირისპიროდ არის წარმოადგენილი, მიუხედავად ამისა, თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ იოანეს ქართლის კათალიკოსად კურთხევას საეჭვოდ ვერ მივიჩნევთ. ანტიოქიური ქრონოგრაფიები სრულებით განსხვავდება ქართული ქრონოგრაფიებისგან და ეს ფაქტი აშკარაა, რადგან თუ ამ კრებაზე ქართველებმა მოიპოვეს პროტრეპტიკონის უფლება მაშინ რატომღა აკურთხა ანტიოქიის პატრიაქმა თეოფილაქტემ ქართლის კათალიკოსი? მიუხედავად ამისა დანამდვილებით უნდა ითქვას, რომ თეოფილაქტეს მიერ მოხდა ქართლის კათალიკოსის კურთხევა, ხოლო რაც შეეხება ქართლის ცხოვრებას აი რა ცნობებს გვაწვდის ქართლის ცხოვრება. აღსანიშნავია, რომ "ქართლის ცხოვრებაში" მონათხრობი ამბავი მთელი ასი წლით ადრე ადარნასე I-ის ერისმთავრობის (603-639) პერიოდში არის ჩასმული: ,,და მოკუდა კათალიკოსი ბართლომე და ამან ადარნასემ დასუა კათალიკოსად იოანე"[11] ეს ინფორმაცია რამდენად მართებულია და რამდენად ჰქონდა ერისმთავარს სასულიერო პირის ხელდასხმის უფლება ეს საეჭვოა, რადგან საერო და სასულიერო ცხოვრება ერთმანეთისგან გამიჯნულია. ეს აშკარა შეცდომაა, რადგან გარდა ქრონოლოგიური შეცდომისა, აქ ნათლადაა მითითებული, რომ ადარნასე ერისმთავარს დაუსვამს კათალიკოსად იოანე. ჩანართის ტექსტი ოდნავ განსხვავებულია ეფრემ მცირეს თხზულების ტექსტისაგან: ხოლო ჩანართის ტექსტი განსხვავდება და აი რა წერია ჩანართის ტექსტში."... და წარგზავნეს ანტიოქიას და მის თანა მონაზონი ერთი მოციქულთაცა და საკურთხეველთაცა. წარგზავნილ იქნა მონაზონი, ვინაიდან უნდა მომხდარიყო ანტიოქიაში კათალიკოსის კურთხევა. რამეთუ განწესებულ იყო კურთხევა ანტიოქიით კათალიკოსისა და ვერღარავის

[11] სიმონ ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება,I,226.

ხელეწიფებოდა სვლად გზასა ანტიოქიისასა. ამისთვის დიდი ზრუნვა აქუნდა ქართველთა... და სწორედ ამ საეკლესიო კრებაზე ქართველებმა მოიპოვეს პროტრეპტიკონის ულება.. ხოლო ამას ანტიოქიის კრებასა შინა გაპატიოსნდა და განთავისუფლდა მათგან კათალიკოსი. ანუ ქართლის კათალიკოსის კურთხევა უნდა მომხდარიყო საქართველოში ამ საეკლესიო კრების დადგენილებით, რამეთუ ხელქვით აღარ არის პატრიარქთა, აღარც აკურთხევენ, არამედ თვისნი ეპისკოპოსნი აკურთხევენ და მიერითგან განეფინა ქვეყანასა ზედა, ვითარმედ განთავისუფლდა კრებასა შინა ანტიოქიისასა. ჩვენთვის ცნობილი ფაქტია, რომ მეოთხე საუკუნეში გამოცხადდა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 326 წელს, ესე იგი ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ და კონსტანტინეპოლიდან ხდებოდა ხელდასხმა კათალიკოსის, ეს მოვლენა კი ისტორიული მნიშვნელობის გახლავთ და მიუთითებს ქართული ეკლესიის როლს მსოფლიო მართლმადიდებლურ სივრცეში..

მაგრამ ამ დროისთვის, სანამ მოხდებოდა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა და ქართველებს მიეცემოდათ პროტრეპტიკონის უფლება ხელდასმა ხდებოდა კონსტანტინეპოლიდან ან ანტიოქიიდან. (იქვე: 226). ჩანართში არ არის საუბარი ანტიოქიის პატრიარქიის მოხსენიებაზე და ათასი დრაჰკანის გადახდაზე. პირიქით, ხაზგასმულია, რომ ანტიოქიის აღნიშნულ კრებაზე განთავისუფლდა ქართლის კათალიკოსი და მას უკვე არანაირი ვალდებულება აღარ ჰქონდა ანტიოქიის პატრიარქთან. ,,ქართლის ცხოვრების" ჩანართში საუბარია ასევე ამ პერიოდში იოანე გუთელი ეპისკოპოსის მცხეთაში კურთხევაზე. "მაშინ უკვე იოანე გუთელი ეპისკოპოსი თვისისა სამწყსოსა და ერისა მიერ მოივლინა ქართლად, და ქართლისა კათალიკოსისა იოანეს მიერ მიიღო ხელდასხმა მცხეთას, რამეთუ მას ჟამსა საბერძნეთისა კერძონი ხატთა ბრძოლისა წვალებასა დაეპყრნეს". უდიდესი მნიშვნელობის არის ის ფაქტი, რომ მაშინ, როდესაც ხატთ მებრძოლეობა მიმდინარეობდა, ქართლში ხდებოდა ეპისკოპოსთა კურთხევა და ამის ნათელი მაგალითია იოანე გუთელი ეპისკოპოსი, როდესაც მისი ხელდასხმა მოხდა ქართლში. აშკარაა, რომ ჩანართის ავტორმა იცის იოანე გუთელის მცხეთაში ხელდასხმის ამბავი, რომ სწორედ ქართლის კათალიკოს იოანეს მიერ განხორციელდა იოანე გუთელის კურთხევა. იოანე ქართლის კათალიკოსი კი სწორედ ის იოანეა, რომელიც

თეოფილაქტე ანტიოქიელმა აკურთხა 744-750 წლებში. ესე იგი ქართველებმა მოიპოვეს არა მარტო პროტრეპტიკონის უფლება, არამედ მათ მიეცათ უფლება ეკურთხებიანთ ეპისკოპოსები. თ. ჟორდანია მიიჩნევს, რომ ამ ჩანართის ავტორი თეიმურაზ ბატონიშვილია. ეფრემის ჩანართი თითქმის სიტყვა-სიტყვით შეტანილია,[12] როგორც ეფრემის წერილითგან, მაგრამ არა ვახტანგის მიერ (წინააღმდეგ ექ. თაყაიშვილის რწმუნებისა), არამედ შემდეგ ვახტანგისა, ვგონებ თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ [13] ისტორიკოსი ვ. გოილაძე მიიჩნევს, რომ 744-750 წლებში საქართველოს კათალიკოსად ხელდასხმული იოანე დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) პირველ (ავტოკეფალურ) კათალიკოსად უნდა იქნეს მიჩნეული. ეს ფაქტი კი რეალობას არ შეესაბამება. მისი მოღვაწეობა 744 წლის შემდგომ ხანაზე მოვა.[14] ეს ვარაუდი გაიზიარა მიტროპოლიტმა ან. ჯაფარიძემ: ,,744-750 წლებში თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსად იოანეს ხელდასხმის შესახებ ცნობა, ჩანს, "ანტიოქიურ ქრონოგრაფში" შევიდა და როცა XI საუკუნეში მას ეფრემ მცირემ მიაკვლია, მთელი საქართველოს ეკლესიაზე გავრცელდა".[15] თავდაპირველად ჩვენც ვიზიარებდით აღნიშნულ მოსაზრებას, მაგრამ მომდევნო კვლევებმა გვიჩვენა, თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ ნაკურთხი იოანე შეუძლებელია, აფხაზეთის კათალიკოსი ყოფილიყო. რაც შეეხება სასულიერო ცხოვრებას, არაბებისგან დასუსტებულ საქართველოში ყოველივე ჩამკვდარიყო. VIII და IX-Xს, ამ უაღრესად რთულ ეპოქაში მიმდინარეობდა სამონასტრო საქმიანობა, რომლის მთავარი მესვეური გახლდათ გრიგოლ ხანძთელი. საქართველოს სულიერი ცხოვრებისათვის მეტად დამახასიათებელი და გამორჩეულია მერვე -მეათე საუკუნეები განსაკუთრებული ელფერის მიმცემი ძლიერი სამონასტრო მოძრაობით ხასიათდება.....მეფე აშოტ კურაპალატმა, რომელიც მმართავდა სამხრეთ დასავლეთ საქართველოს კერძოდ კი ტაო-კლარჯეთს, ამ სულიერი ცხოვრების აღმავლობის გზაზე გვერდით ედგა გრიგოლ ხანძთელს. აშოტ კურაპალატის მოღვაწეობას ემთხვევა გრიგოლ ხანძთელის

[12] სიმონ ყაუხჩიშვილი,ქართლის ცხოვრებაში, I. გვ.171

[13] ქრონიკები, I. 1892:78.

[14] ვ. გოილაძე, ქართული ეკლესიის სათავეებიდან ,გვ.169-170, თბ.1991.

[15] ა.ჯაფარიძე,საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. გვ. 506, თბ.2009.

მოღვაწეობა, როგორც აღვნიშნე უძველესი ქართული მწერლობის ძეგლები ტაო კლარჯეთმა შემოგვინახა და სწორედ ტაო-კლარჯეთში მიმდინარეობდა სამონასტრო საქმიანობის განვითარება, ტაო-კლარჯეთი გახლდათ მნიშვნელოვანი ცენტრი, რომელიც აღივსო ეკლესია მონასტრებით. ყოველ მონასტერში იყო- სკოლა, ბიბლიოთეკა, სემინარია, სადაც ასწავლიდნენ სხვადასხვა დარგს: ღვთის მეტყველებას, წერა კითხვას, ბერძნულ გალობას, ოქრომჭედლობას. ღვთის მსახური ხელმწიფე აშოტ კურაპალატი მუდმივად გვერდით ედგა გრიგოლ ხანძთელს. კლარჯეთში ბაგრატიონები მკვიდრდებიან, მოგვიანებით კლარჯეთი სამეფოს დედაქალაქად იქცა. ღირსი გრიგოლ ხანძთელი აშოტის დახმარებით, აგებდა ეკლესია ,მონასტრებს. აშოტ კურაპალატმა გრიგოლ ხანძთელთან ერთად უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა სამხრეთ დასავლეთ საქართველოს განვითარებაში, რადგან ეს ადგილები გრიგოლ ხანძთელის დამკვიდრებამდე იყო უდაბური. მეფე კეთილმორწმუნე გახლდათ, იგი ენდობოდა წმინდა მამა გრიგოლს. იმდენად ენდობოდა, რომ ყოველთვის ყოველ, ახალ დაწყებულ საქმეში გრიგოლის გვერდით იდგა.

წინათაც არსებობდნენ საქართველოში მონაზონები. პროკოპი კესარიელის დროს ქართველებს პალესტინაში ორი, ლაზებისა და იბერთა, უდაბნო ჰქონიათ. ქართველები აშენებდნენ სასულიერო კერებს არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც არსებობდა უამრავი სასულიერო კერები. მერვე საუკუნის დასასრულს და მთელს მეცხრე და მეათე საუკუნეებშიაც გაცხოველებული იყო სამონასტრო საქმიანობა, რაც რასაკვირველია ქვეყანაში დაწყებულ განვითარებას გულისხმობდა, ვინაიდან ადრე ეს ადგილები იყო უდაბური. შავშეთ-კლარჯეთ-ტაოში ამ მოძრაობის მოთავედ და განმახორციელებლად გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე გრიგოლ ხანძთელი (759-861 წ.) ყოფილა. გრიგოლს რომელსაც მრავალი მოწაფე და მიმბაძველი ჰყავდა ამ სამონასტრო მოძრაობას საქართველოსათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა, იმიტომ რომ ბერ მონაზვნებმა საქართველოს დაუსახლებელ ადგილებს მიაქციეს ყურადღება, განავითარეს სოფლის-მეურნეობა კერძოდ, იქ ბაღ-ვენახები გააშენეს. სასულიერო პირების ბრძოლამ საქართველოს ახალი იმედის ნაპერწკალი გაუჩინა, მათი

მოღვაწეობა გულისხმობდა ახლის დასაწყის, მათმა იქ დამკვიდრებამ უდაბური ტყეებით მოცულსა და მტრისაგან განადგურებულს ადგილებში კვლავ სიცოცხლისა და კულტურის კერა შეჰქმნა. როგორც აღვნიშნე ადგილები იყო დაუსახლებელი ეს კი ერთი-ორად ართულებდა მშენებლობის პროცესს. არ იყო გზები, უგზო-უკვლო ადგილებში გზები გაკეთეს, გაუვალ ტყეებში მშვენიერი შენობები ააგეს, განაახლეს ირგვლივ არსებული შენობა-ნაგებობანიო დიდებული ნანგრევები, მიტოვებული ციხე-ქალაქები და ეკლესიები განახლდა. თუ გავიხსენებთ, რომ VIII-IX ს. სამცხე, შავშეთ-კლარჯეთ-ტაო და მესხეთის უმეტესი ნაწილი თითქმის სრულებით უკაცრიელი იყო, IX-X ს.-კი იქ უკვე მრავალი მონასტრები და ეკლესიები აშენდა. ამ სრულიად უსიცოცხლო მხარეში დაიწყო დასახლება, დაბა-ქალაქებით მოიფინა, მიუვალ ადგილებზე მონაზონთა შრომის წყალობით დაიწყო სამონასტრო ცხოვრება. რჩეულ მოღვაწეთა ჯგუფს, რომელთაც სხვათა შორის მესხეთის დასახლებას და მის აყვავებას ხელი შეუწყვეს, ეკუთვნოდნენ გრიგოლ ხანძთელი ხანძთისა, შატბერდისა, გუნათლეს, მერის და უბეს მონასტრების ამშენებელი, სერაპიონ ზარზმელი, ზარზმის მონასტრის დავით მიძნაძორელი, ილარიონი, წყაროსთავის ის დამფუძნებელი, მიქელ პარეხელი, საბა დიდებულ "იშხნისა მორედ მაშენებელი" აღმშენებელი, და მრავალნი სხვანი.[16]

საერო ეკლესიების მღვდლებზე გაცილებით უფრო მაღალი ხარისხი ეპყრათ მონაზონებს, რომელნიც თავიანთ თავს სახელმწიფო და საერო მთავრებისგან სრულებით დამოუკიდებლად ჰგრძნობდნენ. «ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არავისსა ჴელმწიფებასა ქუეშე არიან»-ო, ამბობდა თურმე გრიგოლ ხანძთელი [17] და მართლაც იმ დროს ბერს სრულებით დაუსჯელად შეეძლო მთავრის ბრძანებისათვის არავითარი ყურადღება არ მიექცია; სწორედ ამავე ხანაში, 843-859 წწ. განხორციელდა მნიშვნელოვანი მოვლენა, მირონის კურთხევა რომელიც იერუსალიმში ხდებოდა, დიდი ეფრემის წყალობით და შრომით მირონი იკურთხებოდა ქართლში. მსოფლიო და განსაკუთრებით, საბერძნეთის ეკლესიის მყუდროება ერთის საუკუნის განმავლობაში, 725-843 წ.წ. იყო რთული აქ, რადგან

[16] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტომი მეორე, გვ. 111-112.
[17] იქვე 108-111

დაპირისპირება იყო ხატების თაყვანისმცემელთა და ხატ მებრძოლთა შორის. ხატების თაყვანისცემა კერპთ თაყვანისცემად იყო გამოცხადებული და ბიზანტიის კეისრებისა და უმაღლესი სამღვდელოების მიერ აკრძალული იყო. ხატების მებრძოლნი თავიანთ მოწინააღმდეგეებს დაუნდობლად ექცეოდნენ. საპყრობილე და ექსორია, სიკვდილიც-კი იშვიათი ხვედრი არ იყო ხატების თაყვანისმცემელთათვის; თვით ხატები გაანადგურეს და მოსპეს, სადაც-კი შეიძლებოდა[18]. საბერძნეთის ეკლესიაში მონაზონები და გამოჩენილი საეკლესიო მწერლები ხატების მებრძოლთა წინააღმდეგნი იყვნენ, დასავლეთის ეკლესიას კი ამ მოძრაობაში თითქმის მონაწილეობა არ მიუღია და ხატების თაყვანისმცემელთა მხარე ეჭირა. რომის ეკლესიასავით საქართველოს ეკლესიაც ხატების მებრძოლთა წინააღმდეგი ყოფილა და აღმოსავლეთში მაშინ თითქმის ერთად-ერთი ეკლესია იყო, რომელიც ძველს წესს იცავდა და ხატების თაყვანისცემა არ უარყვია. ამის გამო იმ საეპისკოპოსო სამწყსოებს, რომელნიც კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს არ ეთანხმებოდნენ და ხატებს თაყვანსა სცემდნენ, უნებლიედ ან ახალ ეპისკოპოსთა ბიზანტიაში ხელდასხმაზე უნდა უარი ეთქვათ, ან არა და იერარქიულად საბერძნეთს უნდა ჩამოშორებოდნენ და თავიანთთვის საეპისკოპოსოდ არჩეული იქ გაეგზავნათ, სადაც ეკლესიაში ხატების მებრძოლნი არ იყვნენ გაბატონებულები. სწორედ ასედაც მოქცეულან გუთები, რომელთაც ეპისკოპოსი იოანე ჯერ საბერძნეთში წასული, იძულებული იყო უკურთხებელი გამობრუნებულიყო; მერე იგი იბერიაში ანუ საქართველოში წასულა და აქ კათალიკოსისაგან მიუღია ხელდასხმა; ამას მოგვითხრობს თვით იოანე გუთელ ეპისკოპოსის ბერძნული ცხორებავე 263. იოანე გუთელი ეპისკოპოსი ლეონ ისავრიელისა (717-741) და კონსტანტინე (741-775) კეისრების თანამედროვეა. თავის დროს ამ ცნობით ისარგებლა გამოჩენილმა ქართველმა საეკლესიო მოღვაწემ გიორგი მთაწმინდელმა, როდესაც იგი ანტიოქიის სამღვდელოებას საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლებებს უმტკიცებდა. ანტიოქიის პატრიარქს მან სხვათა შორის უთხრა: «იყო ჟამი, რომელ

[18]მარიამ ლორთქიფანიძე,დავით მუსხელიშვილი,როინ მეტრეველი, ისტორიის,ეთნოლოგიის, რელიგიის, შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი,საქართველოს ისტორია გვ.124-125.

ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაჲ არა იპოვებოდა. და იოანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სჯნაქსარსა ვიცით, რომ VII ს. ლაზიკის სამიტროპოლიტო ფაზისში და აფხაზეთის ავტოკეფალი არქიეპისკოპოსი კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სამწყსოს ეკუთვნოდნენ; ამას ამტკიცებს VII ს. დასასრულს შედგენილი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სამრევლოს ნუსხა, ეგრეთწოდებული "Notitiae episcopatuum", რომელშიაც სხვათა შორის ზემოაღნიშნული ორი სამღვდელმთავროც არის შეტანილი[19] ასევე საქართველოს ისტორიის ავტოკეფალიის საკითხები გვ. 11ლევან ტყეშელაშვილი. მერე, როგორც ცნობილია, სამეგრელო და აფხაზეთიც საეკლესიო მართვა-გამგეობის მხრივაც შეერთებული იყო სრულიად საქართველოს ეკლესიასთან. მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში აფხაზეთის ეკლესია შემოუერთდა დედა ეკლესიას. ეს იმითაც ჩანს, რომ გიორგი მთაწმიდელი ანტიოქიის პატრიარქის წინაშე ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის, ანუ "თჳთმწყსობის" უფლებას ასაბუთებდა: ხოლო მანამდე ცნობილია, რომ აფხაზეთის ეკლესია ემორჩილებოდა ბიზანტიას. გიორგი მთაწმინდელი კი ასაბუთებს, რომ მოგვიანებით მოხდა მათი გაერთიანება და დაექვემდებარა ქართულ ეკლესიას. «ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი – სიმონს ვიტყჳ კანანელსა, ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების»-ო. ამ დროს რომ აფხაზეთის ეკლესია საქართველოს საერთო ეკლესიას არ ჰკუთვნებოდა, გიორგი მთაწმიდელი ასეთს საბუთს ვერ მოიყვანდა იმიტომ, რომ მას უპასუხებდნენ, თქვენ ამით არავითარი უფლება არ მოგენიჭებათ, რადგან აფხაზეთი საბერძნეთის ეკლესიას კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს, ეკუთვნის და არა მცხეთის საკათალიკოზო საყდარსაო. საქართველოს ეკლესიის დასავლეთ-აღმოსავლეთის ნაწილების დაახლოვება შესაძლებელია VIII-IX ს. მომხდარიყოს, იმ დროს, როდესაც საბერძნეთის სამღვდელმთავრო საყდრები ხატისმებრძოლ პატრიარქებს ეპყრათ და ხშირად მცხეთაში მოდიოდნენ ხელდასხმისათვის ისეთი შორეული ქვეყნიდანაც, როგორც იყო გუთეთი. მით უფრო

[19] მარიამ ლორთქიფანიძე, დავით მუსხელიშვილი,როინ მეტრეველი.ისტორიის,ეთნოლოგიის,რელიგიის,შესწავლისა და პროპაგანდის ცენტრი,საქართველოს ისტორია,თბილისი 125-126}

მოსალოდნელია, რომ ლაზიკის მიტროპოლიტს ხელდასხმა ქართლისა კათალიკოზისაგან მიეღო, ხოლო აფხაზეთის ავტოკეფალ არქიეპისკოპოზს მცხეთის მამამთავართან მჭიდრო კავშირი დაედო. მაგრამ თუ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ეპისკოპოსთა IX ს. ნუსხები იმდროინდელ მდგომარეობას სწორედ გვისურათებს, ირკვევა, რომ აფხაზეთის ერთი საარქიეპისკოპოსო საყდარი სებასტოპოლში მაშინაც კონსტანტინეპოლის მამამთავრის სამწყსოს ეკუთვნოდა ვითარცა ავტოკეფალი არქიეპისკოპოსი[20]. საქართველო უარყოფდა იმ დამოკიდებულებას ყოველთვის, რასაც ხატმებრძოლები იჩენდნენ, ხატთაყვანისმცემელთა მიმართ, რასაკვირველია ამის გამო მას განხეთქილება ექნებოდა კონსტანტინეპოლის საპატრიაქოსთან, მაშინ, როდესაც სამღვდელმთავრო საყდრები, ხატმებრძოლ პატრიარქებს ეპყრათ. გასაკვირი არც უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ხშირად საქართველოში ჩამოდიოდნენ ხელდასასხმელად ვინც წიინაღმდეგი იყო ხატმებრძოლეობის. რელიგიური თვალსაზრისით დაიწყო მნიშვნელოვანი გარდაქმნები. მეცხრე-მეათე საუკუნე ეკონომიკური თვალსაზრისით ხელსაყრელი აღმოჩნდა საქართველოსთვის და ქართველი ერისთვის. მურვან ყრუს ლაშქრობამ მერვე საუკუნი პირველ მეოთხედში მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოს, მაგრამ მოგვიანებით დაიწყო აღმავლობა. ქვეყნის ეკონომიკა გაძლიერდა, ბარის მოსახლეობა გაიზარდა. მერვე საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში დაიწყო აოხრებულ და დაუსახლებელ ადგილებში დასახლება. მოსახლეობამ აითვისა ახალი საცხოვრებელი ადგილები. დაიწყეს ტყეების გაკაფვა, რასაკვირველია გაიზარდა სამიწათმოქმედო არეალიც, გაუმჯობესდა საგარეო ურთიერთობებიც, დაიხვეწა სამუშაო იარაღები, ფართოდ ინერგება ახალი სახვნელი საშვალება გუთანი. საქართველოში უძველესი დროიდან იყო განვითარებული მესაქონლეობა, საქართველოში გამოყვანილი: თხის, ძროხის, ცხვრის, ცხენის ჯიშებს საუკეთესო თვისებებით ხასიათდებოდნენ. საქართველოში ასევე განვითარებული იყო მეფუტკრეობა, ტექნიკური კულტურები, განსაკუთრებით სელის წარმოება და დამუშავება. თაფლი, ცვილი და სელის ნაწარმი უცხოეთში გაჰქონდათ. საქართველოს სოფლის მეურნეობის საფუძველი გახლდათ მიწა. თბილისის საამირო

[20] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია,ტომი მეორე, გვ. 117-118.

კი თანდათან შორდება არაბთა სახალიფოს. იმ რაიონებშიც კი სადაც არაბები იყვნენ გაბატონებული დაიწყო ეკონომიკის და ქვეყნის განაშენიანება.

თავი III

ტაო - კლარჯეთის სამთავროსთან ბიზანტიის ურთიერთობა

სამეფო სამთავროებად დაშლილ საქართველოსთან ბიზანტია კვლავ ინარჩუნებდა კარგ ურთიერთობას, ბიზანტიის იმპერატორმა დახმარება გაუწია აშოტს. აშოტმა თავის მხრივ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა ტაო-კლარჯეთში. ქვეყანა

გახლდათ დასუსტებული, როგორც ეკონომიკური, ისე დემოგრაფიული თვალსაზრისით, ბარის მოსახლეობა გახიზნული გახლდათ მთაში, მტრის შემოსევებს ვეღარ უმკლავდებოდა ქვეყანა, შეწყდა სასოფლო სამეურნეო მიწების გამოყენება, არაბებმა დაანგრიეს ეკლესია_მონასტრები და მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ცენტრები. საქართველო აწარმოებდა, როგორც საშინაო ისე საგარეო ომებს. აშოტ კურაპალატმა განახორციელა არაერთი რეფორმა, აღადგინა არტანუჯის ციხე, ააშენა არაერთი ეკლესია მონასტერი, გრიგოლ ხანძთელის დახმარებით ადრე მივიწყებულ და უდაბურ ადგილებში აიგო არაერთი ეკლესია_მონასტერი, დაიწყო ღვთის მსახურება[21]. შეიქმნა საგანმანათლებლო კერები, განვითარდა საგანმანათლებლო სისტემა. ქართველი დიდებულები მიდიოდნენ ბიზანტიაში, ბიზანტიაში შეიქმნა არაერთი სასულიერო კერა. აშოტ კურაპალატი გახლდათ პიროვნება, რომელმაც შეძლო ეკონომიკურად დასუსტებული ტაო კლარჯეთის გაძლიერება. აშოტ კურაპალატმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მას კურაპალატის ტიტული ებოძა ბიზანტიის მხრიდან. ტაო-კლარჯეთი გახლდათ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული. ქართველთა სამეფო — ფეოდალური პოლიტიკური ერთეული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რომლის ტერიტორიულ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა ტაო-კლარჯეთი, ძირითადად მოიცავს შემდეგ ტერიტორიებს: დღევანდელი ერზურუმის, არტაანის, ართვინისა და ყარსის რეგიონებს.

ტაო-კლარჯეთი გახლდათ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული და ბარიერი არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაშინ როდესაც საქართველო დაშლილი გახლდათ სამეფო სამთავროებად. სამეფოს შექმნას IX საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაუყარა ქართლის ერისმთავარმა, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დამაარსებელმა აშოტ I-მა. მან აღადგინა ციხე ქალაქი არტანუჯი, რომელიც სამეფოს ცენტრი გახდა.

IX-X საუკუნეებში ქართველთა სამეფო უძლიერესი იყო ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოთა შორის. აშოტმა თავის სამფლობელოებს შიდა ქართლიც შეუერთა.
აშოტ კურაპალატის მეცადინეობით არაერთი ტაძარი აიგო.. გაიზარდა ქვეყნის

[21] ივ. ჯავახიშვილის ,ქართველი ერის ისტორია, ტ. II გვ. 87.100.

ეკონომიკა, არაბების წინააღმდეგ მებრძოლი მეფე აქ დასახლდა.. მისი გარდაცვალების შემდეგ ქვეყანა პოლიტიკურად საგრძნობლად დასუსტდა და ბაგრატიონებს მხოლოდ კლარჯეთზეღა შერჩათ კონტროლი. მაშინ, როდესაც აშოტ კურაპალატის დროს არ ხდებოდა ხარაჯის გადახდა, უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ ტაო-კლარჯელებს უხდებოდათ ხარაჯის გადახდა. მიუხედავად ამისა მისმა შვილებმა: მეფე ბაგრატ I-მა და მისმა ძმამ გვარამმა მოქნილი პოლიტიკის მეშვეობით მოახერხეს მამის სამფლობელოების სამეფოსათვის დაბრუნება[22] და აღარც ხარაჯას აღარ იხდიდნენ. ადარნასე II-ის გარდაცვალების შემდეგ მმართველი სახლი ადარნასეს ორ შვილს სუმბატ კურაპალატსა და ბაგრატ მაგისტროსს შორის დაიყო, შესაბამისად ორ ტაოს, პირველ და მეორე შტოებად. ქართველთა მეფის ტიტული ტაოს პირველ შტოში დამკვიდრდა ტაოს პოლიტიკური ცენტრი ბანა იყო, კლარჯეთისა კი არტანუჯი. ამ ორი ქართული ქვეყნას ძირითადი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციის მიხედვით ეწოდა ამ სახელმწიფოს სამეცნიერო ლიტერატურაში ტაო-კლარჯეთი.

მთელი IX-X საუკუნეების მანძილზე ქართველთა სამეფო აქტიურად ცდილობდა საქართველოს გაერთიანებას. იგი იბრძოდა ბიზანტიის იმპერიის, მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანური საამიროების წინააღმდეგ, პატარა საქართველო, რომელიც დანაწილებული იყო სამეფო-სამთავროებად ცდილობს მოახდინოს გარღვევა და იბრძვის მაჰმადიანური ქვეყნების წინაღმდეგ, კერძოდ, არაბთა სახალიფოს. აგრეთვე მონაწილეობდა სახალიფოს ბრძოლაში მმართველების, კერძოდ ტფილისის ამირების წინააღმდეგ. ქართველთა სამეფო გაძლიერდა X საუკუნის II ნახევარში, დავით III დიდი კურაპალატის და მეფეთ-მეფის დროს, რომელიც მთელი სახელმწიფოს უზენაეს ხელისუფლად იქცა. მისი სამეფოს საზღვრები სამხრეთით ვანის ტბამდე, დასავლეთით კი ერზინკამდე (ერზინჯანი) აღწევდა[4][5]. დავით III-ის მოთავეობით განხორციელდა ბაგრატ ბაგრატიონის გამეფება აფხაზთა სამეფოში (ჯერ ქართლში შემდეგ კი დას. საქართველოში), რამაც საფუძველი დაუდო ერთიან ქართულ ფეოდალურ მონარქიას. საქართველო ერთიანდება. საქართველოს გაერთიანების თარიღად ითვლება 978 წელი, როდესაც

[22] ივ. ჯავახიშვილი ,ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 104-105.

„ქართველთა სამეფოს“ (ე.ი. აღმოსავლეთ საქართველოს) თანამპყრობელმა ბაგრატ III-მ მიიღო აფხაზეთის სამეფოს (დასავლეთ საქართველოს) ტახტი. ამის შემდეგ ბაგრატი განაგრძობდა ერთიანი სამეფოს გარეთ დარჩენილი ქართული მიწების შემოერთებას: 1001 წელს, დავით III-ის გარდაცვალების შემდეგ მან მემკვიდრეობით კლარჯეთი და მეფეთა-მეფის ტიტული მიიღო, თუმცა „აფხაზთა მეფესთან“ ერთად „ქართველთა მეფის“ ტიტული და ტაო მხოლოდ 1008 წელს, მამის, გურგენ II-ის გარდაცვალების შემდეგ[23] ქართველთა სამეფოში მისი დაარსების დროიდანვე დიდი სამშენებლო საქმიანობა მიმდინარეობდა: აგებდნენ სასახლეებს, ხიდებს, ზრუნავდნენ გზების კეთილმოწყობაზე, დაარსდა ახალი საეპისკოპოსო კათედრები, გაფართოვდა ეკლესია-მონასტრების ქსელი, სადაც კულტურის და სწავლა-განათლების მნიშვნელოვანი ცენტრები შეიქმნა. ბაგრატიონი მმართველები ხელს უწყობდნენ ქართული მწერლობის, კულტურის განვითარებას, მფარველობდნენ ქართული კულტურის საზღვარგარეთულ ცენტრებს. ტაო-კლარჯეთის ჩამოყალიბება-განვითარებისთვის აღსანიშნავია გრიგოლ ხანძთელის აღმშენებლობით საქმიანობა. სწორედ მის სახელს უკავშირდება: ხანძთის, ოპიზის, ნეძვის, წყაროსთავის, იშხნისა და კვირიკეთის აგება. ქართველთა სამეფოს ცხოველი სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა გაბმული სხვა ქართულ სახელმწიფოებთან — სამეფო-სამთავროებთან; ასევე ბიზანტიასთან, ჩრდილოეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან. X საუკუნის II ნახევარში აღდგა ქართული ფულის მოჭრა, რომელიც შეწყვეტილი იყო არაბთა ბატონობის დროიდან. არტანუჯი იყო იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ცენტრი. იგი სავაჭრო გზებით უკავშირდებოდა საბერძნეთს, სომხეთსა და სხვა ქვეყნებს.

თავი V

აფხაზთა სამეფო

საქართველო მერვე მეათე საუკუნეებში არის დანაწევრებული სამეფო სამთავროებად. სამეფო სამთავროებად დაშლილ საქართველოში ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური ერთეული გახლდათ აფხაზთა სამთავრო, რომელიც გადაურჩა

[23] პაატა რამიშვილი, საქართველოსა და მსოფლიო ისტორია, გვ. 153-158.

არაბული სახალიფოს მხრიდან დაპყრობას. აფხაზთა სამთავრო გახლდათ ეკონომიკურად უფრო დაწინაურებული საქართველოს სხვა სამთავროებს შორის. ფაქტობრივად იგი განაგებდა ქართლსაც. მერვე საუკუნე გამოირჩეოდა რელიგიური თვალსაზრისითაც, ვინაიდან ამ პერიოდში მიმდინარეობდა ბრძოლა ხატთთაყვანისმცემელთა და უარმყოფელთა შორის. ქართველი პოლიტიკოსები არასდროს არ ყოფილან გულუბრყვილონი და ბიზანტიასთან მათი კავშირიც იყო რა თქმა უნდა საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე. ქართველი დიდებულები ირჩევდნენ პოლიტიკურ მოკავშირედ ხშირად ბიზანტიას მხოლოდ, იმიტომ რომ რელიგია იყო დამაკავშირებელი რგოლი ამ ორ სახელმწიფოს შორის და კულტურული თვალსაზრისითაც ბიზანტია უფრო ახლოს იყო ქართულ კულტურასთან. ქართველ მეფეებს არასოდეს დაუკარგავთ რწმენა საქართველოს გაერთიანებისა და ამ ორ იმპერიას შორის ბრძოლაში ყოველთვის ეძებდნენ გადარჩენის გზას. იმპერია რაც არ უნდა კარგი იყოს იმპერიაა. ქართველი დიდებულები კარგად აცნობიერებდნენ ყოველივეს და იქ სადაც იყვნენ მოღალატეებიც ქართული ეროვნულობისა და იდენტობის დასაცავად უფრო მეტი ეწირებოდა სამშობლოს, ვერც შიდა დაპირისპირებამ ვერა დააკლო საქართველოს როგორც სახელმწიფოს გაერთიანებას. ქართველი მეფეები ელოდებოდნენ შესაფერის დროს და აი როცა ბიზანტია დასუსტდა არაბებთან ბრძოლაში ტახტი დაიკავა ლეონმა. ჩვენთვის ცნობილი ფაქტია, რომ არაბთა სახალიფო ჩამოყალიბდა, როგორც ისლამური სახელმწიფო. არაბი ხალიფები ისლამურ რელიგიას ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ და ქართველებისთვის რელიგია იყო იდენტობის შენარჩუნება, სწორედ ამან დაახლოვა საქართველო ბიზანტიასთან.

საქართველოს არ დაუკარგავს დამოუკიდებლობა, იგი არ იყო ბიზანტიის ვასალი. ბიზანტია მას იღებდა, როგორც მფარველობის ქვეშ მყოფ ქვეყანას. მერვე საუკუნეში დაიწყო საქართველოს სამეფო სამთავროებად დაშლა, გარდა ამისა არსებობდა დამოუკიდებელი თბილისის საამირო, რომელიც დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდა და მას ხელ არ აძლევდა რასაკვირველია ძლიერი საქართველო. საქართველოს ისტორია მოიცავს პირველ რიგში, თანამედროვე სახელმწიფოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, შემდეგ გარკვეულ

ტერიტორიას ამიერკავკასიაში და ბოლოს ისტორიულ საქართველოს, რომელიც ოდესღაც ბევრად უფრო ვრცელი ყოფილა.[24] ქვეყნის ისტორიას, იმ მომენტიდან მაინც, როდიდანაც ეთნიკურობაზე ლაპარაკი შესაძლებელია, არ გამოჰყოფს ქართველი ერის ისტორიისაგან. მაგრამ აქაც აზუსტებს, რომ თავად ქართველები ყოველთვის აღიქვამდნენ ქართველად, ერთი მხრივ, დაბადებით ქართველს, ქართულად მოლაპარაკეს, მეორე მხრივ, საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ ადამიანს, განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა (იქვე). ,"For long periods in Georgian history, Abkhazia (whose indigenous language is a northwest Caucasian language unrelated to Georgian) has been part of the Georgian state. For most of Georgian history, those Ossetians (formerly Alanians, an Iranian people, remnant of Scythians) who live in Transcaucasia have also been subjects of the Georgian state. A history of Georgia is therefore, at times, a history of Abkhazia and Ossetia").აქედან გამომდინარე ერთიანი საქართველოს პირველი მეფეც იწოდებოდა მეფე აფხაზთა ,ქართველთა რანთა და კახთა. ქ ართული სამეფო სამთავროების გაძლიერება. აშოტ კურაპალატსა და კახთა დიდებულ გრიგოლს შორის მიმდინარე ბრძოლაში სწორედ თბილისის ამირა საჰაკი გრიგოლს მიემხრო, აქედან ნათლად იკვეთება საჰაკის განზრახვა. თუმცა საბედნიეროდ ამ ბრძოლაში აშოტს გაუმარჯვია. მას ეხმარებოდა აფხაზთა მეფე თეოდოსიც. მოგვიანებით ბრძოლა საქართველოს სამეფო სამთავროების საზღვრებს გასცდა და უფრო ფართო მასშტაბი მიიღო, ვინაიდან გაძლიერდა სომხეთის სამთავრო და ადრე ბრძოლა მხოლოდ საქართველოს სამეფო სამთავროებს შორის თუ მიმდინარეობდა ეხლა უფრო ფართო ასპარეზი მიიღო და გადაინაცვლა მის ფარგლებს გარეთაც კერძოდ სომხეთიც ჩაერთო ამ ბრძოლაში და ეხლა უნდა მომხდარიყო გავლენის სფეროების გადანაწილება სამხრეთ კავკასიაში.

რეალურად ეს ბრძოლა მიმდინარეობდა სომხეთის სამთავროსა და აფხაზთა სამთავროს შორის, ისინი ეცილებოდნენ პირველობას სამხრეთ კავკასიაში, სადაც სომხეთმა გაიმარჯვა, ვინაიდან სომხეთის მთავარი აშოტ ბაგრატუნი იწოდებოდა ქართველთა და სომეხთა ერის მთავრად.[25] აფხაზეთი არაბთა ბატონობას იმთავითვე

[24] ლევან გორდეზიანი ,დონალდ რეიფილდის ,საქართველოს ისტორია,გვ 1-8

[25] ივ ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.II, გვ. 88-90 .

გადაურჩა და კვლავინდებურად ბიზანტიის კეისრისაგან იყო დამოკიდებული. ბიზანტიის ინტერესის სფეროს ყოველთვის წარმოადგენდა აფხაზეთი, მაგრამ სწორედ VIII საუკუნეში ბიზანტია დასუსტებული იყო არაბებთან ბრძოლითა და შინაური საეკლესიო უთანხმოებისა და გამწვავებული ბრძოლისა გამო. სწორედ ამ საუკუნეში დაიწყო ბრძოლა ხატების თაყვანისმცემლებსა და უარმყოფელთა შორის. ამით უსარგებლია აფხაზეთის იმდროინდელ ერისთავს, როდესაც ბერძნები დასუსტდნენ, მათ განუდგა ლეონ ერისმთავარი. ე. თაყაიშვილის მიერ ნაპოვნი და გამოცემული ბაგრატ III "დივანი მეფეთა"-ს ქართული დედანი საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ თუ როდის უნდა მომხდარიყო ლეონის აფხაზთა მეფედ დაჯდომა. თუმცა აქამდეც მოგვეპოვებოდა იგივე ცნობები, მაგრამ მხოლოდ დოსითეოს პატრიარქის ბერძნულად დაწერილ წიგნში ნათარგმნი. რაკი აქამდე მისი დედანი არა ჩანდა, ამიტომ თვით ამ წყაროს ცნობებით მკვლევარს ფრთხილად უნდა ესარგებლა. ეხლა გამოირკვა, რომ თარგმანი დედანს უდგება. ბაგრატ III "დივანი მეფეთა" ამტკიცებს, რომ ლეონ «დაყო მეფობასა შინა თჳსსა წელიწადი ორმეოცდახუთი». მეფეთა ინდიქტიონების საშუალებით ე. თაყაიშვილმა, როგორც თავის დროზე ბროსემაც სცადა ბაგრატ III მოყოლებული უკუქცევითი გამოანგარიშებით გამოერკვია აფხაზთა მეფეების თარიღები და ლეონ პირველი გამეფებულია 746 წელს და უმეფია 791 წლამდე[26] დასავლეთი ორად იყო გაყოფილი: ჩრდილოეთის მხარე აფხაზთა მეფეს ეკუთვნოდა, სამხრეთი აშოტ კურაპალატსა და მის ჩამომავლობას. ამათ გარდა საქართველოს სამხრეთით, მოსაზღვრე სომხეთშიაც აღმოცენდა თანდათან ადგილობრივი სამთავროები. სწორედ ამ მთავრებს შორის იყო გამწვავებული ბრძოლა უპირატესობისა და ბატონობის გამო; თითოეული მათგანი ყოველ ღონეს იყენებდა, სულ იმის საგონებელში იყო, თუ როგორ გაეფართოვებინა თავის სამფლობელო და სხვისი ხელში ჩაეგდო, როგორ შეეერთებინა სხვადასხვა სამთავროები და თითონ ერთადერთ ბატონად გამხდარიყო. თითოეული მათგანი ცდილობდა თავისთვის და სხვის მოქმედებას აფერხებდა; კახეთის ქორეპისკოპოზი, ტაოკლარჯეთისა და ''ქართველთა მეფეები," აფხაზთა მეფეებიც და სომეხთა მეფეებიც ამისათვის იბრძოდნენ, ზოგჯერ ცალ-ცალკე, ზოგჯერ ჯგუფ-ჯგუფად

[26] იქვე, გვ. 87 .

შეკავშირებულნი და თანდათანობით, მაგრამ მედგრად ამ მიზნის განხორციელებასა ცდილობდნენ. დიდი ყურადღების ღირსია ეს შეუჩერებელი, ზოგჯერ ჩუმი, ზოგჯერ პირდაპირი ბრძოლა ბატონობის მოპოების და ქვეყნის გაერთიანების გულისათვის. ამ მისწრაფებისა და მოვლენის ხასიათისა და ისტორიის შესასწავლად აუცილებლად საჭიროა თითოეულ ზემოჩამოთვლილ ქართული სამფლობელოს მაშინდელი საზღვრები მხედვლობაში გვქონდეს. (საქართველოს ისტორია,მეოთხე საუკუნიდან,მეცცამეტტე საუკუნამდე[27] როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, ლეონმა, აფხაზთა პირველმა მეფემ, აფხაზეთის გარდა დაიპყრა აგრეთვე "ეგრისი ვიდრე ლიხადმდე"; აფხაზთა მეფის სამფლობელო ჩრდილოეთისაკენაც გადაფენილი ყოფილა; ჯიქეთიც მაგალითად უეჭველია აფხაზთა მეფესა სჭერია, ეს იქიდგანა ჩანს, რომ გიორგი მეფემ კახეთის ერთ-ერთ ციხეში შეპყრობილი ხახუა "წარსცა პყრობილად ჯიქეთსო"- იმ თავითვე აფხაზთა მეფეები გაერთიანების გზას დაადგნენ და თავიანთი სამფლობელოს გაფართოებასა ცდილობდნენ; მერვე მეათე საუკუნე, პოლიტიკური თვალსაზრისით ცვლილებების მომტანი, საუკუნეა, გამუდმებული ბრძოლა როგორც სამეფო სამთავროებთან ასევე გარეშე მტერთან. უკვე პირველმა მეფემ აფხაზეთი არ იკმარა და თავისი საბრძანებლის აღმოსავლეთი საზღვარი ლიხის მთამდე გადასწია. ხოლო კახეთის მთავრები, რომელთაც ქორეპისკოპოსებს ეძახდნენ" სწორედ იმ დროს, როცა არაბებისაგან დევნილი ქართლის ერისთავი აშოტი, შემდეგ კურაპალატად სახელდებული, იძულებული იყო ქართლისათვის თავი მიენებებინა და კლარჯეთში დაბინავებულიყო, სწორედ ამ დროს, როგორც ეტყობა, კახეთის მთავარ გრიგოლს ქართლის ნაწილი დაუპყრია, ქსნის ხეობა და ქსნის დასავლეთი ნაწილი. რაც რასაკვირველია არ მოეწონებოდა აშოტ კურაპალატს, რომელიც თავის თავს ქართლის კანონიერ მთავრად სთვლიდა. არც მაშინდელს აფხაზთა მეფეს თეოდოსის (791-818)მოსწონებია კახთა ქორეპისკოპოზის საქციელი. აშოტ კურაპალატს კახთა მთავართან ბრძოლაში დახმარებია თეოდოსი.. კახთა

[27]როინ მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა , ეროვნული,აკადემია,საქართველოს ისტორია , 142-145

მთავარმა გრიგოლმა იცოდა, რომ ეს შეერთებული ლაშქრობა მის წინააღმდეგ იყო მიმართული და თვითონაც დაუყოვნებლივ კახეთით ჩამოვიდა; ამას გარდა «გრიგოლს დახმარება გაუწიეს მთიულებმა და წანარებმა. და თბილისის ამირამ» (იქვე); თბილისის მფლობელს აშოტისადმი სიძულვილი ამოძრავებდა ხოლო კახეთის ქორეპისკოპოზის გაძლიერებას, როგორც ჩანს, იგი დადებითად შეხვდა ..აშოტმა დაამარცხა გრიგოლი კახეთის ქორეპისკოპოსი.რაკი ამ ბრძოლაში აფხაზთა მეფეს თეოდოსის მიუღია მონაწილეობა, მაშასადამე, ეს ამბავი 791-818 წ. შუა უნდა მომხდარიყო. კახთა მთავრის დაწყებული საქმე ამგვარად, ჩაიშალა; შეერთებულმა ძალამ, რომელსაც იგივე განზრახვა ჰქონდა, კახეთის ქორეპისკოპოსი დაამარცხა. გამარჯვებულმა აშოტ კურაპალატმა თავისი საბრძანებელი გააფართოვა და თავისი წინანდელი სამფლობელოს ერთი ნაწილი ქსნის ხეობამდის გააფართოვა. მამის ნაცვლად მოვიდა “ძე მისი შვილი მოჰამედი.ამ არაბთა შორის ჩამოვარდნილი მტრობით და აჯანყებით უსარგებლიათ ქართველთა მთავრებს.; ერთმა ერთის მხარე დაიჭირა, მეორემ მისი მოწინააღმდეგის მხარე. მოვიდა თუ არა მოჰმად ძე ხალიდისა, მას დაუყოვნებლივ ეახლა ბაგრატ ძე აშოტ კურაპალატისა და ძალიანაც მოიგო, იმიტომ რომ მადლიერმა არაბთა სარდალმა ბაგრატს მისცა ქართლი» (იქვე). გამოვიდა თუ არა მათ წინააღმდეგ ურჩი თბილისის ამირა საჰაკი, კახელები საჰაკისს დახმარებიან. (იქვე, 220-221). ვიდრე კახელები მოუსწრობდნენ, მოჰმედმა და ბაგრატ კურაპალატმა საჰაკს უფლისციხე წაართვეს. ეს უნდა მომხდარიყო 842 წელს შემდგომ, ესე იგი იმავე წლის ახლო ხანებში, როცა მოჰმედი მამის სიკვდილის შემდგომ საქართველოში მოვიდოდა. არაბ მემატიანეს იაკუბის ცოტა სხვანაირად აქვს ეს ამბავი მოთხრობილი: თუმცა ისიც ამბობს, რომ თბილისის ამირას კახელები, ანუ “წანარები ეხმარებოდნენ, მაგრამ იგი ამტკიცებს, ვითომც გამარჯვება მოჰმედს დარჩენოდეს და მას საჰაკი დაემარცხებინოს. ქართველი მემატიანის ცნობა უფრო სწორია და თბილისის ამირა დამარცხებული არა ყოფილა, ამას ბუღა თურქის ლაშქრობაც ამტკიცებს. ამირა საჰაკი რომ დამარცხებული ყოფილიყო, მისი საგანგებოდ დამორჩილება საჭირო აღარ იქნებოდა.[28]

ამ დროს სომხეთშიც მოიკრიბეს ძალა ადგილობრივმა ერისთავებმა: ბუნებრივია,

[28] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიატ.II, გვ. 88-90.

ყოველივე საფრთხეს უქადდა საქართველოს გაერთიანებას, ვინაიდან ეხლა ბრძოლა უფრო ფართო ასპარეზზე გადადიოდა. სხვებზე უფრო ძლიერი იყო ერისთავთ-ერისთავი აშოტ ბაგრატუნი, რომელსაც როგორც ეტყობა, თავისი სამფლობელოს გასაფართოებლად ჩრდილოეთისაკენ გამოულაშქრია და ქართლის დაპყრობა დაუპირებია. ქართლში მაშინ აფხაზთა მეფე ბატონობდა სომეხთა ერისმთავარი კი მისთვის აშკარად საფრთხეს წარმოადგენდა. სომეხთა ერისთავთ-ერისთავს ჯერ აფხაზები უნდა დაემარცხებინა. აფხაზების დამარცხება კი ესე მარტივი არ იქნებოდა. ბუნებრივია ყოველივეს აცნობიერებდა სომეხთა ერისმთავარი, საქართველოსთვის კი იწყებოდა ბრძოლის ახალი ეტაპი, რომელიც მნიშვნელოვან საფეხურზე გადადიოდა, ვინაიდან ეხლა სამხრეთ კავკასიაში უნდა მომხდარიყო გავლენის სფეროების გადანაწილება, ეს კი სამეფო სამთავროებად დაშლილი საქართველოსთვის მარტივი არ იქნებოდა. აშოტ ბაგრატუნის მოქმედება რასაკვირველია არც გუარამ მამფალსა და მის შვილს ნერსეს მოეწონებოდათ. აშოტ ბაგრატუნის შორს მჭვრეტელურ პოლიტიკას კი კარგად აცნობიერებდნენ გუარამ მამაფალი და ნასრი, იმიტომ რომ თუ იგი აფხაზებს ქართლს წაართმევდა, მაშინ იგი აბოცსა და ტაშირსაც ადვილად ჩაიგდებდა ხელში. გუარამ მამაფალი და ნასრი ერთიანდებიან ამის გამო. რასაკვირველია, მამაშვილნი სომეხთა ერისთავთ-ერისთავის წინააღმდეგ იქნებოდნენ; ამგვარად, საქმე უფრო გართულდა; მებრძოლთ კიდევ ერთი მონაწილე მოემატათ, სომხეთის სახით თუ აქამდის ერთიერთმანეთს მხოლოდ ქართველი მთავრები ეცილებოდნენ, ამიერითგან სომეხთა მთავრის ჩარევამ ბრძოლის საზღვრები და ასპარეზი გაზარდა; თუ წინათ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა, თუ რომელ ქართველ მთავარს დარჩებოდა საქართველოს მეთაურობა, საქართველოს გაერთიანებისთვის საფრთხე იქმნებოდა, ამიერითგან ბრძოლას უნდა გამოერკვია, ვის ჩაუვარდებოდა ხელში საქართველოსი და სომხეთის, ანუ მთელი კავკასიის მეთაურობა. ქართლი ქვეყნის ცენტრი იყო და თითოეული მთავრის მომავლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ეს ადგილი დარჩენოდა აფხაზებს. იბრძოდეს სომხები და აფხაზები ქართლისთვის. რით დამთავრდა ეს ბრძოლა, ამის შესახებ არც ქართულსა და არც სომხურს წყაროებში ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ, როგორც ჩანს გამარჯვება სომეხთა ერისთავთ-ერისთავს აშოტს დარჩენია; ეს იქიდან ჩანს, რომ

აშოტს "სომეხთა და ქართველთ ერისთავთ-ერისთავის" სახელი მიუღია. [29] რაკი ნასრმა, გუარამის ძემ, ვერა დააკლო-რა თავის მტერს, თავისი ბიძაშვილი დავით ბაგრატის ძე შეიტყუა და 881 წელს მოჰკლა გუარამ,მამფალს მემატიანე მოგვითხრობს, რომ მკვლელის მამა გუარამ მამფალი , ამ საზარელს ბოროტმოქმედებაში არავითარი, არც სულიერად და არც ხორციელად, მონაწილეობა არ მიუღიაო.თუმცა ამის შესახებ არაფერი იცოდა გუარამ მამფალმა. დავითის მომხრეები გაერთიანდნენ და ნერსე გაიქცა, მათ შურის ძიება სურდათ დავითის გამო. გაქცეული ნასრა გუარამის ძე კონსტანტინეპოლში გაიქცა ერთი წლის შემდგომ, 882 წელს, გარდაიცვალა ნერსეს მამა გუარამ მამფალი და რადგან მას მემკვიდრე არ ჰყავდა, ვინაიდან ნერსე გახლდათ დევნილობაში, იმიტომ რომ მან მოკლა თავის, ბიძაშვილი დავით ბაგრატის ძე, იგი ბუნებრივია ვეღარ დაბრუნდებოდა, მარტივად სამშობლოში. მთელი მისი სამფლობელო, {იგულისხმება, გუარამ მამფალი} ანუ ჯავახეთი, არტანი და ტაშირი დავითის შვილებს უნდა გადასცემოდა. შვიდი წლის განმავლობაში ნერსე ბიზანტიაში იმყოფებოდა; ბიზანტიაში იყო აფხაზთა მეფის შვილი ბაგრატი; დაიპყრა თუ არა ბაგრატმა აფხაზეთში სამეფო ტახტი, მაშინვე «გამოიყუანა ბაგრატ მეფემან აფხაზთა[მან], ნერსე ცოლის ძმა მისი საბერძნეთით და მისცა ლაშქარი» ნერსე გახლდათ აფხაზთა, მეფის ბაგრატის, ცოლის ძმა. ხოლო ბაგრატი მას, რასაკვირველია დახმარებას გაუწევდა და ასეც მოიქცა იგი გამოიყვანა, ბიზანტიიდან, მისცა ლაშქარი რათა დაებრუნებინა ხელისუფლება და სამშობლოში დაებრუნებულიყო. ამგვარად, აფხაზთა მეფემ ნერსე ტაო-კლარჯეთის მფლობელთა წინააღმდეგ აამხედრა, აფხაზთა ჯარის გარდა ნერსეს ოსებიც ეხმარებოდნენ. ნერსეს ყავდა ლაშქარი იგი მზად იყო დაებრუნებინა ძალაუფლება. «შეიკრიბა სხუაცა ლაშქარი ურიცხვი» შეერთებული მხედრებითურთ აფხაზეთითგან «გარდმოვიდა ნასრ საცხეს» (იქვე, და "შეიპყრა სამნი ციხენი სამცხეს: ოძრჴე, ჯუარის ციხე და ლომსიანთა", რომელიც მისივე მამის გუარამის აგებული იყო ნერსემ დაიკავა სამი ციხე რომელიც მამამისმა გუარამ მამფალმა ააგო..ეს იყო, ჯუარისციხე, ოძრხე და

[29]როინ მეტრეველი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. საქართველოს ისტორია, მეოთხე მეცცამე საუკუნეები 137-142}

ლომსიათა. თავისი მამის მოსისხლე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გავიდა ადარნასე დავით კურაპალატის ძე იმ დავით კურაპალატისა, რომელიც ნასრმა მოკლა.. «მიჰყუა მის თანაშეწევნად... გურგენ კურაპალატი და შვილნი მისნი» , როგორც ნასრის აფხაზები ეხმარებოდნენ, ისე ნასრის მოწინააღმდეგეებს «უშუელეს სომეხთა ამგვარად, ნასრისა და დავითის მემკვიდრეებს შორის ხერხიანად მოწყობილი ბრძოლა ნამდვილად აფხაზთა და სომეხთა ბრძოლა იყო და ეს ცხადად ჩანს მემატიანის სიტყვებითგანაც; სახეზე გვყვავდა ორი დაპირისპირებული მხარე,აფხაზები და სომხები,სომხები იყვნენ ადარნასეს მხარეს აფხაზები ნასრის მხარეს, ნასრი დამარცხდა, მოპირდაპირენი მტკვრის პირას შეიბნენ, მაგრამ «იძლივნეს აფხაზნი, ნასრ და ბაყათარ ოვსი და ერისთავი აფხაზთა» გაქცეულ ნასრას დაედევნენ და სამცხეში, ს. ასპინძასთან 888 წელს მოჰკლესუწ˜ ..ნასრი რომელმაც მოკლა თავი ბიძაშვილი,თვითონაც მოკლეს[30]

რაკი ეხლა ნასრი წუთისოფელს გამოასალმეს და მას არ არ დარჩა შვილი,დავით კურაპალატისგან განსხვავებით.გამარჯვებულ მოკავშირეებს შეეძლოთ მისი ტერიტორიები გაეყოთ ; სწორედ ასეც მოიქცნენ და ნასრის ტერიტორიები დაიპყრეს სხუა მთავრებმა. თითოეული მონაწილეთაგანი თავის ნაწილს მიიღებდა:ტერიტორიები გადაინაწილეს,ერისმთავრებმა... «გურგენ კურაპალატი წავიდა ტაოში ...გურგენს, ტაო,შავშეთი,არტაანი. ნასრას სამკვიდრებლითგან გურგენს ბრძოლაში მოხმარებისათვის ჯილდოდ, ალბათ, არტანი არგუნეს;გურგენი ეხმარებოდა ადარნასეს ნერსეს წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ ბუნებრივია ,რომ მას ჯილდოდ უნდა მიეღო, არტაანი. აიღეს თუ არა რაიმე წილი თავისთვის სომხებმა და თუ აიღეს სახელდობრ რომელი ტერიტორიები შეხვდათ, მემატიანე არაფერს ამბობს. ეს იყო ბრძოლა აფხაზებსა და სომხებს შორის, რადგან ისისნი კავკასიაში ეცილებოდნენ უკვე პირველობას ერთმანეთს, საქართველოსთვის კი გაერთიანება რთულდებოდა[31]. კურაპალატის წყრომას, მიუხედავად იმისა რომ კონსტანტინე გახლდათ სიძე ადარნასე კურაპალატისა. ადარნასე კურაპალატი რასაკვირველია

[30] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 94-100.

[31] როინ მეტრეველი,მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,საქართველოს,ისტორია, მეოთხე მეცცამეტე საუკუუნეები,145-147.

კარგად აცნობიერებს, რომ რეალურად ეს ბრძოლა მიმდინარეობს სომხეთსა და აფხაზთა სამეფოს შორის, მის მხარეს არის სუმბატიც, ადარნასეც სომეხთა მეფის მხარდამხარ იბრძვის. ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს სომეხთა მეფე. ქართლის მეფე ადარნასე კურაპალატსა და სომეხთა მეფეს შორის შემდგომ ვითარება რთულდება. როდესაც ადარნასე კურაპალატმა და ქართველთა მეფემ 891 წელს თავისი მოკავშირის სომეხთის მეფის აშოტის სიკვდილის ამბავი შეიტყვეს, ადარნასე მაშინვე სომხეთში გაეშურა, რომ განსვენებულის შვილის სუმბატისათვის სამძიმარი ეთქვა. ისევე, როგორც საქართველოში სომხეთშიც მიმდინარეობდა ბრძოლა ტახტისთვის ბიძასა და ძმისწულს შორის. დაღლილმა ადარნასემ გზაზე ქ. კარში შეუხვია და იქ მყოფს სუმბატის ბიძას აბასს სადარბაზოდ ეწვია. აბას კი რასაკვირველია არ მოეწონებოდა ადარნასესა და სუმბატის დაახლოება და უფრო მეტიც ყველანაირად ცდილობდა მათ დაახლოებისათვის ხელი შეესალა, რაკი აბასი თავისი ძმის უფლების დამკვიდრებას ფიქრობდა. აბასს თავისი ძმის ტახტი სურდა, ადარნასეს სუმბატთან გამგზავრებაზე ზემომოყვანილ ამბებში აფხაზთა მხრივ მონაწილედ ჩვენი მემატიანეები ასახელებენ ბაგრატ მეფეს, ვინაიდან ის იყო სიძე ნასრისა, მაგრამ "მეფეთა დივანის" და მიხედვით 888 წ. აფხაზთა მეფედ ბაგრატ I კი არ იყო, რომლის მეფობას 861-873 წ. ერგება, არამედ კონსტანტინე III (873-912). ანუ ზუსტ ცნობებს არ გვაწვდის მეფეთა დივანი, რაც ბუნებრივია, ეჭვს გვიღრმავებს მის საანდოობაში, მაგრამ რაკი "მტ˜ნე ქ˜ჲ" და სუმბატის თხზულება სხვაფრივ მეტად სანდო საისტორიო წყაროებია ძირითადად მაინც ისტორიკოსები მატიანე ქართლისაის მიიჩნევენ სანდოდ და ამასთანავე 9 ("მტ˜ნე ქ˜ჲ"-ში) უფრო მეტი და ზედმიწევნითი ცნობები მოიპოვება, ვიდრე "მეფეთა დივანში", ამიტომ ამ ორი თხზულებიდან ლოგიკური იქნება უპირატესობა მივანიჭოთ მატიანე ქართლისაის, რადგან მეფეთა დივანი ეჭვს იწვევს. საგულისხმოა, რომ ბროსეს მიერ გამოანგარიშებული ბაგრატ I სიკვდილის თარიღი (906 წ) კარგად უდგება, მაინცა-და-მაინც არ ეწინააღმდეგება არც "მტ˜ნე ქ˜ჲ"-ს, არც სუმბატის ცნობებს. ამიტომ, უეჭველია, "მეფეთა დივანს" ან რამე უნდა აკლდეს, ან მეფობათა ინდიქტიონები აქა-იქ, მერმინდელ გადამწერთაგან, დამახინჯებული იქნება.[32] სამეფო სამთავროებად

[32] ივ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორია, ტ. II, გვ. 95 -96 გვ.

დაშლილ საქართველოში კვლავ მიმდინარეობს ბრძოლა პირველობისათვის ,ქართველი მეფეები ეძებენ მოკავშირეებს. ქართველი დიდებულევბი კარგად აცნობიერებენ საქართველოს ურთიერთობას ბიზანტიის იმპერიასთან, მაგრამ ეს ეს ეპოქა ხასიატდება პოლიტიკური მრავალპფეროვნებით, გარდა იმისა რომ გავლნის სფეროების გადანაწილება მიმდინარეობს საქართველოს სამეფო სამთავროებს შორის ამას ემატება სომხეთიც. სახეზე გვაქვს ახალი პოლიტიკური ვითარება ერთის მხრივ ქართული სამეფო სამთავროები და მეორეს მხრივ სომხეთი. ასეთ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში უხდება საქართველოს არსებობა, გარდა ამისა კვლავ ძლიერია არაბთა სახალიფო. ქართლის მეფე ადარნასე კურაპალატი კარგად აცნობიერებს ყოველივეს, ამიტომ დგამს დიპლომატიოურ ნაბიჯებს, რადგან მან კარგად იცის, რომ ამიერ კავკასიაში უკვე პირველობას ეცილებიან აფხაზთა სამეფო და სომხეთი. რასაკვირველია ქართლის მეფეს ადარნასე კურაპალატს არ სურს ძლიერი აფხაზთა სამეფო. ამიტომ როდესაც გარდაიცვლება სომეხთა მეფე აშოტი იგი მიემგზავრება სომხეთში აშოტის შვილთან. შემდგომ საქართველოს სამეფო სამთავროებს შორის არსებული ვითარება უფრო რთულდება. ადარნასე მიემგზავრება სომხეთში, რაც აბას არაფრად მოეწონა, ვაი თუ ჩემ ძმისწულს მიემხროსო. ამის გამო აბასი ადარნასეს სუმბატთან არ უშვებდა, სანამ მან ამგვარ ძალადობას წინააღმდეგობა არ გაუწია. მივიდა თუ არა ადარნასე სუმბატთან და სამძიმრის თქმას მორჩა, მაშინვე მან სუმბატს თალხები გაახდევინა და სამეფო პატივის სამკაული ჩააცმევინა. ამგვარად, აბასი გაინაწყენა ადარნასემ, აბასის ეჭვიანობა სამართლიანი და საფუძვლიანი გამოდგა. გაბრაზებულმა აბასმა შინისაკენ წამოსული ადარნასე შეიპყრა და დაამწყვდია. სომეხთა მეფეს კი ძვირი დაუჯდა ადარნასეს საპყრობილედან დახსნა, თუმცა სომეხთა მეფეს იმდენად უყვარდა ადარნასე, რომ თავისი შვილი გადასცა ტყვედ აბასს ადარნასეს გასანთავისუფლებლად. სუმბათმა თავისი დატყვევებული მომხრე ძვირფასი სასყიდლით გამოიხსნა: იგი იძულებული იყო ადარნასეს მაგიერ აბასისათვის თავისი შვილი აბასი და ძმისწული აშოტ შაპუჰის შვილი მიეცა მძევლებად. სომეხთა მეფის სუმბატისა და ადრნასე ქართველთა მეფის მეგობრობასაც გარკვეული მიზანი

ჰქონდა. აქედან ჩანს თუ მას რაოდენ უყვარდა ადარნასე[33]. 904 წელს გამოვიდა «კონსტანტინე აფხაზთა მეფე» და "დაიპყრო ქართლი", რომელიც ამ დროს ქართლის აზნაურების ხელთ იყო. ასპარეზზე ისევ სომხეთი და აფხაზეთია, თუმცა კვლავ სომხეთი იმარჯვებს. როგორც ჩანს ბრძოლა გავლენების გადასანაწილებლად კვლავ გრძელდება კავკასიაში. თუმცა ქართლს არ აწყობს ძლიერი აფხაზთა სამეფო. ამის გამო «დაემტერა სომეხთ მეფე სუმბატ ტიეზერაკალი და მოილაშქრა სპითა დიდითა და მოადგა უფლის-ციხესა. კონსტანტინე აფხაზთა მეფე მეტოქეების შემოსვლისთანავე ქართლითგან გავიდა და მიუვალ ადგილებში შეიხიზნა. კონსტანტინე მოტყებული აღმოჩნდა, სომეხთა მეფემ იგი დაატყვევა, ვითომ მასთან მოლაპარაკების გამართვა სურდა და მაგრამ რაკი მოკავშირენი მის საბრძანებელს აოხრებდნენ, ისევ დაზავება ირჩია და სუმბატს მოციქულები მიუგზავნა. სომეხთა მეფემ თავის მხრივ წარმომადგენლებად ზავის პირობებზე მოსალაპარაკებლად სომეხი დიდებულები გაგზავნა. როცა აფხაზთა მეფე კონსტანტინე მათთან საუბრით გართული იყო, სომეხთა დიდებულები ადარნასე ქართველთა მეფის ბრძანებისამებრ მოულოდნელად მისცვივდნენ კონსტანტინეს და დაატყვევეს. უეჭველია, ამ ვერაგი განზრახვის მონაწილე სომეხთა მეფეც უნდა ყოფილიყო. სომეხთა მეფემ იგი ანისში გაგზავნა. ამ ამბავმა იმდენად აღაშფოთა "მეგრელები", რომ კონსტანტინეს მაგიერ გადაწყვიტეს სხვა უფრო მხნე და გულადი კაცი დაესვათ მეფედ. ეს რომ სუმბატმა შეიტყო, შეფიქრიანდა, ვაი თუ ახალი მეფე საშიში მეტოქე აღმოჩნდესო და ამიტომ ოთხი თვის შემდგომ ისევ კონსტანტინეს განთავისუფლება არჩია და აასრულა კიდეც. გუშინდელი მტრები მეგობრებად და ნათესავებად გადაიქცნენ: სომეხთა მეფე კარგად იაზრებდა, რომ კონსტანტინე საშიში მეტოქე აღმოჩნდებოდა, ამიტომ მასთან დაზავება არჩია და გაანთავისუფლა, როცა ადარნასე ქართველთა მეფემ სომეხთა მეფისა და კონსტანტინე აფხაზთა მეფის, თავისი დაუძინებელი მეტოქის, დამეგობრების ამბავი გაიგო, საშინლად განრისხდა. რასაკვირველია ადარნასეს ეს კავშირი არ მოეწონებოდა, რადგან ეს ნიშნავდა ქართლის გასვლას პოლიტიკური თამაშიდან. ამიერითგან სომეხთა მეფესთან კავშირს მისთვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა და რამდენადაც წინათ იგი სუმბატის ერთგული მომხრე

[33] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.II, გვ. 96-97.

იყო, იმდენად ეხლა იგი მას გადაემტერა და სულ იმის საგონებელში იყო, რომ სომეხთა მეფისათვის ევნო როგორმე[34]. ამიტომ, შემოესია თუ არა სომხეთს ამირა აბულ კასიმ ძე იუსუფ აბუსაჯისი, სუმბატის მტრობით, რომ მისი გაძლიერება შეეფერხებინა, ადარნასე დაუყოვნებლივ არაბთა სარდალს მიემხრო, ვინაიდან ადარნასეს სურდა დამარცხებულიყო ამ ბრძოლაში სომეხთა მეფე, ეს იყო ერთგვარი შურისძიებაც ადარნასეს მხრიდან. რაკი ადარნასე ქართველთა მეფე გაგიკი ვასპურაკანის მთავარი და სუმბატ სომეხთა მეფის ძმისწული აშოტი თავიანთი მხედრობითურთ სომეხთა მეფის მტერს მიეშველნენ, მას რასაკვირველია, წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო და "მიმართა მთათა აფხაზეთისათა". უკან დადევნებულმა ამირამ სომეხთა მეფე სუმბატი შეიპყრა და 914 წელს ქ. დვინში "ჩამოჰკიდა ძელსა"; მაგრამ თუ სომხეთი დაზიანდა, არც ქართლსა, სამცხესა და ჯავახეთს დაჰყრია არაბების ლაშქრისაგან ხეირი. არაბთა სარდალი მივიდა თბილისში, სადაც მაშინ ამირად იყო ჯაფარ ძე ალისა, შემდეგ კახეთს გაემგზავრა და იქ არაბებმა უჯარმისა და ბოჭორმის ციხეები აიღეს. რაკი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, კვირიკე კახთა ქორეპისკოპოსმა დაზავება არჩია, «მიენდო ფიცით, მივიდა და ნახა» არაბთა სარდალი, რომელმაც მშვიდობით "განუტევა" და ყველაფერი დაუბრუნა. მხოლოდ «ბოჭორმა თვით დაიჭირა[35]» კახეთში, რომ საქმეები მოაგვარა, აბულ კასიმ ძე აბუსაჯისი «შემოვიდა ქართლად»; აქ მას უფლისციხის ზღუდენი მორღვეული დახვდა, მცხოვრებლებს დაერღვიათ, რომ არაბებმა იგი «არა დაიჭირონ»-ო. ქართლითგან არაბთა სარდალი სამცხეში გადავიდა, «მოაოჯრა სამცხე და ჯავახეთი»: მიადგა თმოგვის ციხეს, მაგრამ ვერა დააკლო რა, აიყარა და გარემოიცვა ყუელის ციხე, რომელიც აიღო; აქვე აბულ კასიმმა შეიპყრა მხედარი გობრონ, რომელიც არაბებმა "აწამეს"თუმცა სომეხთა მეფობისა და სამეფოს ზრდა ამ არაბთა შემოსევამ შეაფერხა და ადარნასემ ჯავრი იყარა, მაგრამ სომეხთა მეფობის მარცხით ქართველთა მეფემ-კი ვერ ისარგებლა, არამედ აფხაზთა მეფემ, როცა «გარდაჴდეს წელნი რაოდენნიმე და მოეშენა ქუეყანა», კჳირიკე კახთა ქორეპისკოპოზმა მოიხმო კონსტანტინე აფხაზთა მეფე და შეერთებულის ჯარითურთ

34 იქვე გვ. 96-97.

[35] სიმონ ყაუხჩიშვილი,ქართლის ცხოვრება,(მტ˜ნე ქ˜ჲ, *449, გვ. 226-227).

ჰერეთში გაილაშქრეს. კახთა ბატონი ბრძნულად იქცევოდა და მარტოდ თავის სამფლობელოს გაფართოებას ვერა ბედავდა, რომ აფხაზთა მეფის შური არ აღეძრა; გამარჯვების შემდეგაც მან დათმობილი ქვეყნის მხოლოდ ერთი წილი აიღო, ორი წილი კი აფხაზთა მეფეს დაუთმო: კვირიკეს ერგო ციხე ორჭობი, კონსტანტინეს-კი არიში და გავაზი აფხაზთა მეფეს ეხლა ქართლს გარდა ჰერეთშიაც ჰქონდა ფეხი შედგმული. ამიერითგან საქართველოში უპირატესობა და მეთაურობა აფხაზთა მეფეების ხელთ იყო. კონსტანტინე მეფეც მალე გარდაცვლილა. მის სიკვდილს არეულობა მოჰყვა იწყებოდა აფხაზეთის სამეფოს დაშლა..იშლებოდა აფხაზეთის სამეფო[36]. და ვიდრე უმცროსი ძმა ბაგრატი არ გარდაიცვალა მშვიდობა არ დამყარებულა ძმის სიკვდილის შემდეგ ერთადერთ მემკვიდრედ დარჩა კონსტანტინეს უფროსი შვილი, რომელსაც მემეატიანე ახასიათებს, როგორც ყოველგვარი სიკეთით და ახოვანებით შემკულს. გული, რომ უფრო დამშვიდებული ჰქონოდა, გიორგი მეფემ ქართლის გამგეობა თავის უფროს ძეს კონსტანტინეს გადასცა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. სამი წლის შემდეგ ბატონიშვილი მამას გადაემტერა და დაიწყო ბრძოლა სამეფო ტახტისთვის,, მომხრედ მას ჰყავდა ტბელები და სხვა აზნაურები[37]. ყურადღების ღირსია ეს უკანასკნელი გარემოება. დიდებული აზნაურები, უმეტესი ნაწილი მაინც, საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგნი იყვნენ, თუმცა საქართველოს გაერთიანებას გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეებიც. თითოეული კუთხის აზნაურები თავიანთ მეფისა და მთავრის დამოუკიდებელი არსებობის მონატრულნი იყვნენ იმიტომ, რომ გაერთიანების შემდეგ მათ კვლავინდებური ძალა და გავლენა დაეკარგებოდათ და მეფეს წინანდებურად თავის ნებაზე ვეღარ ათამაშებდნენ. თუ აქამდის საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების უმთავრეს მოვლენად ქართველ მეფეთა ერთიერთმანეთთან ბრძოლა იყო ბატონობისა და მეთაურობის მოსაპოვებლად, ამიერითგან, როცა გამარჯვება აფხაზთა მეფეებს ერგოთ, ამ მეფეთა შორის ბრძოლაში დიდებული აზნაურებიც დიდ მონაწილეობას იღებდნენ, განსაკუთრებით უმეფობას მიჩვეული

---

[36] სიმონ ყაუხჩიშვილი ,ქართლის ცხოვრება,მტ˜ნე ქ˜ჲ, *451, გვ. 228.

[37] მატიანე,ქართლისაი 453, გვ. 230.

ქართლის აზნაურები, ისისნი უმეტეს შემთხვევაში აფხაზთა მეფეების გაერთიანების პოლიტიკის წინააღმდეგ და ადგილობრივი მეფის დამოუკიდებელი არსებობის დასაცავად ირჯებოდნენ. კონსტანტინე ბატონიშვილის განდგომილებაშიც მამის წინააღმდეგ "მრავალნი აზნაურნი" ქართლელნი იღებდნენ მონაწილეობას, რასაკვირველია, იმავე მიზნითა და განზრახვით. გიორგი აფხაზთა მეფემ «მოიყუანნა ტაოელნი მეფენი და ფადლა ქორეპისკოპოზი» და მედგარის ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა[38].

აფხაზთა სახელმწიფოს არ მოჰყოლია ეკლესიის დამოუკიდებლობა, ეფრემ მცირე თავის შრომაში გარკვევით მიუთითებს, რომ "მოვიდეს ქართლით მოციქულად მონაზონნი ორნი და მოუთხრეს ნეტარსა თეოფილაქტეს, ვითარმედ დიდსა ჭირსა შინა არიან ქრისტიანენი მკვიდრნი ქართველთა სოფლებისანი, რამეთუ დღითაგან ნეტარისა ანასტასი მღვდელ-მოწამისა ანტიოქიელ პატრიარქისა არა კურთხეულ არს მათდა კათალიკოსი სიძნელისათვის გზისა". ტექსტში სავსებით ნათლად არის გადმოცემული, რომ საუბარია ქართლზე: ,,მოვიდეს ქართლით". ასევე ქართლიდან ჩასულმა ორმა მონაზონმა თეოფილაქტეს აუწყა, რომ გზის სიძნელის გამო არ არის ნაკურთხი მათი კათალიკოსი ანტიოქიის პატრიარქ ანასტასის დროიდან. გასაგებია, რომ აქ საუბარია ქართლის კათალიკოსზე, რადგან VII საუკუნეში აფხაზეთის კათალიკოსის არსებობა გამორიცხულია. ვფიქრობთ, აღნიშნული დასკვნა რეალური უნდა იყოს, ამის საფუძველზე კი მიუღებელი იქნება ზემოთ აღნიშუნული მოსაზრების გაზიარება თეოფილაქტე ანტიოქიელის მიერ იოანეს აფხაზეთის პირველ ავტოკეფალურ კათალიკოსად კურთხევა. ამასთანავე, აფხაზეთის კათალიკოსის ხელდასხმა ვერ მოხდებოდა ანტიოქიის პატრიარქის მიერ, რადგან აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საეკლესიო ცენტრები კონსტანტი– ნეპოლის პატრიარქის დაქვემდებარებაში შედიოდა. ამიტომ ბუნებრივია, საეკლესიო კანონიკიდან გამომდინარე აფხაზეთის კათალიკოსს ხელდასხმა სწორედ კონსტანტინეპოლის პატრიარქისგან უნდა მიეღო. ვ. გოილაძე მიიჩნევს, რომ ,, 744 წლის ახლო ხანებში ქართლის კათალიკოსთა შორის იოანეს სახელის მქონე პიროვნება არ ჩანს. თეოფილაქტეს მიერ ხელდასხმული იოანე აფხაზეთის

[38] სიმონ ყაუხჩიშვილი,ქართლის ცხოვრება,,მტ˜ნე ქ˜ჲ, *454, გვ. 231.

კათალიკოსად უნდა იქნეს მიჩნეული..

ქართულ ბიზანტიური ურთიერთობები მეთე საუკუნის ბოლოს.

საქართველოს სამეფოს იმ აშლილობის დროს, რომელიც დამკვიდრდა უსინათლო თეოდოსის მეფობაში, მმართველ მოწინავე წრეში საბედნიეროდ მაინც აღმოჩნდა შეგნებული ჯგუფი, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის გული შესტკიოდა. ამ წრის საუკეთესო წარმომადგენელი, მისი სულის ჩამდგმელი და წადიერებათა თავგამოდებული განმახორციელებელი იოანე მარუშის ძე ყოფილა. მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რამდენად საუბედურო იქნებოდა საქართველოსათვის უსინათლო, უძლური კაცის მეფობა და ამიტომ «ამან წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა, აწვია, რათა მოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი, ანუ დაიმჭიროს თჳთ, ანუ უბოძოს ბაგრატს ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი ესევე[39]». მეათე საუკუნე პოლიტიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის, კერძოდ სწორედ ამ საუკუნეში ხდება საქართველოსთვის გარდამტეხი პერიოდი, ერთიანდება საქართველო. ტახტზე ადის ბაგრატ მესამე. მეათე საუკუნეში საქართველო ჯერ კიდევ დაშლილია სამეფო სამთავროებად და ბუნებრივია საქართველოს გაერთიანება ამ პერიოდშიც არ იქნებოდა მარტივი, გარდა ამისა დასუსტებული საქართველო კვლავ აწარმოებდა საშინაო ომებს. ასეთ ვითარებაში მარტივი არ იქნებოდა საქართველოს გაერთიანება. მეათე საუკუნეში დასუსტდა არაბთა სახალიფო, რაც რა თქმა უნდა ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა საქართველოს გაერთიანებისთვის. ბიზანტიას რასაკვირველია ხელს არ აძლევდა ძლიერი საქართველო, ბიზანტიას სურდა საქართველოს გამოყენება არაბთა სახალიფოს წინააღმდეგ და ერთგვარი პლაცდარმის შექმნა, მაგრამ არავითარ

[39]სიმონ ყაუხჩიშვილი,ქართლის ცხოვრება, მტ˜ნე ქ˜ჲ, *461, გვ. 236.

შემთხვევაში ერთიანი საქართველო. მაგრამ ქართველი მეფეები გარკვეულ წილად დამოკიდებულნი იყვნენ ბიზანტიის იმპერატორებზე. კერძოდ ბიზანტიის იმპერატორები ანიჭებდნენ ტიტულებს. კურაპალატის ტიტული მეფეს ერგებოდა და ხშირად დაპირისპირება, რომ მომხდარიყო მეფობას სხვას გადასცემდნენ ხოლმე იმპერატორები. ყოველივეს ემატებოდა სამეფო სამთავროებს შორის დაპირისპირება. მსგავს ვითარებაში კი რასაკვირველია გართულდებოდა ერთიანი სამეფოს შექმნა ქართული მონარქიის სახით. ქართველი დიდებულების ნაწილი ცდილობდა ხელი შეეშალა საქართველოს გაერთიანებისთვის, რათა არ მომხდარიყო ერთიანი საქართველოს შექმნა ქართული მონარქიის სახით. რთული ვითარებაა სამეფოებშიც, აფხაზთა სამეფოში სრული თვითნებობაა. ქართლისთვის მიმდინარეობს გამუდმებული ბრძოლები, აფხაზეთს მართავდა უსინათლო თეოდოსი. ამით ისარგებლეს დიდებულებმა და სრული ანარქიული ვითარება იყო შექმნილი აფხაზეთში. ასეთ რთულ ვითარებაში უნდა მომხდარიყო საქართველოს გაერთიანება. იოანე მარუშის ძეს საქართველოს გაერთიანების გარკვეული და მტკიცე სურვილი ჰქონდა და ამის განსახორციელებლად საუკეთესო გზაც არჩია. ტაოს მფლობელს დავით დიდ კურაპალატზე უკეთესად არავის შეძლო ეს განეხორციელებინა. იგი სახელგანთქმული იყო ყველგან, როგრც შინ საქართველოში, ისე გარეთ სომხებსა, ბერძნებსა და არაბებს შორის ძლიერებითა და მაღალი სულიერი და ზნეობრივი თვისებებით. ამასთანავე მტკიცე და ძლიერი ხასიათის პატრონი იყო და თავის თავს არავის დააჩაგვრინებდა. რაკი მას შვილი არ ებადა, ამიტომ თავისი მახლობელი ნათესავი «ბაგრატ ძე გურგენისი გაეზარდა შვილად თჳსად[40]; მაშასადამე, იგი არამც თუ ქართველთა მეფეთა სამფლობელოს მემკვიდრე იყო, არამედ ტაოსიც; ხოლო თუ აფხაზთა მეფეების ტახტზე მართლაც ბაგრატს დასვამდნენ, მაშინ იგი გახდებოდა თითქმის მთელი გაერთიანებული საქართველოს ხელმწიფედ, კახეთისა და ჰერეთის ერთ ნაწილს გარდა. სწორედ ამიტომაც იოანე მარუშის ძე «ეძებდა მეფედ ბაგრატს» . დავით დიდ კურაპალატს მოეწონა იოანე მარუშის ძის წინადადება და თავის ჯარითურთ საჩქაროდ ქართლისაკენ გამოეშურა. ეს რომ კახელებმა გაიგეს ქართლს უჩუმრივ თავი მიანებეს და როცა დავით

[40] იქვე, *461, გვ. 237.

კურაპალატი მობრძანდა და ქუაჯრელთან დადგა, იოანე მარუშის ძე მიეგება და უფლისციხე მას გადასცა, ხოლო დავითმა «მიუბოძა ბაგრატს და მამასა მისსა გურგენს»-ს; მაგრამ რაკი ბაგრატი ჯერ სრულწლოვანი არ იყო, ამიტომ "თანაგამგებელად" მამა მისი გურგენი დაუნიშნა დავით კურაპალატმა. ქართლითგან წასვლის წინათ შეკრიბა ადგილობრივი აზნაურები და გამოუცხადა: «ესე (ბაგრატ) არს მკჳდრი ტაოსა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი გაზრდილი ჩემი და მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე, ამას დაემორჩილენით ყოველნი»-ო[41]. მაგრამ ქართლის აზნაურთაგან ყველა დიდებული აზნაურები ხომ იოანე მარუშის ძესავით საქართველოს საზოგადო საქმეზე და გაერთიანებაზე არა ფიქრობდნენ. პირიქით, პირადი და წოდებრივი გამორჩენისა და სარგებლობის წყურვილი სრულებით უხშავდა მათ ფართო საზოგადოებრივ გრძნობას და ქვეყნის ბედ-იღბალს თავიანთ სურვილებზე ცვლიდნენ. იწყება ბრძოლა ერთიანი ქართული მონარქიის შექმნისათვის. ამ ბრძოლის ერთ-ერთი მოთავეა შიდა ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე თანამოაზრეებით. საქართველოს გაერთიანებით დაინტერესებულ სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადღებას იქცევს მცირეწლოვანი ბაგრატ III -ის პიროვნება, რადგან იგი სამი სამეფოს მემკვიდრედ ითვლება. ბაგრატი არის ქართველთა მეფის ტიტულის მქონე ბაგრატ ბაგრატიონის შვილიშვილი და მეფეთ-მეფის გურგენის შვილი, ეგრის-აფხაზეთის უშვილო მეფის თეოდოსის დისწული და ტაოს მეფის დავით III კურაპალატის შვილობილი. როგორც მემატიანე წერს, იოანე მარუშისძემ „წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა: აწვია, რათა გამოილაშქრეს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი; ანუ დაიჭიროს თვით ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი". დავითმა მხარი დაუჭირა თავისი შვილობილის ბაგრატის გამეფებას და 975 წელს ჯარით ქართლისაკენ გაემართა. კახეთის ქორეპისკოპოსი კვირიკე II, რომელსაც უფლის ციხესათვის (ქართლის მაშინდელი პოლიტიკური ცენტრი) ალყა ჰქონდა შემორტყმული, დავითთან ბრძოლას მოერიდა და კახეთს გაბრუნდა. იოანე მარუშისძემ უფლისციხე დავითს გადასცა. დავითმა ქართლის დიდაზნაურებს ბაგრატისადმი მორჩილება უბრძანა,

[41]იქვე, *462, გვ. 237-238.

რომელსაც მცირეწლოვანების გამო თანაგამგებლად მამამისი გურგენი დაუნიშნა, თავად კი უკან დაბრუნდა. „განადიდა ერთგულნი”-ო. მართალია მთელი ეს პროცესი ერთ წინადადებაშია მოქცეული, მაგრამ რეალობის გათვალისწინებით, ადვილი მისახვედრია, თუ რა მასშტაბის ბრძოლა დასჭირდებოდა მეფეს მოღალატე დიდებულთა დასამორჩილებლად. მთელ ამ პროცესს ბაგრატ III-მ წლები მოანდომა, ყოველ შემთხვევაში დაახლოებით 988 წლისათვის (ამ წელს ბაგრატი კვლავ აღმოსავლეთ საქართველოში გადმოდის და კლდეკარის ერისთავის დამორჩილებას ცდილობს) დასავლეთ საქართველოში ურჩთა წინააღმდეგ ბრძოლა უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო. სამეფო კარსა და ადგილებზე მეფეს „მისანდობელი თვისი” ჰყავდა დანიშნული და ამიტომაც უფრო აქტიური ქმედებები დაიწყო ხელისუფლების კიდევ უფრო განსამტკიცებლად.

ქართულ ბიზანტიური ურთიერთობები, მეთერთმეტე საუკუნის პირველ ათწლეულში.

ბაგრატ მესამის პერიოდში გაძლიერდა საქართველო, მთის მოსახლეობა ბარს

დაუბრუნდა, გაძლიერდა ეკონომიკა, აშენდა ეკლესია მონასტრები, საგანმანათლებლო ცენტრები, საქართველომ განვლო რთული პოლიტიკური გზა. ბაგრატ მესამემდე სამეფო სამთავროებად დაშლილი საქართველო, და არაბებისგან აოხრებული მეთერთმეტე საუკუნეში გაძლიერდ. თუმცა ქვეყანა კვლავ აგრძელებდა ბრძოლას დამპყრობელის წინააღმდეგ. ბიზანტიას თავისი ინტერესები ჰქონდა საქართველოში. ბიზანტიის იმპერატორები ქართველ მეფეებს ანიჭებდნენ კურაპალატობის ტიტულს. ქართველი მეფეები კი ეხმარებოდნენ ბიზანტიის იმპერატორებს. ბუნებრივია, რომ საქართველო ერთმორწმუნე ბიზანტიასთან უფრო ახლოს იყო. საქართველოს საკათალიკოსო ემორჩილებოდა ბიზანტიის საკათალიკოსოს. ბიზანტიის იმპერატორები თავის მხრივ ორმხრივ თამაშს თამაშობდნენ, ერთის მხრივ, თუ საქართველოს გვერდით იდგნენ, მეორეს მხრივ ცდილობდნენ არეულობა შეეტანათ და დაპირისპირება გამოეწვიათ. მუდმივად დაპირისპირება იყო საქართველოს მთავრებს შორის. არაბთა სახალიფოს დაშლის შემდეგ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური რუკა საკმაოდ ჭრელი აღმოჩნდა. X საუკუნის დასაწყისში რეგიონში ორ ათეულამდე სამეფო-სამთავრო და საამირო ჩამოყალიბდა. თანდათანობით ძლიერმა პოლიტიკურმა ერთეულებმა შეიერთეს სუსტები და XI საუკუნის დასაწყისისათვის რეგიონში გამოიკვეთა ძირითადი პოლიტიკური მოთამაშეები — „აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა სამეფო", განძის, ანუ „არანის" საამირო და ანისის სამეფო. მათ გარდა რეგიონში არსებობდნენ შედარებით მცირე პოლიტიკური ერთეულები, რომლებსაც მოკრძალებული ამბიციები ჰქონდათ და სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში ერთიანდებოდნენ. ასეთი იყო რეალობა XI საუკუნის დასაწყისში, როდესაც „აფხაზთა და ქართველთა" სამეფომ შეიერთა კახეთ-ჰერეთი და საკუთარი საზღვარი კიდევ უფრო აღმოსავლეთით გადასწია. ამ მოვლენამ ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა წარმოქმნა კავკასიაში. თუ აქამდე განძის საამირო და „აფხაზთა და ქართველთა სამეფო" უშუალო მეზობლები არ იყვნენ, ამიერიდან ამ ორ პოლიტიკურ ერთეულს საერთო საზღვარი გაუჩნდა. { როინ მეტრეველი,საქართველოს ისტორია, მეოთხე, მეცცამეტე საუკუნეები 105-130} განძის ამირა ფადლონი აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდა სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულის, მათ შორის კახეთ-ჰერეთის

მიმართ. ამირას პოლიტიკა არც ბაგრატ III-ის მიერ კახეთ-ჰერეთის შეერთების შემდეგ შეუცვლია, იგი კვლავ აგრძელებდა მარბიელ ლაშქრობებს. ბაგრატს არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა ფადლონის ქმედებები, მიუხედავად იმისა, რომ განძის წინააღმდეგ ლაშქრობა მის ინტერესებში არ შედიოდა. მას ჯერ კახეთ-ჰერეთში ჰქონდა საქმეები მოსაგვარებელი და დაუგეგმავ, ნაუცბათევ ლაშქრობას შეეძლო კიდევ უფრო მეტი პრობლემა გამოეწვია; მეორე მხრივ, მეფე კარგად ხვდებოდა, რომ ამირას ამ მარბიელი ლაშქრობების აღკვეთის გარეშე კახეთ-ჰერეთს საბოლოოდ ვერ შეიერთებდა. ეს რომ მომხდარიყო, მოსახლეობას აშკარად უნდა დაენახა ერთიან საქართველოში ცხოვრების უპირატესობა. თუ ცენტრალური ხელისუფლება ქმედით ნაბიჯებს არ გადადგამდა ჯერ კიდევ ახლად შემოერთებულ პროვინციებში ახალი მმართველობის მიმართ უკმაყოფილება გაჩნდებოდა. მეორის მხრივ კი მეფის ოპონენტ ფეოდალებს ახალი მიზეზი მიეცემოდათ, რათა ცენტრალური ხელისუფლების სისუსტეზე აპელირება მოეხდინათ. როგორც ჩანს, განძის ამირას ამ ქმედებაზე ბაგრატ III-ის ასეთი მყისიერი რეაქცია სწორედ იმით იყო განპირობებული, რომ მეფეს სურდა სამაგალითოდ დაესაჯა ის პოლიტიკური ძალა, რომელიც კახეთსა და ჰერეთს ავიწროებდა და ამით ადგილობრივებისათვის ეჩვენებინა, რომ მათ ძლიერი პატრონი გამოუჩნდათ. { როინ,მეტრეველი,საქართველოს ისტორია მეოთხე მეცცამეტე საუკუნეები,130-145}. ბაგრატმა კავშირი შეკრა ანისის მეფე გაგიკ I-თან და მასთან ერთად ილაშქრა განძაში. კოალიციურმა არმიამ ალყა შემოარტყა ციხე-ქალაქ შამქორს (იხ. შამქორის ბრძოლა) და დანებება შესთავაზეს, თუმცა შამქორელებმა უარი შეუთვალეს მოკავშირეებს. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მოგვიანებით ბაგრატ III-ის განრისხების მიზეზიც, რომელიც ბოლო მომენტამდე მომხრე იყო ციხე-ქალაქის ძალით აღებისა. მას შემდეგ, რაც მოკავშირეებმა „მცირედთა დღეთა დალეწნეს ზღუდენი შანქორისანი",[4] ქალაქის მესვეურთა სიჯიუტე გატყდა. ქართველები და სომხები მეორე დღეს იერიშისათვის ემზადებოდნენ. შესაძლებელია ეს დღე გადამწყვეტიც აღმოჩენილიყო, მაგრამ ღამით ბაგრატ III-ის ბანაკში ფადლონის მოციქული მივიდა და ზავი ითხოვა. შეთანხმების პირობები მხოლოდ შამქორის ციხე-ქალაქის მომავალს არ მოიცავდა. არანის გამგებელმა „აღუთქვა დღეთა შინა სიცოცხლისა მისისათა მსახურებაჲ,

გაუკუეთა ხარაჯაჲ და დაუწერა თავისთავითა ლაშქრობაჲ მტერთა მისთა ზედა”.[4] მემატიანის მიხედვით, ზავის პირობები ასე გამოიყურებოდა: ფადლონი აღიარებდა საქართველოს მეფის უზენაესობას. კისრულობდა ხარაჯას, თანახმა იყო საქართველოს მხარეზე ებრძოლა, ანუ აღიარებდა სამხედრო მოკავშირეობას, მიუხედავად ამისა მეფე კომპრომისზე წასვლას არ აპირებდა, თუმცა საკუთარმა დიდებულებმა თუ კოალიციის საერთო სარდლობამ გადააფიქრებინეს ქალაქის გარემოცვა და იერიში. მათ მეფე დაითანხმეს ზავის პირობები მიეღო. ბაგრატ III-ს დათმობაზე წასვლა მაინცდამაინც არ ახასიათებდა, მაგრამ არსებული რეალობა აიძულებდა თავისი გეგმებისათვის გადაეხვია. ბოლოს და ბოლოს ბაგრატ III-მ ფადლონის ზავის პირობები მიიღო. საქართველოს ერთიანობის განსამტკიცებლად ბაგრტ III ზოგჯერ იძულებული ხდებოდა უკიდურესი ზომებისათვის მიემართა. მან თავისი ნათესავები კლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავლები, სუმბატი და გურგენი (ბაგრატ არტანუჯელის ძენი), რომლებიც ვერ დაიმორჩილა, ვითომ შერიგების მიზნით სადარბაზოდ მოიწვია ფანასკერტში, შეიპყრო და თმოგვის ციხეში გამოკეტა, სადაც გარდაიცვალნენ კიდეც. კლარჯეთის ბაგრატიონთა სხვა მემკვიდრეებიდან ნაწილი ბიზანტიაში გაიხიზნა, ნაწილი კი პატიმრობაში დაიხოცა. მათი სამფლობელოები, მათ შორის ციხე-ქალაქი არტანუჯი ბაგრატმა შემოიერთა

ბაგრატ III-ის მეფობის პერიოდში დაწინაურდა ქართული კულტურა. აიგო მრავალი არქიტექტურული შედევრი, მათგან აღსანიშნავია ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, რომლის მშენებლობაც 1003 წელს დასრულდა. მისი კურთხევა იმ ეპოქის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. მეფემ წარჩინებული სტუმრები საზღვარგარეთიდანაც მოიწვია. ბაგრატის ტაძარი საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ იქცა. ასევე ამ დროს აიგო ნიკორწმინდის ტაძარი და ბედიის მონასტერი, სადაც დაკრძალულია კიდეც მეფე. ის აქ 1014 წელს ფანასკერტის ციხეში გარდაცვალების შემდეგ გადმოასვენეს.[როინ მეტრეველი ,საქართველოს, ისტორია მეოთხე,მეცცამეტე საუკუნეები გვ 135-155}. ბაგრატ მესამე იყო მეფე, რომელმაც მოახერხა საქართველოს გაერთიანება. ის რაც ვერ მოახერხეს სხვა მეფეებმა მოახერხა ბაგრატ მესამემ. საქართველო გახლდათ სამეფო სამთავროებად დაშლილი და რა თქმა უნდა რთული პროცესი გახლდათ სამეფო სამთავროებად დაშლილი

საქართველოს გაერთიანება, თუმცა ბაგრატ მესამე ძალას და ენერგიას არ იშურებდა. ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და სწორედ ბაგრატ მესამე ამის ნათელი მაგალითია. ბაგრატის გამეფებას ხელი შეუწყო ნათესაურმა კავშირებმაც, თუმცა უდავოა რომ ბაგრატ მესამე გახლდათ ნიჭიერი მხედართმთავარი, რომელმაც მოახერხა ემართა საქართველო. ვახტანგ გორგასლის შემდგომ საქართველო მუდმივ ომებს აწარმოებდა, როგორც სპარსებთან, ბიზანტიელებთან, არაბებთან ისე საშინაო ომებს. ხუთი საუკუნის შემდგომ კი მოახერხა გაერთიანება. დასუსტდა არაბთა სახალიფო, გარდა ამისა თბილისის საამიროც დამოუკიდებელ პოლიტიკას წარმართავდა. ყოველივე ეს კი ნათელი მაგალითია თუ რაოდენ რთული მდგომარეობა იყო საქართველოში. ამას თან ერთვოდა მოღალატე დიდებულებიც, რომლებიც მუდმივად ცდილობდნენ არეულობა შეეტანათ სამეფოში. სამეფო უმკლავდებოდა მის წინაშე წარმოქმნილ პრობლემებს, რა თქმა უნდა ბაგრატი ამ ბრძოლაში მარტოდ არ იყო, მას ყავდა ერთგული თანამებრძოლებიც, ისეთები როგორებიც იყვნენ დავით დიდი კურაპალატი და გურგენი. ბაგრატს არა მარტო სამეფო სამთავროებად დაშლილი ქვეყანა ჩაბარდა, არამედ ეკონომიკურად დასუსტებული და განადგურებული ამდენი ბრძოლით. საქართველო ყოველთვის ინტერესის სფეროში იყო, როგორც დასავლურ ისე აღმოსავლური სამყაროს მხრიდან. აქ იკვეთებოდა ორი სამყაროს დაპირისპირება ისლამურის და ქრისტიანულის. საქართველომ, როგორც მართლმადიდებლურმა სახელმწიფომ არჩევანი გააკეთა ერთმორწმუნე ბიზანტიაზე. ქართველი მეფეები ატარებდნენ ტიტულს კურაპალტი. ეს გახლდათ, როგორც აღვნიშნე ბიზანტიური ტიტული, თუმცა ეს არ გულისხმობდა ვასალურ დამოკიდებულებას ბიზანტიისადმი. საქართველო, როგორც ინტერესის სფერო დასავლურ და აღმოსავლურ სახელმწიფოთა შორის ის ირჩევდა მართლმადიდებლურ სახელმწიფოს. გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ მესამე კურაპალატი, რომელიც გახლდათ აფხაზთა მეფის უსინათლო თეოდოსის დისშვილი ტაოს მმართველის დავით დიდი კურაპალატის აღზრდილი გურგენის შვილი, ავიდა ტახტზე და საქართველო გაერთიანდა. ბაგრატ მესამე იწოდებოდა |“მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა. საქართველოს გაერთიანება ბაგრატის, დავითის და გურგენის უდიდესი დამსახურებაა. რა თქმა

უნდა, რომ არა დავითი და გურგენი და თავის დროზე იოანე მარუშისძის ჩარევა, მხოლოდ ბაგრატი ამას ვერ მოახერხებდა. ბაგრატი გარდაიცვალა ათას თოთხმეტ წელს და დაკრძალულია მის მიერვე აგებულ ბედიის ტაძარში.

თავი V

ბაგრატ მესამე ერთიანი საქართველოს პირველი მეფე

გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პირველი მეფე, 975-1014, ბაგრატიონი, გურგენ მეფეთა მეფისა და გურანდუხტ დედოფლის შვილი, ტაოს მეფეთა მეფის, დავით III-ე კურაპალატის შვილობილი და აღზრდილი ბაგრატ III-ე . ბაგრატის მეფობასა და მოღვაწეობას, მის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლას დაემთხვა დაშლილი და დანაწევრებული ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანებისათვის ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი.

1008 წელს, როდესაც გურგენი გარდაიცვალა, ბუნებრივია გურგენის სამფლობელოები დარჩა ბაგრატს, ეს ტერიტორიები გახლდათ: შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე-ჯავახეთი, რომელიც ბაგრატის განკარგულებაში მყოფ ტერიტორიებს შეუერთდა. ბაგრატ მესამე იწოდებოდა "მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა" არაბებისგან აოხრებულ საქართველოში, რომელშიც მეექვსე საუკუნეში მეფობა გააუქმეს, კვლავ გაჩნდა სინათლის სხივი ბაგრატის სახით. ქვეყანაში რომელიც არაბების მიერ გახლდათ აოხრებული.

ტაოს მმართველს, დავით ბაგრატიონს მსახურებმა მოახსენეს უფლისციხიდან მალე მსრბოლელი მოვიდა და სასწრაფოდ თქვენთან შეხვედრას ითხოვსო. დარბაზში შესულ დავითს მალე მსრბოლელი ეახლა და გადასცა წერილი, თუ რა მდგომარეობა გახლდათ საქართველოში. ქართლის ერისთავი იუანე მარუშისძე იტყობინებოდა, რომ კახელები უფლისციხეს შემოადგნენ და აღებას ლამობენო. იოანე მარუშისძე წერდა უახლოეს მომავალში უნდა მოხვიდე და შენი ლაშქრით ან შენ უნდა აიღო უფლისციხე ან მმართველად შენთვის სასურველი პიროვნება დანიშნოო. დრო ცოტა გვაქვს, ამიტომ უნდა იჩქარო და დროული გადაწყვეტილება მიიღოო. ყოველივეს ემატებოდა გართულებული მდგომარეობა აფხაზეთში, რის შესახებაც რა თქმა უნდა იცოდა ტაოს მმართველმა. უშვილოდ გარდაცვლილი აფხაზთა მეფის ტახტზე მის ნაცვლად დემეტრეს ძმა, უსინათლო თეოდოსი ავიდა. მას ცხადია, გაუჭირდებოდა მართვა, რითაც ისარგებლეს დიდებულებმა. რთული ვითარება გახლდათ აფხაზთა სამეფოში. აფხაზთა სამეფოს მდგომარეობით ისარგებლა კახეთის მმართველმაც და შიდა ქართლის დაკავებაც მოისურვა. მუდმივი დაპირისპირება მიმდინარეობდა ქართულ სამეფო სამთავროებს შორის პირველობისთვის. ბრძოლას სამეფო სამთავროების პირველობისთვის ცხადია ქონდა უდიდესი მიზანი და ეს გახლდათ

საქართველოს გაერთიანება. ცხადია, საქართველოს გაერთიანება არ იქნებოდა მარტივი პროცესი, მტრებით გარშემორტყმული საქართველო ოდითგან იყო ინტერესის სფერო არაერთი იმპერიისთვის. საქართველო დასუსტებული გახლდათ ეკონომიკურადაც, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ბრძოლეებს შეეწირა. მეათე საუკუნეში გაძლიერდა აფხაზთა სამეფო, მისმა მეფემ გიორგი მეორემ, მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველოში მდგომარეობა განიმტკიცა, გადაწყვიტა შიდა ქართლის დაკავებაც და კახეთის მართველიც რამდენჯერმე დაამარცხა, მაგრამ 975 წელს მდგომარეობა შეცვლილი იყო. დავით ბაგრატიონმა კარგად იცოდა რომ იოანე მარუშისძე აფხაზთა მეფის ერისთავი იყო და დახმარებისთვის თეოდოსისთვის უნდა მიემართა, დავით ბაგრატიონმა იცოდა, თუ რატომ გააკეთა ეს იოანე მარუშისძემ და რატომ გააგზავნა მალემსრბოლელი ქუთაისის ნაცვლად, [42] როგორც მემატიანე წერს, იოანე მარუშისძემ[43] „წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა: აწვია, რათა გამოილაშქროს ძალითა მისითა, აღიღოს ქართლი; ანუ დაიმჭიროს თვით ანუ უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი“. დავითმა მხარი დაუჭირა თავისი შვილობილის, ბაგრატის გამეფებას და 975 წელს ჯარით ქართლისაკენ გაემართა[44] ძლეევამოსილი არაბთა სახალიფო დაშლის პირასაა და კიდეც დაიშალა მეათე საუკუნეში. ჩამოყალიბდა არაერთი სამთავრო. ეს რა თქმა უნდა საქართველოსთვის კარგი ეპოქალური მოვლენა გახლდათ. საქართველოს დაახლოება ბიზანტიის იმპერიასთან გრძელდება იმ ბიზანტიის იმპერიასთან, რომელთანაც საქართველოს არამარტო კულტურული არამედ ნათესაური ურთიერთობებიც აკავშირებდა. ხოლო, რაც შეეხება ბიზანტიელ ისტორიკოსებს მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის გიორგი კედრენე. გიორგი კედრენე ეხება ბიზანტიის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან ხანას, მსხვილ ფეოდალთა ბრძოლას სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ. 976 წ მცირე აზიელმა, დიდმა ფეოდალმა ბარდა სკლიაროსმა, მთელ მცირე აზიაში გაავრცელა თავისი ძალაუფლება და დიდძალი

[42]გ. გეთიაშვილი," ბაგრატ მესამე "გვ,153-154)

[43] ივ,ჯავახიშვილის ქართველი ერის,ისტორია,ტომი მეორე საქართველოს

[44] სოციალური და კულტურული მდგომარეობა გაერთიანების ხანაში თავი VII :გვ 151-153}

ჯარით მიუახლოვდა დედაქალაქის მისადგომებს. სამეფო ტახტზე ამ დროს რენეგატობდა მცირეწლოვანი უფლისწულების რომანოზ მეორის ვაჟების: ბასილისა და კონსტანტინეს დედა. ბარდა სკლიაროსის შემოსევებმა დამღუპველი შედეგები მოუტანა ბიზანტიას. მცოდნე პირების რჩევით გადაწყვიტეს დახმარების თხოვნით მიემართათ იბერიიის მეფისთვის დავით კურაპალატისთვის ,რომელსაც ზურგიდან, აღმოსავლეთიდან შეეძლო შეეტია აჯანყებული სკლიაროსის ჯარისთვის და ამით გადაერჩინა ბიზანტიის სამეფო ტახტი კატასტროფისგან, რადგან კონსტანტინეპოლში იცოდნენ, რომ ათონის მთაზე იმყოფებოდა სახელგანთქმული სარდალი, ამ დროს უკვე ბერად აღკვეცილი თორნიკე ერისთავი. დედოფალმა დაიბარა იგი სატახტო ქალაქში და სთხოვა დავით კურაპალატთან გამგზავრებულიყო დედოფლის დავალებით[45]. დავით კურაპალატი გამოეხმაურა ბიზანტიის მთავრობის შუამდგომლობას. მისცა კურაპალატმა თორმეტი ათასი მხედარი რჩეული თორნიკეს და შეწევნით ქრისტესაითა აოტა სკლიაროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია[46] იბერთა მეფის და ჯარის დახმარებით ბიზანტიის მთავრობა გადარჩა განადგურებას[47]. ვინაიდან გიორგი კედრენეს ცნობები არის არასრული და ბიზანტიელი ავტორების უმეტესობა ამ წყაროს ეყრდნობა და სრულიად უგულებელყოფილია ქართველთა როლი ამ გამარჯვებაში, დღის წესრიგში დადგა სხვა წყაროებით გამდიდრება ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის. თორნიკე ერისთავი მოღვაწეობდა ათონის ივერთა მონასტერში, საერო ცხოვრებაში თორნიკე, სასულიერო ცხოვრებაში იოანე, ტაო-კლარჯეთის მეფის დავით კურაპალატის სარდალი. ერისთავი ასე იწოდებოდა ლაშქრის მეთაური მეათე საუკუნეში. თორნიკე სახლდება ივერთა მონასტერში, რადგან მას სურს გაექცეს ამქვეყნიურ ამაოებას. 976 წელს აჯანყდა ბარდა სკლიაროსი, ბასილისა და კონსტანტინეს დედამ, დედა დედოფალმა თავისთან დაიბარა თორნიკე, რაზეც თორნიკემ უარი განაცხადა, მას არ სურდა საერო ცხოვრებას დაბრუნებოდა. სამი წერილი გაიგზავნა ათონის ივერთა მონასტერში, ათანასეს, იოანე ვარაზ-ვაჩეს და

---

[45] {გიორგი კედრენე ისტორიული მიმოხილვა, 32-33

[46] {გიორგი მთაწმინდელი,ცხოვრება იოანესი და ექვთიმესი თბილისი 1946 წელი გვ 19]

[47] {გიორგი კედრენეს,გეორგიკა,ისტორიული მიმოხილვა ,32-33}

იოანე თორნიკეს სახელზე, ისინი არწმუნებდნენ თორნიკეს ხლებოდა დედოფალს, რაზეც როგორც აღვნიშნე თორნიკე უარს აცხადებდა. თორნიკე იძულებული გახადა დათანხმებოდა ამ თხოვნას მაშინ, როდესაც ქართველების ყოფნას ივერონში საფრთხე დაემუქრა. თორნიკე ეახლა საიმპერიო კარს და დათანხმდა დედოფლის შემოთავაზებას. იმ შემთხვევაში თუ თორნიკე გაიმარჯვებდა ამ ბრძოლაში ნადავლი მას გადაეცემოდა და მიწებიც დაუკანონდებოდა ტაო-კლარჯეთის მეფეს. თორნიკე ეახლა ტაო-კლარჯეთის მეფეს დავთ კურაპალატს და მისცა კურაპალატმან 12 ათასი მხედარი. ბარდა სკლიაროსს არაერთხელ ჰყავდა დამარცხებული ბიზანტია და ეს ბრძოლა უმნიშვნელოვანესი გახლდათ, რადგან საფრთხე ემუქრებოდა კონსტანტინეპოლს. 979 წელს თორნიკე ერისთავმა დაამარცხა ბარდა სკლიაროსი და ნადავლი შესწირა ათონის ივერთა მონასტერს, ხოლო 980 წელს მან მიიღო სვინგელოზის წოდება. ასევე ქართველებმა მოიპოვეს ზღვაზე გასასვლელი. თორნიკე ერისთავი გახლდათ ათონის ივერთა მონასტრის ქტიტორი. პოეტმა აკაკაი წერეთელმა სწორედ გიორგი მთაწმინდელზე დაყრდნობით დაწერა პოემა თორნიიკე ერისთავი, ვინაიდან ბიზანტიურ ქრონოგრაფიებში დამალულია ქართველთა როლი ამ უდიდეს გამარჯვებაში. ჩვენ მოგვეპოვება, როგორც ბიზანტიელი ავტორის ცნობები, ასევე ქართველების, განსხვავებით ბიზანტიელი ავტორებისგან, ქართველები ხაზს უსვამენ ქართველების როლზე ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ და ამ საკითხის ირგვლივ არ ცხრება სჯა-ბაასი. არაერთი ისტორიკოსი გადმოგვცემს ამ ბრძოლას, მათ შორის არის მიხეილ კახაძე, როგორც აღვნიშნე სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ გიორგი კედრენეს ცნობები გახლავთ არასაკმარისი. გიორგი კედრენე გახლავთ ბიზანტიელი ავტორი და ამ ბრძოლის აღწერაში ის ავლენს სუბიექტურობას, მას არასაკმარისად აქვს წარმოდგენილი ფაქტები. გიორგი კედრენე ცდილობს დამალოს ქართველთა როლი ამ გამარჯვებაში. პირველ რიგში შევეხოთ იმას, თუ როგორ არის ეს ფაქტი ბარდა სკლიაროსის ბრძოლისა გაშუქებული სამეცნიერო ლიტერატურაში. ბარდა სკლიაროსმა არაერთხელ დაამარცხა ბიზანტიის ჯარები და კონსტანტინე პოლს ემუქრებოდა. თორნიკე ერისთავს არ სურდა მიეღო მონაწილეობა ამ ბრძოლაში ,ცხადია, რატომ ის განშორდა საერო ცხოვრებას. ზოგადად შეიძლება ახლავე ითქვას, რომ ბიზანტიის

ისტორიის სახელმძღვანელოებში და მონოგრაფიებში, ძირითადად ემყარებიან გიორგი კედრენეს ცნობას, თუმცა ეს ფაქტი ქართველთა სასარგებლოდ სრულებითაც არ მოქმედებს. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი უგულებელყოფს კედრენეს ცნობის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია იბერიაზე და დავით კურაპალატზე. ჩვენ მოვიყვანთ, როგორც ძველი ისე ახალი ისტორიკოსების შეხედულებებს ამ საკითხზე. იმისთვის, რომ მივიდეთ ჭეშმარიტებამდე უნდა ვიცნობდეთ სხვადასხვა ავტორის შეხედულებებს.

სინამდვილეს შეესაბამება გიორგი კედრეენეს ცნობები თუ ეს სიმულაციაა. გიორგი კედრენეს იყენებს არაერთი ავტორი და აი რას წერენ ამ ბრძოლის შესახებ. გერმანელი ბიზანტისტი ჰ. გელცერი კედრენეს მიხედვით აღწერს სკლეროსის აჯანყების ისტორიას და დავით კურაპალატსაც იხსენიებს. ის წერს ბარდა სკლეროსმა ორჯერ დაამარცხა ბიზანტიური არმიები, ხელთ იგდო მთელი მცირე აზია და სერიოზულად ემუქრებოდა დედაქალაქს, ასეთ პირობებში გამოწვეულ იქნა დიდი ხნის წინ გაძევებული და ბარდა სკლეროსის მეტოქე ბარდა ფოკა, ქიოსის ერთ-ერთი მონასტერიდან. იმპერიის გენერალმა ე.ი ფოკამ წააგო ორი ბრძოლა ამორიონთან და ბასილიკა თერმასთან. იგი უნდა წასულიყო იბერიაში, რომ შეეკრიბა დაქირავებული ჯარი, ბიზანტიის მოკავშირე დავით კურაპალატის ქვეყანაში. მესამე ბრძოლა ღალისზე ასევე უბედურად დაიწყო, მაგრამ ორთაბრძოლაში ფოკამ ცხენიდან ჩამოაგდო ბარდა სკლეროსი, რადგან ცხენი უმხედროდ დარბოდა აჯანყებულთა რიგებში ამათ ჩათვალეს თავისი ბელადი დაღუპულად და გაიქცნენ. 979 წლის ზაფხულში სკლეროსი იძულებული გახდა გაქცეულიყო არაბთა ტერიტორიაზე. როგორც ვხედავთ, არც ერთ სახელმძღვანელოში არ არის მოხსენებული ,რომ ბარდა სკლეროსის აჯანყების მთავარ ჩამქრობ ძალად უნდა მივიჩნიოთ დავით კურაპალატის 12 ათასიანი არმია და თორნიკე ერისთავი, მაგრამ ეს ყველა წყარო ემყარება გიორგი კედრენეს ქრონოგრაფიას, სადაც იბერთა ჯარის და თორნიკე ერისთავის როლი მიჩქმალულია, მაგრამ რის მიხედვით ვამბობთ ჩვენ კედრენეს ქრონოგრაფიაში იბერთა ჯარის როლი, რომ მიჩქმალულია?

ჩვენ მოგვეპოვება დოკუმენტები, რომელიც ამ ბრძოლის ახლო ხანებით თარიღდება და ამ დოკუმენტებში ნათლად იკვეთება ქართველთა როლზე ამ

გამარჯვებაში, რომ არა თორნიკე ერისთავი და დავით კურაპალატი ბიზანტიელები ამ ომს წააგებდნენ, რადგან ჩვენთვის ცნობილია, რომ მანამდეც ბარდა ფოკა არაერთხელ დამარცხდა ბარდა სკლიაროსისი წინააღმდეგ ბრძოლაში. რატომ დამალა გიორგი კდრენემ ქართველთა როლი ამ გამარჯვებაში? იქნებ გიორგი კედრენეს არ სურდა ხაზი გაესვა ქართველთა სიძლიერეზე და თუ ასე მაშინ ბუნებრივია ისმის კითხვა რატომ?

გიორგი კედრენე გახლავთ ბიზანტიელი ავტორი, მას კი არ სურს ტაო-კლარჯეთის, როგორც ძლიერი სამეფო-სამთავროს წინა პლანზე წამოწევა, რადგან ამ შემთხვევაში დაზიანდება ბიზანტიის იმპერია, გასაგებია და ნათელია გიორგი კედრენეს სურვილი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მას ვერ დავეყრდნობით, როდესაც გვაქვს გიორგი მთაწმინდელის ცნობები. ჩვენ განკარგულებაში არის რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც თარიღდება ბარდა სკლეროსის აჯანყების ახლო ხანებით ამ დოკუმენტში გარკვევით არის აღნიშნული დავით კურაპალატისა და თორნიკე ერისთავის როლი ბარდა სკლეროსის აჯანყების ჩახშობის საქმეში. მაგრამ სანამ ამ დოკუმენტებზე ვილაპარაკებეთ ,საჭიროდ ვთვლი მოვიგონოთ ერთი ნარატიული წყარო,რომელიც აკაკი წერეთლის თორნიკე ერისთავის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ეს ნარატიული წყაროა გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება იოანესი და ეფთუიმესი,რომელიც დაწერილი უნდა იყოს მეთერთმეტე საუკუნის შუა ხანებში, გიორგი მთაწმინდელის წყარო უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას გვაწვდის ამ გამარჯვებაში ქართველთა როლზე. ესეიგი გიორგი მთაწმინდელის ცნობები ბარდა სკლეროსის აჯანყებისა დაშორებულია ამ აჯანყებას სულ, რაღაც 60 წლით. ბუნებრივია გიორგი მთაწმინდელის სახით ჩვენ გვყვავს უმნიშვნელოვანესი მემატიანე ამ ბრძოლისა და ქართველთა, როლიც ნათლად არის ასახული ამ გამარჯვებაში. ყველა მთაწმინდელ ეცოდინებოდა ამ აჯანყების შესახებ, ვინაიდან როგორც აღვნიშნე სულ რაღაც 60 წლით არის დაშორებული ამ მოვლენას. ამ აჯანყების შესახებ მოგვითხრობს გიორგი მთაწმინდელი იმგვარად, როგორც ამაზე ვისაუბრეთ, ანუ კედრენესგან განსხვავებით უფრო ზუსტ ცნობებს გადმოგვცემს. ჩვენ არ უნდა ვემყარებოდეთ მხოლოდ გიორგი კედრენეს. მას ჟამსა იქნა განდგომილებაი სკლიაროსისაი და ველით ველამდის ყოველივე დაიპყრო და მეფენი და დედოფალნი

შეწყდეულად იყვნეს ქალაქსა შინა დიდითა წირითა და იწროებითა და ამასა შინა რაი იყვნეს ,განიზრახეს ვითარმედ "ჩვენ შემწე დავით კურაპალატისგან არავინ არს და ვინაიდან გზანი ყოველნი სკლიაროსისა დაეპყრეს,კაცისა წარვლენაიმნ არ ეგებოდეს და დიდსა ზრუნვასა შინა იყვნეს ,რამეთუ არც ვინ იყო ეგევითარი კაცი რომელმანცა სრულყო ნებაი გულუისა მათისაი. გიორგი მთაწმინდელი გადმოგვცემს ზუსტ ცნობებს, რომ ბარდა სკლიაროსმა დაიპყრო უამრავი ტერიტორია და ბიზანტიას დაემუქრა, საფრთხე არსებობდა კიდეც, რომ აეღო კონსტანტინეპოლი დედოფალმა გადაწყვიტა დახმარება ეთხოვა დავით კურაპალატისთვის ტაო-კლარჯეთის მეფისთვის, მაგრამ არავინ ეგულებოდა, რომ გამოეგზავნა საქართველოში მაშინ გამოჩნდა თორნიკე. ასეთ პირად მოიპოვეს თორნიკე, რომელიც დაითანხმეს, რომ დავით კურაპალატთან წასულიყო და ესრეთ წიგნები ვედრებისაი დაწერეს დედოფალმან და პარაკიმანოსმან, კურაპალატსა თანა და ესრეთ იჯმნა მეფეთაგან და რომლითაცა სახითა კურაპალატსა მიიწია თორნიკე. დედოფალმა დაწერა წერილი სადაც თხოვდა დავით კურაპალატს დახმარებას და გამოგზავნა საქართველოსი თორნიკე ერისთავი. ხოლო რა იხილა იგი კურაპალატმან ,ფრიად განიხარა და წიგნი მეფეთა მიითუალა, როდესაც თორნიკე ეახლა დავით კურაპალატს გადასცა წერილი, დავით კურაპალატმა მიიღო წერილი და გადაწყვიტა დახმარებოდა ბიზანტიის იმპერია, ამ უმნიშვნელოვანეს ბრძოლაში და ყოველივე საქმე თორნიკ გააცადა, რომლისთვისაც განზრახვაი ქმნეს, რათა ლაშქარნი წარმგზავნენ საბერძნეთს და სპასალარად თორნიკ განაჩინეს. ჯარის სარდლად დაინიშნა თორნიკე ერისთავი დათანხმდა დავით კურაპალატი ბიზანტიის დედოფლის თხოვნას.. დავითმა თორნიკე მხედრებითურთ გააგზავნა ბიზანტიაში, რათა დახმარებოდნენ ბარადა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლისთვისაც მისცა კურაპალატმან ,თორმეტი ათასი მხედარი, რჩეული თორნიკს და შეწევნითა ქრისტესაითა აოტა სკლეროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარიქცია.

დავით კურაპალატმა თორნიკეს 12 ათასიანი ლაშქარი გაატანა. თორნიკე ერისთავმა ქართულ მხედრებთან ერთად მოახერხა ბარდა სკლიაროსის დამარცხება და გადაარჩინა ბიზანტიის იმპერია. ბარდა სკლიაროსი უკუიქცა და მერმე შეიქც და სიტყვისაებრ მეფეთა დაატყუენა ყოველნი დიდებული საბერძნეთისანი და მონაგები

მათი იავარ ყო და რომელნიმე ლაშქართა განუყო თუით დაიმჭირა დიდძალი ოქროი და ვერცხლი და სტავრაი და სხუა ესევითარი და უკუ იქცა და მოიკითხა კურაპალატი და დიდად მოიმადალა და იჯმნა მეფეთა წინაშე მივიდა. თორნიკე ერისთავმა ნადავლის ნაწილი ჯარს გაუყო,ხოლო ნაწილი დავით კურაპალატს გადასცა,დავით კურაპალატმაც დიდი სიხარულით მიიღო თორნიკე ერისთავი. ხოლო იგინი დიდითა პატივითა მიეგებნეს და მოწლედ მოიკითხეს, იჯმნა უკვე მათგანაც და გამოეთხოვა და კუალად მთაწმინდასვე მიიქცა,[48] თორნიკე გამოეთხოვა, მეფეს და დაუბრუნდა წმინდა მთას.თორნიკე ერისთავმა ღირსეულად შეასრულა დავით კურაპალატის თხოვნა. მართალია გიორგი მთაწმინდელის ეს შრომა დოკუმენტურ წყაროს არ წარმოადგენს, მაგრამ იქ მოთხრობილი ამბავი ძნელი საფიქრებელია რომ ისტორიულ მოვლენას არ შეეხებოდეს. ვინაიდან გიორგი მთაწმინდელის ცნობები 60 წლით არის დაშორებული ამ ბრძოლას და საფიქრებელია, რომ გიორგი კედრენესგან განსხვავებით გიორგი მთაწმინდელის ცნობები უფრო ზუსტია და რეალობას შეესაბამება. ამის სასარგებლოდ საუბრობს გიორგი მთაწმინდელის სამწერლობო მეთოდი ჩვენ თავით თვისიით არარაი აღგვწერია არამედ ვისწავლეთ იგი კაცთა სარწმუნოთა და სულიერთა მამათა,ამბობს გიორგი მთაწმინდელი. გიორგი კედრენეს ფაქტების მიჩქმალვით თითქოს სურს ბიზანტიის როლი წინა პლანზე წამოწიოს და ფაქტებს მალავს,განსხვავებით გიორგი მთაწმინდელისგან.

ჩვენთვის ცნობილია, ასევე რომ თორნიკე ერისთავმა ნადავლის დიდი ნაწილი ივერონის მონასტერს შესწირა. გიორგი მთაწმინდელის ცნობები ამ მოვლენის შესახებ, როგორც აღვნიშნე არის უფრო ზუსტი, ვიდრე გიორგი კედრენესი, ვინაიდან იქ მიჩქმალულია ქართველთა როლი და მნიშვნელობა ამ გამარჯვებაში. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს როლსა და მნიშვნელობაზე მეათე საუკუნეში.

ამგვარად უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგი მთაწმინდელის შრომაში სანდო წყაროების მიხედვით არის გადმოცემული სკლეროსის აჯანყების ამბავი. გიორგი მთაწმინდელს არანაირი ინტერესი არ გააჩნდა მოეხდინა ფაქტების დამალვა. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ თორნიკეს ერისკაცობაში დიდი თანამდებობა

[48] გიორგი მტაწმინდელი , ცხ იოანესი და ეფთუიმესი, გვ17-19.

ჰქონდა, მაგარამ უფლის სიყვარულისთვის მიატოვა ყოველივე და ათონის ივერთა მონასტერში დასახლდა. ა}თორნიკეს ერისკაცობაში დიდი თანამდებობა ჰქონდა, ხოლო უფლის სიყვარულის გამო დათმო ამქვეყნიური დიდება {დიდება ქვეყნისაი} და აღიკვეცა ბერად {შეიმოსა სახე მეუდაბნოეთაი}. თორნიკეს ბერად ყოფნის დროსაც არ მიუტოვებია მეფეთა სამსახური, იგი ერთგულად ემსახურა მეფეს. ჩვენთვის ცნობილი ფაქტია, რომ თორნიკეს თავდაპირველად არ სურდა ამ ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა, მაგრამ მისთვის გახდა ცნობილი, რომ საფრთხე ემუქრებოდა ქართველთა ყოფნას ივერონში. თორნიკე გამოცხადდა მეფესთან და დათანხმდა ებრძოლა ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ. მაგარამ ამ სახითაც ესე იგი ბერად ყოფნისას არ დაუგდია მეფეთა მსახური "ერთგულებით მსახურა წმინდათა მეფეთაო," რომ არის ამ დოკუმენტში, ამით იგულისხმება ის ღვაწლი, რომელიც დასდო თორნიკემ მეფეებს ბასილს და კონსტანტინეს, თუ რა ღვაწლი იყო ეს განმარტებულია მომდევნო წინადადებაში. თორნიკე ერისთავი წარსდგა ბიზანტიის დედოფლის წინაშე, ბასილი და კონსტანტინე მცირეწლოვანნი იყვნენ, ამიტომ იმპერიას დედა დედოფალი მართავდა. განუსაზღვრელია თორნიკეს ღვაწლი კონსტანტინეს და ბასილის წინაშე. თორნიკეს დაუფასდა ბრძოლა ბიზანტიელების დასაცავად, თორნიკეს თანადგომა, რომ არა ბასილი აიღებდა კონსტანტინეპოლს. გ.როდესაც საბერძნეთში გამოჩნდა კაცი ბოროტი და თავხედი იგულისხმება ბარდა სკლეროსი, რომელიც წინ აღუდგა მეფეებს ბასილს და კონსტანტინეს. თორნიკე მაშინვე გაეშურა დავით კურაპალატთან და მისივე ბრძანებით შეებრძოლა სკლიაროს და მისი გეგმები გაანადგურა, {დაამხუაი განზრახვა მისი}, ხოლო ბასილისა და კონსტანტინეს მდგომარეობა განამტკიცა.

თორნიკე ერისთავის ამ გამარჯვებას აკაკი წერეთელმა უძღვნა პოემა თორნიკე ერისთავი. აკაკი სარგებლობს გიორგი მთაწმინდელის ცნობებით. ბიზანტიაში 976 წელს გამოჩნდა ბარად სკლიაროსი და რამდენჯერმე დაამარცხა ბარდა ფოკა, ამ დროს ბასილი და კონსტანტინე მცირეწლოვანნი იყვნენ. 979 წელს თორნიკემ დაამარცხა სკლიაროსი და უკუაქცია. ამგვარად ნათელია, რომ ეს დოკუმენტი „ხელნაწერი-ანდერძ-მინაწერი“ მოგვითხრობს სკლეროსის აჯანყების შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორი სამსახური გაუწიეს ბიზანტიის სამეფო კარს დავით

კურაპალატმა და თორნიკე ერისთავმა. დავით კურაპალატი იყო ჭკვიანი პოლიტიკოსი და კარგად იცოდა, რომ ამ დახმარებით თავის პოზიციებს განიმტკიცებდა და კიდევ ერთხელ დაარწმუნებდა ბიზანტიის იმპერიას კეთილგანწყობაში. დავით კურაპალატმა თორნიკე ერისთავის დახმარებით მოიპოვა ბიზანტიის იმპერიის კეთილგანწყობა. არსებობს ხელნაწერებიც, ეს ხელნაწერები სწორედ სკლიაროსის აჯანყების შესახებ მოგვითხრობს. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დოკუმენტს, იმის გამო რომ იგი წარმოადგენს ანდერძ მინაწერს, 977 წელს გადაწერილი ხელნაწერისა. ხელნაწერი წარმოადგენს იოანე ოქრიპირისა და ეფრემ ასურის ჰომილიათა კრებულს, უკანასკნელი 58 ფურცელი უჭირავს იოანე მესხის სამოთხეს, ხელნაწერი, მართალია, ათონის ქართველთა სავანის ბიბლიოთეკაშია, მაგრამ ის ოშკშია გადაწერილი და თარიღდება 977 წლით. ეხება ხელნაწერის გადაცემას და ის არ არის თარიღი ანდერძ მინაწერისა. ანდერძ მინაწერიც შესრულებული უნდა იყოს იმავე სავანეში, რომ ეს ანდერძ-მინაწერი შესრულებულიყო ათონის მონასტერში. მაშინ იქ უთუოდ იქნებოდა მოხსენიებული რომელიმე ათონელი მოღვაწე {იოანე და ექვთიმე }.ჩანს თორნიკეს სკლიაროსის დამარცხების შემდგომ შეუვლია ოშკში, სადაც მისი ძმა იოანე ვარაზ ვაჩე მოღვაწეობდა. წიგნი შეუძენიათ და მინაწერიც დაურთავთ. თორნიკე ერისთავის დამსახურება ბიზანტიის სამეფო კარის წინაშე, როგორც ჩანს კარგად ახსოვდათ ათონის ქართველთა სავანეში. ჩვენ საჭიროდ ვთვლით მკითველს გავაცნოთ შემდეგი მასალაც. თორნიკე ერისთავის დამსახურება ათონის ივერთა მონასტრის წინაშე დიდია, ბარადა სკლიაროსის დამარცხების შემდგომ, ნადავლი, რომელიც თორნიკემ ხელთ იგდო შესწირა ათონის ივერთა მონასტერს. მაშინ, როდესაც ათონის ივერთა მონასტერში ქართველთა ყოფნას საფრთხე ემუქრებოდა. თორნიკეს დახმარებით ათონის ივერთა მონასტერში აღმშენებლობა განახლდა, ქართველებს მიეცათ უფლება ზღვაზე გასვლის. 1903 წელს ბერძნულ ენაზე გამოიცა წიგნი მთაწმინდა ,რომელშიც დაწვრილებით არის მოთხრობილი ათონის მთაზე არსებული ყველა მონასტრის ისტორია, მათ შორის ქართველთა სავანის დაარსებისა და თავგადასავლის შესახებაც. გიორგი კედრენეს წიგნი მხოლოდ ერთადერთი წყარო არ არის, ჩვენ მოგვეპოვება, როგორც ზემოთაც არის აღნიშნული 1903 წელს ბერძნულ ენაზე

გამოცემული წიგნი „მთაწმინდა,“ რომელიც გასაგებია, რომ უნდა ასახავდეს ათონის ივერთა მონასტერში ქართველი ბერების მოღვაწეობას. გიორგი კედრენესგან განსხვავებით ამ წიგნში ნათლად არის ასახული ქართველთა როლი ბიზანტიის იმპერიაში, კონკრეტულად თორნიკე ერისთავის როლი ბარდა სკლიაროსის წინაღმდეგ ბრძოლაში. აქ ფართოდ არის გაშუქებული თორნიკე ერისთავის ცხოვრება და მოღვაწეობა. თორნიკეს როლი ბიზანტიიის ისტორიაში და მისი საქმიანობა ქართველთა სავანის დაარსებისათვის. თორნიკე ერისთავის დახმარებით ათონის ივერთა მონასტერში ახალი სავანეები შეიქმნა. სახელდობრ მოთხრობილია, რომ ბარდა სკლეროსის აჯანყების დროს მცირეწლოვანი მეეფების ბასილისა და კონსტანტინეს დედამ, დიდებულთა რჩევით ბერად აღკვეცილი თორნიკე მიავლინა დავით კურაპალატთან და რომ დავითის ბრძანებით შეკრებილი ლაშქრით თორნიკემ დაამარცხა ბარდა სკლეროსი, თორნიკეს დიდძალი ნადავლი ერგო, თორნიკეს ღვაწლის დასაფასებლად დედოფალმა შესთავაზა თორნიკეს საჩუქრები, რაზეც თორნიკემ უარი განაცხადა. მაგრამ სულ სხვაგვარად არის გადმოცემული ინფორმაცია გიორგი მთაწმინდელის ნაშრომში. რეალობა კი არის შემდეგი: თორნიკე ერისთავის როლი ბარდა სკლიაროსის დამარცხების საქმეში უდიდესია, ჩვენთვის ნაცნობია ის ფაქტიც, რომ თორნიკე ამაზე უარს ამბობდა ებრძოლა ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ, რადგან ის საერო ცხოვრებას განშორდა. შემდეგ ამ წიგნში ნათქვამია: რადგან ქართველები ვიწროდ იყვნენ ლავრაში, ამიტომ იოანე იბერმა გადაწყვიტა საკუთარი ლავრა აეშენებინათ, დამოუკიდებელი არა მთაწმინდის იურისდიქციისადმი დაქვემდებარებული, არამედ უშუალოდ ელინთა მეფეების მფარველობაში მყოფი. ბასილ კეისარი სწყალობდა თორნიკე ერისთავს და თორნიკეს ამ გადაწყვეტილებას კეთილგანწყობილი შეხვდა, ამიტომ იოანე იბერი ჯერ გადავიდა ათონის მონიდრონში, ხოლო 980 წელს გამოითხოვა ბასილისგან ლეონტია მონასტერი თესალონიკეში, იოანე კალობის მონასტერი ჰიერისოში და წმინდა კლემენტის მონასტერი ათონზე ყველა მათი მამულებით და შემოსავლით ათონის მონიდრიონის შესანახავად და ახალი ლავრის დასაარსებლად, რომლისთვისაც თორნიკემ გამოიყენა ბარდა სკლეროსის გამარჯვების წყალობით მოპოვებული ნადავლი. 985 წელს ქართველთა ლავრის აშენება დამთავრდა კეისრების თანხებით.

თორნიკე ერისთავის გამრჯვება მნიშვნელოვანი მოვლენა აღმოჩნდა იმ თვალსაზრისითა, რომ ათონის ივერთა მონასტერში დაფუძნდა ბასილ კეისარის დახმარებით არაერთი ლავრა, რადგან თორნიკეს წყალობდა ბასილ კეისარი. მას 980 წელს სვინგელოზის წოდებაც კი გადასცეს. 985 წელს თორნიკე ერისთავი გარდაიცვალა, მაგრამ მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველო ბიზანტიის დაახლოებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნე ბარადა ფოკა რამდენჯერმე დაამარცხა ბარად სკლიაროსმა და საფრთხე ემუქრებოდა კონსტანტინეპოლს და რომ არა დავით კურაპალატი და თორნიკე ერისთავი ბარდა სკლიაროსი აიღებდა ბიზანტიის დედა ქალაქ კომსტანტინეპოლს. ჩვენთვის ცნობილია, რომ ბასილი და კონსტანტინე მცირეწლოვანნი იყვნენ და ბიზანტიის იმპერიას მართავდა დედა დედოფალი. რატომ არის მნიშვნელოვანი ქართველების დახმარება ბიზანტიის იმპერისთვის? მაშინ, როდესაც ქართველები ადრეც ეხმარებოდნენ ბიზანტიის იმპერიას მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. პირველი დავიწყოთ იქიდან, რომ ამ შემთხვევაში საფრთხე ემუქრებოდა ბიზანტიის იმპერიას. მეორე, იოანე, ერის კაცობაში თორნიკე დიდიხანია განშორებული იყო საერო ცხოვრებას. ასეა მოთხრობილი გერასიმე ზმირნაკის წიგნში {მთაწმინდა] ქართველთა სავანის დაარსების ისტორია თორნიკე ერისთავის მოღვაწეობასთან დაკავშირებით, კეისარი ბასილი, რომელიც სამეფო ტახტზე იჯდა სწორედ თორნიკეს წყალობით, მზად იყო შეესრულებინა ათონელ ქართველთა ყოველგვარი თხოვნა. ნათქვამია ისიც, რომ კონსტანტინეპოლიდან საგანგებო ოსტატები გაუგზავნეს ათონის ქართველებს სავანის შენობის ასაგებად. ბასილი კეთილ განწყობილი იყო თორნიკეს მიმართ და ყოველივე აღიბეჭდა კიდეც გერასიმე ზმირნაკის წიგნში. ამის გამო იყო, რომ თორნიკეს დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი ათონის მოღვაწეთა შორის, ქართველთა სავანეში თორნიკეს ხსოვნას თაყვანს სცემდნენ ,ქართველთა ისტოორიის დამწერი (ზმირნაკის წიგნში} ასე ამთავრებს აღწერას: ქართველთა {მონასტრის ბიბლიოთეკაში დღემდე ინახება ,ამ უმამაცესი მებრძოლის თორნიკეს პერანგის შესაკრავი. მისი ისარი თათრული სახის ნაწილობრივ შეწყლეტილია. ამ რელიკვიების შესახებ ლაპარაკობს აგრეთვე ტიმოთე გაბაშვილი.{მონასტრისა მის საგანძურსა ძეს მრავალნი ქართველთაგან შემოწირულნი საყდრისა სამკაულნი და შესამოსელნი. თორნიკე ერისთავს

აფასებდნენ და პატივს ცემდნენ ათონის ივერთა მონასტერში და ამის დასტურია თორნიკე ერისთავის პერანგის შესაკრავის შენახვა მონასტრის ბიბლიოთეკაში. თორნიკე გაექცა საერო ცხოვრებას, რადგან ის დაიღალა ბრძოლით და ვინაიდან საქართველოში იმ დროისთვის მდგომარეობა მეტ-ნაკლებად დასტაბილურებული იყო, გადაწყვიტა სასულიერო ცხოვრებისთვის მიეძღვნა თავი. საქართველოს ამ პატარა ქვეყანას ოდითგან გარს ეხვია მტერი და ჯიჯგნიდა. ქართველებისთვის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა თავი დაეხსნა მტრის მარწუხებისგან და გათავისუფლებულიყო. ბრძოლა თავისუფლებისათვის გახლდათ უმთავრესი ეროვნული ამოცანა და მასში მონაწილეობდა ყველა ბატონი, ყმა საერო თუ სასულიერო პირი. და კვალად ძეს თორნიკეს საჭურველნი :ზუჩი,ჯაჭვნი და აბჯარი და ხრმალი, რაჟამს იგი მონაზონებასა შინა შეიმოსნა და შება სპარსთა და განიოტნა იგინი. ბარდა სკლიაროსთან ბრძოლის დროს რა სამოსელითაც შეიმოსა თორნიკე და რა იარაღებითაც იყო აღჭურვილი ის დაცულია, როგორც აღვნიშნე, ზმირნაკის წიგნში მოხსენებული ფაქტები ქართველთა მონასტრის ისტოორიიდან ემყარება დოკუმენტურ წყაროებს. ასე მაგალითად, აქ მოხსენიებულია, რომ ქართველთა სავანეს შეუერთდა სამი მონასტრის ადგილ-მამული მთელი მისი შემოსავლით. კარგად ახსოვდათ ბიზანტიის იმპერიაში თორნიკეს ღვაწლი, კერძოდ ბასილ კეისარს მისი დახმარებით ქართველთა სავანეს შეუერთდა სამი მონასტერი თავისის ადგილ მამულით. ქართველთა ახლად დაარსებული ლავრის გასაძლიერებლად. მართლაც ჩვენამდე მოღწეულია 980 წლით დათარიღებული და ბიზანტიის კეისრის ბასილ მეორის გაცემული სიგელი, რომლის ძალითაც ქართველთა მონასტერში გაერთიანდნენ თავ-თავიანთი მამულებით იმ სამი მონასტრის ბერები, რომლებიც ზემოთ იყვნენ მოხსენიებულნი. ამის დასტურად ჩვენ მოგვეპოვება ფრ დელგერის ნაშრომი და ასევე პროფესორ უსპენსკის ცნობები იმის შესახებ თუ რა დახმარება გაუწია ბასილ პორფიროგენეტმა თორნიკე ერისთავს. სანაცვლოდ სამი მონასტერისა გამოთხოვილ იქნა ორი მონასტერი ერთი სამეუფეო ქალქში და მეორე ტრაპიზონში. იგივე სიგელი აღნუსხული აქვს ფრ.დელგერს თავის კორპუსში. ამ ქრიზობულის ტექსტს ასე გადმოგვცემს პორფირი უსპენსკი, რომელმაც 1845 სა და მომდევნო წლებში იმოგზაურა ათონის მთაზე და ნეტარ ხსენებული მეფის ბასილი

პორფიროგენეტის მიერ იოანე ბერისა და თორნიკე სინგელოზისადმი გაცემული ბეჭედი, რომლითაც მეფე სანაცვლოდ აღუთქვამს მას, რომ ბოძებული იქნება ლეონტიას მონასტერი თესალონიკში და კოლობოს მონასტერი ერისოში. გარდა ამისა კლემენტის მონასტერი, რომელიც დაფუძნებულია იონე ნათლისმცემელის სახელზე, ხოლო მოიპოვება ათონის მთაზე, რომლის სანაცვლოდ გამოთხოვილია ორი მონასტერი, ერთი მონასტერი, რომელიც არის იბერისისა სამეუფეო ქალაქში და მმეორე წმინდა ფოკას, რომელიც არის ტრაპიზონში.

ჩვენ მოგვეპოვება თორნიკე ერისთავუის შესახებ ცნობები შემდეგ ავტორებთან: გიორგი მთაწმინდელი, გიორგი კედრენე, უსპენსკი, ფრ დელგერი, ასოღკი. თითოეულ მათგანთან განსხვავებულად არის წარმოდგენილი თორნიკე ერისთავის ბრძოლა ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ ამ ბრძოლაში ბარდა სკლიაროსი დამარცხდა და ბიზანტიელების გამარჯვებაში უდიდესია ქართველთა როლი, კერძოდ დავით კურაპალატის, თორნიკე ერისთავის და მისი 12 ათასიანი მხედრობის. დავით კურაპალატის დროინდელი ამბები აღწერილი აქვ აგრეთვე სომეხ ისტორიკოს ასოღიკს {მეთერთმეთე ს},რომელიც თავის ისტორიაში ეხება ბარდა სკლიაროსის აჯანყებას და დავით კურაპალატის როლს ამ აჯანყების ჩახშობის საქმეში. თავის ისტორიაში ასოღკი გადმოგვცემს, რომ ათონის ბერი, იოანე-თორნიკე კურაპალატ დავით იბერიელის ყოფილი მხედარმთავარი, ბიზანტიის მეფეთაგან გაიგზავნა დავით კურაპალატთან, დაგვეხმარე ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში და მთელი ნადავლი თქვენი იქნება. გარდა ამისა იბერიას გადაეცემა ადგილ-მამულები. როგორც გიორგი მთაწმინდელთან ასევე ასოღკის ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაცია ეხება ბარდა სკლიაროსის აჯანყებას და იმ გარემოებას თუ რაოდენ რთულ მდგომარეობაში იყო ამ დროს ბიზანტიის იმპერია. ათონის ივერთა მონასტერში ამ დროს მოღვაწეობდა იოანე-თორნიკე დავით კურაპალატის რჩეული სარდალი იგი განშორებული იყო საერო ცხოვრებას. მას არ სურდა ბრძოლაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ, როდესაც საფრთხე დაემუქრა ქართველების მოღვაწეობას ათონის ივერთა მონასტერში იგი დათანხმდა და წარსდგა დედა დედოფლის წინაშე. დედოფალმა იგი გააგზავნა დავით კურაპალატთან, რადგან საფრთხე იყო რეალური ბარდა სკლიაროსის მხრიდან, რომ აეღო ბიზანტიის

დედაქალაქი კონსტანტინეპოლი და იმპერიისთვის საძირკველი გამოეცალა. სწორედ ამ მნიშვნელოვან ეტაპზე მის გვედით დადგა დავით კურაპალატი, მაშინ როდესაც სკლიაროსმა რამდენჯერმე დაამრცხა ბარდა ფოკა. ქართველთა 12 ათასიანმა ლაშქარმა თორნიკე ერისთავის სარდლობით უკუაქცია ბარდა სკლიაროსი და იმპერიას ძველი ღირსება დაუბრუნა.

ამგვარად, როგორც ძველი ნარატიული წყაროები {გიორგი მთაწმინდელი, ასოღიკი}ისე თავის დროინდელი სიგელ-გუჯრები ამტკიცებენ დავით კურაპალატისა და თორნიკე ერისთავის როლს ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობის საქმეში. ამ ბიზანტიურ წყაროებში, როგორც აღვნიშნე არ არის გამახვილებული ყურადღება ქართველთა როლზე ამ ბრძოლაში თითქოს ბიზანტიელ მწერლებს არ სურდათ ქართველთა როლზე ყურადღების გამახვილება .ჩვენთვის კარგად არის ცნობილი გიორგი კედრენეს ცნობები ამ ბრძოლის შესახებ, თუმცა მისი ცნობები არის არასრული. გიორგი კედრენეს ქრონოგრაფიებს შემდეგ ემატება ქართველების ნაშრომები, როგორიც არის გიორგი მთაწმინდელის. საქართველო არასოდეს არ ყოფილა ბიზანტიის ვასალი, მაგრამ ბიზანტია ყოველთვის ცდილობდა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას. საქართველო კი მნიშვნელოვან გადასასვლელებს ფლობდა, რითაც აკონტროლებდა ბიზანტიის იმპერიას, გარდა ამისა, როდესაც დავით კუარაპალატი გარდაიცვალა თვით ბასილ კეისარი ჩამოვიდა საქართველოში და მამა შვილს კურაპალატობის და მაგისტროსობის ტიტული მიანიჭა. ესაც უფროს უმცროსობის წესის დარღვევით. უამრავი მტრით გარს შემორტყმული საქართველო მართლმადიდებლურ და ისლამურ სახელმწიფოებს შორის არჩევანის გაკეთებისას უპირატესობას მართლმადიდებლურ სახელმწიფოს ანიჭებდა. საქართველო არასდროს არ ყოფილა გულუბრყვილო სახელმწიფო მან ასევე კარგად იცოდა, რომ იმპერია მაინც იმპერია, ხოლო ბიზანტიელები ყოველთვის ცდილობდნენ საქართველო საშინაო საქმეებში ჩარევით გაეკონტროლებინათ. ეს ბრძოლა კი ნათელი მაგალითია ბიზანტია საქართველოს ურთიერთობისა და იმისა, რომ თვით ბიზანტიის დედოფალი სთხოვს ქართველებს დახმარებას და საქართველოში აგზავნის თორნიკე ერისთავს... ბიზანტიის იმპერიამ მოახერხა ძალთა მობილიზება, ხოლო ბუნებრივია არაბთა სახალიფოს დაშლა ბიზანტიის

იმპერიისთვისაც ხელსაყრელი იყო, ვინაიდან მეათე საუკუნის იმპერიათა შორის ეს ორი ერთეული ეცილებოდა პირველობას.

დასკვნა

საქართველო უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყანაა, ჯერ კიდევ მეორე ათასწლეულის ბოლოს და პირველი ათასწლეულის დასაწყისში უკვე არსებობდა პირველი ადრე კლასობრივი გაერთიანებები. საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ხანგრძლივი გზა ჰქონდა. უძველესი დროიდან მეათე საუკუნემდე საქართველომ განვლო არაერთი ქარტეხილი, იყო დაცემა და აღდგომა. საქართველო აღსდგა და გადარჩა. ,გადარჩა როგორც მართლმადიდებლური სახელმწიფო, მას არ დაუკარგავს თავისი მრწამსი თავისი თვითმყოფადობა და იქ სადაც გაქრნენ იმპერიები არ გამქრალა საქართველო. რა ძალამ გაეძლებინა საქართველოს? ამ უძველესი მსოფლიო ცივილიზაციის მქონე ქვეყანას, რომელიც ყოველთვის იყო ინტერესის სფერო ნებისმიერ ეპოქაში, საქართველოს უხდებოდა ბრძოლა გადარჩენისათვის. კავკასიის მთაზე მიჯაჭვული ამირანი იქცა საქართველოს სახედ. დაცემიდან აღდგომამდე, ბორკილებიდან თავისუფლებამდე საქართველომ შეძლო ყველაზე რთულ ვითარებაშიც გამკლავებოდა მტერს. მტრით გარშემორტყმულ საქართველოს უხდებოდა ბრძოლა არაერთ ასპარეზზე, ვინაიდან მერვე მეათე საუკუნეში საქართველო გახლდათ სამეფო სამთავროებად დაშლილი და დანაწევრებული. ამას ემატებოდა არაბთა სახალიფო და ცალკე ერთეულის სახით არსებული თბილისის საამირო. ქართველები აწარმოებდნენ, როგორც საშინაო ომებს ისე საგარეოს. გარდა ამისა, შემდგომ პერიოდში, იქ სადაც პირველობა საქართველოს სამეფო სამთავროებს შორის უნდა გადანაწილებულ იყო, მათ დაემატა სომხეთის სამთავროც. დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი მიიღო, ადრე თუ ბრძოლა ქართულ სამეფო სამთავროებს შორის მიმდინარეობდა ეხლა გამოჩნდა ახალი მეტოქე სომხეთის სახით. გავლენის სფეროები სამხრეთ კავკასიაში უნდა გადანაწილებულ იყო სომხეთსა და აფხაზეთის სამთავროს შორის. ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. თუმცა როგორც ჩანს გაიმარჯვა სომხეთის სამთავრომ. საქართველოს უხდებოდა ბრძოლა, როგორც არაბთა სახალიფოს ისე ბიზანტიის წინააღმდეგაც. თუმცა

ქართველი დიდებულები კარგად აცნობიერებდნენ რომ ბიზანტიის გარეშე უდიდეს არაბთა სახალიფოს წინააღმდეგ ვერაფერს გააწყობდნენ. ამიტომ ურთიერთობა ბიზანტიის იმპერიასთან არჩიეს, ვინაიდან ბიზანტია მართლმადიდებლური სახელმწიფო გახლდათ. ქართველ მეფეებს შორსმჭვრეტელური პოლიტიკა ჰქონდათ, ისინი ცდილობდნენ ბიზანტიის დახმარებით ჩამოეცილებინათ არაბთა სახალიფო. საქართველო აკონტროლებდა მნიშვნელოვან გადასასვლელებს, ამიტომ იგი არასოდეს არ ყოფილა ბიზანტიის ვასალი, საქართველო იყო ბიზანტიის მოკავშირე, რაც შეეხება ბიზანტიურ ტიტულატურას ეს გახლდათ მხოლოდ ფორმალური და არ გულისხმობდა ბიზანტიასთან ვასალურ ურთიერთობას. თავის მხრივ ბიზანტიას ჭირდებოდა საქართველო, რათა გაეკონტროლებინა დარიალის გადასასვლელები. თუმცა ბიზანტიას არ სურდა ძლიერი საქართველო და ტერიტორიებს პირდებოდა ურჩ დიდებულებს, რომლებიც მეფეს აღუდგებოდნენ. ქართველი მეფეები იძულებულნი იყვნენ ბიზანტიაში ჩასულიყვნენ, რათა შერიგებოდნენ ურჩ დიდებულებს. სამეფო სამთავროებად დაშლილ საქართველოში აშოტ კურაპალატის გამეფებისას ურთულესი მდგომარეობა იყო, როგორც ეკონომიკური ისე დემოგრაფიული, საგანმანათლებლო და კულტურული თვალსაზრისით. სასულიერო კერების აღორძინებასა და განვითარებას ხელი შეუწყო გრიგოლ ხანძთელმა აშოტ კურაპალატის დახმარებით, სადაც ფუნქციონირებდა საგანმანათლებლო კერებიც. აშოტის გარდაცვალების შემდგომ ქვეყანას მართავდა აშოტის უმცროსი შვილი. აშოტი მოკლეს დოლისყანის ეკლესიაში. ის იყო მეფე, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს განვითარებაში, მაშინ როდესაც დანგრეული გახლდათ ეკლესია მონასტრები, აშოტის დახმარებით ტაო-კლარჯეთში არაერთი ეკლესია მიონასტერი ააშენა გრიგოლ ხანძთელმა. საქართველომ მოახერხა გაერთიანება მეათე საუკუნეში. ამ საუკუნეში დასუსტდა არაბთა სახალიფო, თუმცა თბილისის საამირო კვლავ დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდა. ტახტზე ავიდა ბაგრატ მესამე, ერთიანი საქართველო პირველი მეფე, იგი იწოდებოდა „მეფე აფხაზთა ქართველთა რანთა და კახთა.“ მას შემდეგ, რაც გურგენი გარდაიცვალა, ბაგრატ მესამე გახლდათ მეფე ქართველთა. ათას თოთხმეტ წელს ბაგრატ მესამე გარდაიცვალა, ის დაკრძალეს მის მიერვე აგებულ ბედიის ტაძარში. ბაგრატ მეფის

მტკიცე ხასიათმა, ბრძნულმა და წინდახედულმა მმართველობამ და შორსმჭვრეტელმა პოლიტიკამ საქართველო გააერთიანა და მის ძლიერებას მკვიდრი საფუძველი დაუდო. არ უნდა გაგვიკვირდეს თუ იმდროინდელი ქართველი მემატიანეები მისი მოღვაწეობით აღტაცებულნი ცოტა არ იყოს გაზვიადებით გვისურათებენ მისი მეფობის ნაჭირნახულევს: ბაგრატ მეფემ, მოგვითხრობს მაგ. სუმბატი, «დაიპყრა ყოვლი კავკასია თჳთმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგანადმდე, ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომხითისა ჴელმწიფობათა ნებიერად განაგებდა, მეფე სპარსთა თჳს მეგობრად და ერთგულ ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა უფროს სახლეულთა თჳსთასა, და რამეთუ ბერძენთა მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე» “მატიანე ქართლისაჲ”-ც ცხოველის მჭერმეტყველებით გვიხატავს დიდებული მეფის სურათს: «ესე ბაგრატ აფხაზთა და ქართუელთა მეფე წარემართა ყოველთავე ჴელმწიფეთა ყოვლითა განგებითა, ამისად მოაჯედ და შემპოვნედ შეიქმნეს ყოველნი ჴელმწიფენი მახლობელნი და მოთაულნი მამულისა და სამეფოსა მისისანი და მოლაშქრედ, ვითარცა თჳსნი დიდებულნი და მისანდობელნი, დაუმორჩილნა ღმერთმან ყოველნი მტერნი წინააღმდგომნი, მომადლა დღეთა მისთა მწვიდობა და დიდი დაწყნარება ქუეყანისა»-ო (*472, გვ. 245-246). თავის აღფრთოვანებულ დახასიათებას ისტორიკოსი შემდეგის საზოგადო დასკვნით ათავებს: «ვსთქუთ ესეცა, რომელ შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასარისა არავინ გამოჩინებულ არს სხუა მსგავსი მისა დიდებითა და ძალითა ყოვლითა განგებითა»-ო მეფე ბაგრატი «მეფობდა ოცდა ათექუსმეტ წელ» სახელოვანი მეფე უკვე ხანში შესული იყო, «მჴცითა მშვენიერითა შემკული», როდესაც ტაოში, ციხესა ფანასკერტისასა, მყოფი გარდაიცვალა 1014 წ. მაისის 7, დღესა პარასკევსა. იგივე 1014-1015 წ. აღნიშნული აქვს არისტაკეს ლასტივერელსაც ბაგრატ III გარდაცვალების მეფე ბაგრატი გახლდათ დიდებული მეფე, რომელმაც მოახერხა საქართველოს გაერთიანება. მან შეძლო ქვეყნის სადავეების მართვა და საქართველოს გაერთიანება, რომელიც საძირკველი გახლდა ,ქართული სახელმწიფოებრივი მშენებლობისა.

ბიბლიოგრაფია

1. კორნელი კეკელიძე :"ათონის ივერთა მონასტერი";
2. ივანე ჯავახიშვილის ;"ქართველი ერის ისტორია,ტომი მეორე";
3. პაატა რამიაშვილის :"საქართველოსა და მსოფლიო ისტორია";
4. ნოდარ ასათიანის" საქართველოს ისტორია";
5. ქართლის ცხოვრება სიმონ კაუხჩიშვილის რედაქციით.''ანასეული ქართლის ცხოვრება";
6. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ავტოკეფალიის ძირითადი საკითხები:" ლევან ტყეშელაშვილი";
7. "საქართველოს ისტორია" სამეცნიერო გამოცემა თბილისი 1980 წელი.ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მ.იმნაძე .გ გიორგაძე;
8. ლევან გორდეზიანის დონალდ რეიფილდის" საქართველოს ისტორია";
9. მიხეილ ბახტაძე, დავით მერკვილაძე, გიორგი გეთიაშვილი; "მსოფლიო ისტორია"
10. სიმონ ყაუხჩიშვილის "ქართლის ცხოვრება" ლეონტი მროველი;
11. "საქართველოს ისტორია "ივ,ჯავახიშვილი,ნ. ბერძენიშვილი,ს .ჯანაშია საქართველოს ისტორია უზველესი დროიდან მეცხრამმეტე საუკუნემდე;
12. "საქართველოს სამხედრო ისტორია"გამოიცა საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ;
13. ს .ყაუხჩიშვილის "ქართლის ცხოვრება თბილისი 1955 წელი ტომი პირველი;
14. "საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობები" 970-1070 ვ .კოპალიანი თბილისი 1969 წელი;
15. " საქართველოს ისტორია მეოთხე საუკუნიდან მეცცამმეტე საუკუნემდე'ტომი მეორე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
16. 'ისტორიის,რელიგიის,ეთნოლოგიის,შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი' თბილისი მეორე გამოცემა.აკად:მარიამ ლორთქიფანიძე,აკად დავით მუსხელიშვილი.აკად.როინ მეტრეველი;
17. ზურაბ ანჩაბაძე,ვიქტორ გეჩუა.ტომი მესამე ჩამოყალიბებული

ფეოდალიზმის ხანა მეთერთმეტე-მეთოთხმეტე საუკუნე;

18. შოთა მესხი,ტომის რედაქტორი :ადრინდელი ფეოდალიზმი მეოთხე-მეათე აუკუნე.ტომი მეორე საქართველოს ისტორიის ნარკვევები.